www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი 2 დეკემბერი, 2009 წელი. №263 (2301) ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა

A8



მშვიდობით იარაღო, სალამი კინო!

A9



„ბორჯღალოსნები„ რეიტინგში დაიძრნენ

A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ადგილობრივი არჩევნები 1 ივნისამდე ჩატარდება

თამარ ივანიძე

*ადგილობრივი არჩევნები უკვე რეალურ კონტურებს იძენს. არჩევნები ჩატარდება არაუგვიანეს 2010 წლის 1 ივნისისა, - ნათქვამია კონსტიტუციის დამატების პროექტში, რომლის განხილვაც პარლამენტმა გუშინ დაიწყო. გუშინვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატი გიგი უგულავა იქნება.*

### არჩევნების თარიღი

პრეზიდენტის ინიციატივა, რომელიც ადგილობრივი არჩევნების თარიღის განსაზღვრას და იმავდროულად თბილისის მერის "საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით" არჩევას ითვალისწინებს, 30 ნოემბერს საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე საკონსტიტუციო კომისიამ მოიწონა.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, არჩევნების კონკრეტულ თარიღს პრეზიდენტი გამოაცხადებს არაუგვიანეს 45 დღისა.

ცნობისათვის - ივლისში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ადგილობრივი არჩევნები მომავალი წლის 30 მაისს გაიმართება, ნაცვლად შემოდგომისა, როცა თვითმმართველობებს კონსტიტუციურად დადგენილი 4-წლიანი ვადა ეწურებათ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის პროცედურას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გადარჩენის ფორმულა: ალუბლისა და ღოღნაშოს გული ჭონჭოლითა და კაჭკაჭით!

### ბათუმის თეატრში საპრემიერო დღეებია

თამარ კიკნაველიძე

2009 წლის 4 დეკემბერს რუსეთში საზეიმოდ გაიხსნება 1937 წელს დამზადებული "მუშისა და კოლმეურნე ქალის" ქანდაკება, რომელსაც რესტავრაცია დაახლოებით 6 წლის განმავლობაში უტარდებოდა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ "დიდ რუსეთში ყველაფერი რიგზეა" და უცვლელია ხაზი, პოლიტიკური თუ მენტალური, რომლითაც "ვითარდება". ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვერა მუხინას მონუმენტური ქანდაკება რუსეთის ყოველმა მეოთხე მოქალაქემ ქვეყნის სიმბოლოდ მიიჩნია. რა გამოხმაურება მოჰყვება "მოვლენას", რომელსაც რუსეთის ხელისუფლება მოსახლეობასთან ერთად სულ რამდენიმე დღეში იზეიმებს, მოგვიანებით შევიტყობთ. ამ ქვეყნის ალეგორიულ სახედ მიჩნეულ სიმბოლოზე გამოხატული ირონია კი თვალშისაცემია სპექტაკლში, რომლის პრემიერაც ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 27-28 ნოემბერს გაიმართა.

გაგრძელება A10 გვერდზე



გიორგი ბურჯანიძის ფოტო

## მე-11 არმიის კვალდაკვალ

თეიმურაზ ზაქრაძე

საბჭოთა კავშირის დაშლისას რუსეთის იმპერიამ პოსტსაბჭოურ სივრცეზე არაერთი "შენელებული მოქმედების ნაღმი" დატოვა. წინამორბედი უფრო მასშტაბურად მოქმედებდა - ჩრდილოეთ კორეა, გერმანია და სხვა. მისმა მემკვიდრემ, შეძლებისდაგვარად, არანაკლებ საშიში ნაღმები ჩადო მოლდოვასა და კავკასიაში. ჩვენი აფხაზეთი და ცხინვალი უკვე "ამოქმედდა", მაგრამ ვინაიდან სასურველი შედეგი არ გამოიღო, ახლა "მთიანი ყარაბახის" ჯერი დადგა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ბატონმა ალიევმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბახის ძალით დაბრუნებას არ გამორიცხავს. ასეთი განცხადება შეუძლებელი იქნებოდა, სახეზე რომ არ იყოს აზერბაიჯანისა და რუსეთის პოლიტიკების აშკარა დაახლოვება. აზერბაიჯანის ომისკენ "წაქეზება" და, საერთოდ, ასეთი ომი დამღუპველი იქნება მთელი რეგიონისთვის, მაგრამ ყველანაირად მომგებიანი - რუსეთის იმპერიისთვის.

პუტინმა არაერთხელ განაცხადა, რომ კავკასიაში მშვიდობის მთავარი გარანტი მხოლოდ რუსეთია. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ "ამყარებდა მშვიდობას" რუსეთი ამ რეგიონში. სომხურ-თურქული ურთიერთობების დათბობა კრემლს არათუ ალიზიანებს, აიძულებს, კარდინალურად შეცვალოს თავისი პოლიტიკა. აზერბაიჯანისა და სომხეთის ომი ყველაზე მომგებიანი "პროექტი" იქნებოდა კრემლისთვის. ჯერ ერთი, რუსეთი "დაეხმარება" ორივე მხარეს, რომ ომი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. შემდეგ, ახალი სამხედრო დოქტრინის თანახმად, რუსული ჯარები ორივე სახელმწიფოს დაიკავებენ და, ალბათ, ყველაზე მთავარი, უკვე "შემოვლითი გზით" საქართველოზეც გზა ხსნილი იქნება.

ასეთი "ველურობის" შედეგად ჩვენი მეზობლების საერთაშორისო "იმიჯი" საბოლოოდ განადგურდება. აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ნაბუკოს პროექტებიც საბოლოოდ დასამარდება. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში შემოსვლა და პრორუსული მთავრობის დაყენებაც პრობლემა აღარ იქნება. შედეგად, ჩვენც და ჩვენმა მეზობლებმაც შეგვიძლია დავივიწყოთ თავისუფლება კიდევ მინიმუმ ერთი საუკუნით.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გიორგი თარგამაძემ მოსამართლეები გააკრიტიკა

იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებმაც 23 ნოემბერს ახალგაზრდა ოპოზიციონერები უკანონოდ დააჯარიმეს, “ქრისტიან-დემოკრატები’ დისციპლინარული დევნის დაწყებას ითხოვენ. ამის შესახებ "ქრისტიან-დემოკრატების” ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა. მისი თქმით, მოსამართლეებმა პირდაპირი ძალადობა გამოავლინეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მშვიდად და წყნარად აპირებდნენ პროტესტის გამოხატვას პარლამენტის კიბეებთან. იგი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ახალგაზრდა ოპოზიციონერები პროტესტს ამავე პარლამენტის მიერ გამკაცრებული კანონის დარღვევის გარეშე გამოხატავდნენ. "მოსამართლეებმა კი მათ ყურით მოთრეული ბრალდების გამო თითოეულს 500 ლარიანი ჯარიმა მიუსაჯეს. თანაც ისე, რომ მოსამართლეებმა არც კი ნახეს ის კადრები, რომლებიც დაცვის მხარემ წარადგინა და რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდებს პოლიციისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ", - განაცხადა თარგამაძემ.

თარგამაძე კოლეგებს ამ ფაქტის დაგმობისკენ მოუწოდებს, ახალგაზრდა ოპოზიციონერებს კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამ მოსამართლეების მიმართ დისციპლინალური დევნის აღძვრის მოთხოვნის შეტანას ურჩევს.

თარგამაძის საპარლამენტო გამოსვლის შემდეგ სასამართლოს და მოსამართლეების თემას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი გამოეხმაურა და კოლეგებს მოუწოდა სასამართლო სისტემას საკუთარი პოლიტიკური ქულებისთვის ნუ გამოიყენებენ. მინაშვილის აღნიშნავს, რომ ბოლო დროს მოსამართლეების გაკრიტიკება ტენდენციად იქცა. გარდა ამისა, ოპოზიციონერი დეპუტატები თვლიან, თუკი სასამართლო მათ სასარგებლოდ მისაღებ გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაშინ ობიექტურია და თუ საწიინააღმდეგოს მიიღებს მაშინ არ მოსწონთ.

",დარწმუნებული ვარ, თქვენი არც ერთი წარმომადგენელი არც ერთ სასამართლო პროცესს არც დასწრებია და არც დაესწრება. შესაბამისად, სანამ სასამართლოზე ისაუბრებთ კონკრეტული წინადადებები წარმოადგინეთ და მონაწილეობა მიიღეთ გადაწყვეტილებების მიღებაში," - განაცხადა მინაშვილმა.

მოსამართლეების გაკრიტიკების გარდა, “ქრტისტიან-დემოკრატების" წარმომადგენლებმა გახმაურებული მკვლელობების გამოსაძიებლად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს. აღნიშნული საკითხი პლენარულ სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარემ, გიორგი ახვლედიანმა დააყენა და სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და სხვათა საქმეებზე ისაუბრა. ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით ახლედიანმა ფოტომასალებიც წარმოადგინა, რომელიც ახალ გარემოებებზე მიუთითებს და ამ ფოტოების დეპუტატებისთვის დარიგება მოითხოვა. მოძრაობისა კიდევ ერთი წევრის, ლევან ვეფხვაძის განცხადებით კი, საგამოძიებო კომისიის შექმნით დაღუპულთა ოჯახის წევრებს სამართლიანობის განცდა აღუდგებათ.

“ქრისტიან-დემოკრატებს” მიაჩნიათ, რომ ამ გახმაურებული მკვკლელობების გამოძიებით დადსტურდება, რამდენად შესაძლებელია ქვეყნის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, მშენებლობა.

საგამოძიებო კომისიის შექმნა უშედეგოდ მიიჩნია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, პეტრე ცისკარიშვილმა. უმრავლესობის ლიდერი განმარტავს, რომ გახმაურებელ მკვლელობებზე საგამოძიებო კომისიის შექმნას ჯობს, პარლამენტმა ისეთი რეფორმების გატარებაზე იზრუნოს, რომლებიც ქვეყანაში სამართალდამცავებსაც და მართმლსაჯულებასაც დაიცავს.

"როცა ვლაპარაკობთ სამართლიანობაზე, მინდა შეგახსენოთ, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც არ ერიდება სამართლდამცველების, საკუთარი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან კრიმინალის ჩადენის დასჯას და ყველა საქმე ბოლომდე მიიყვანა", - განაცხადა მინაშვილმა და დასძინა, რომ ეს არის სამართლიანობა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ნიშანია.

*მაგდა ლეკიაშვილი*

# ადგილობრივი არჩევნები 1 ივნისამდე ჩატარდება

პირველი გვერდიდან

ამდენად, დღის წესრიგში დადგა ამ ხარვეზის კონსტიტუციური ცვლილების გზით აღმოფხვრის საკითხი. პარლამენტის მიერ ამ დამატების მიღებას, სულ ცოტა, ერთი თვე დასჭირდება, კონსტიტუციური კანონის განხილვის წესიდან გამომდინარე.

### თბილისის მერობის კანდიდატები

გუშინ პარლამენტში პირველად დადასტურდა, რომ “ნაცმოძრაობის” კანდიდატი გიგი უგულავა იქნება. ამის შესახებ მაჭავარიანმა ჟურნალისტებს პარლამენტის ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერობისთვის ბრძოლას, სახელისუფლებო პარტიის გარდა, რამდენიმე ოპოზიციური პარტიაც აპირებს. გუშინ კანდიდატთა რიგს დავით იაკობიძე შეემატა. იაკობიძე “დემოკრატიული პარტიის” ლიდერმა, დეპუტატმა გია თორთლაძემ დაასახელა.

იაკობიძეს, რომელიც ამჟამად “დემოკრატიული პარტიის” წევრია, 1993-97 წლებში, შევარდნაძის მმართველობის დროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ამ დრომდე ოპოზიციიდან თბილისის მერობის კანდიდატებად დასახელდნენ “ალიანსი საქართველოსთვის” ლიდერი ირაკლი ალასანია (თუმცა, ალიანსი არჩევნებში მონაწილეობის ტაქტიკას ჯერ კიდევ აზუსტებს); “კონსერვატიული პარტიის” თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური და “ხალხის პარტიის” ლიდერი კობა დავითაშვილი.

საპარლამენტო ოპოზიციიდან “ქრისტიან-დემოკრატებმა” ასევე გააკეთეს საჯარო განაცხადი, რომ აპირებენ კანდიდატურის დასახელებას. ასევე ცნობილია, რომ ოპოზიციის ნაწილი ოპოზიციურ პრაიმერში მონაწილეობას აპირებს.

### ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

განახლებულ საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობას პარლამენტი დაჩქარებული წესით შეუდგა. "საარჩენო კოდექსში" შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი პირველი მოსმენით 4 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე გავა, მანამდე მის გარშემო მსჯელობა საპარლამენტო კომიტეტებში დაიწყება.

ცვლილებების მთავარი სიახლეებია: - თბილისში ჩატარდება მერის პირდაპირი არჩევნები; მერობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს; თბილისის მერის პირდაპირ არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მოაგროვებს, მაგრამ არანაკლებ 30 პროცენტისა. თუ ხმათა აღნიშნული რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. მეორე ტურში გამარჯვებულად ის კანდიდატი გამოცხადდება, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. რაც შეეხება თბილისის საკრებულოს არჩევნების საკითხს, თბილისის საკრებულო დაკომპლექტდება 50 წევრისგან; 25 წევრი აირჩევა ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, 25 წევრი კი - პროპორციული წესით; პროპორციული წესით გასანაწილებელ მანდატებს მიიღებენ ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც გადალახავენ 4-პროცენტიან ბარიერს; თბილისის საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს; მაჟორიტარულ არჩევნებში საარჩევნო ბარიერი არ იარსებებს და მანდატს ის კანდიდატი მიიღებს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. საარჩევნო ადმინისტრაციების საკითხში კი მიღწეულია შეთანხმება და პროექტში წარმოდგენილია შესაბამისი ინიციატივა, რომლის თანახმად, ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის წესი მთლიანად იცვლება. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად შერჩეულ ცესკო-ს თავმჯდომარეობის 3 კანდიდატურას ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენს. არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას, ხმათა უმრავლესობით, ცესკო-ში ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრები მიიღებენ. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა საჭირო რაოდენობა, წარდგენილი 3 კანდიდატურიდან თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტი აირჩევს. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიებში მდივნებს ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან აირჩევენ. კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულ, მინიმუმ, 2 წევრს. მდივანს ირჩევენ ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრები ხმათა უბრალო უმრავლესობით. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მდივანს წარდგენილი კანდიდატურებიდან ირჩევს კომისია სრული შემადგენლობით. კოდექსის პროექტი ე.წ. სპეცუბნებსაც ეხება და ზუსტდება სპეციალურ უბნებში ხმის მიცემის წესი. კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებს შეეძლებათ, ხმა მისცენ მაჟორიტარ კანდიდატებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სპეცუბანი, რომელშიც ისინი ხმას აძლევენ, მათი მუდმივი საცხოვრებლის ოლქშია. ეს წესი არ ვრცელდება შსს-ს იმ პერსონალზე, რომელიც განთავსებულია შესაბამის ყაზარმებში მუდმივი წესით ერთ წელზე მეტი ხნით. გასაჩივრების ვადები ყველა დონეზე იქნება 48 საათი, ნაცვლად დღემდე მოქმედი 24 საათისა. გასაჩივრების გარდა, ფაქტობრივად, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა ვადა იცვლება.

### “ქრისტიან-დემოკრატთა” ინიციატივა

ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების სისტემის შესაცლელად კონსულტაციების დაწყებას ითხოვს. ამ მოთხოვნით პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე პლენარულ სხდომაზე გამოვიდა და განაცხადა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები, ძირითადად, დედაქალაქს ეხება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება რეგიონებში არჩევნების ჩატარებას ძველი სისტემით აპირებს.

**"შესაძლოა, ჩვენი, ოპოზიციის ბრალიც არის, რომ სამუშაო ჯგუფში დედაქალაქის არჩევნებს დიდი დრო დაეთმო და რეგიონებს სათანადო ყურადღება არ გამახვილდა. არადა, ბევრი რამ არის შესაცვლელი. სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი გამგეობებსა და საკრებულოებთან მიმართებით. რეგიონებში ისეთივე რეფორმაა ჩასატარებელი, როგორიც თბილისში,"** - განაცხადა ვეფხვაძემ და "ქრისტიან-დემოკრატების" სახელით კონსულტაციების დაწყებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. ვეფხვაძის აღნიშნულ განცხადებას და მოწოდებას ერთგვარი გაოცებით შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომლის თქმით, **"ოპოზიციას ეს საკითხი გაზაფხულზევე, სამუშაო ჯგუფის შეკრებისთანავე უნდა დაეყენებინა და არა ახლა - დეკემბერში."**

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული ცვლილებების მიღება, საეჭვოა, უახლოეს ვადებში მოესწროს, თუმცა მან აქვე აღნიშნა, რომ “ქრისტიან-დემოკრატებს” შეუძლიათ, ინიციატივა სამუშაო ჯგუფში მომუშავე კოლეგებს შესთავაზონ.

# მე-11 არმიის კვალდაკვალ

პირველი გვერდიდან

მე-11 არმიამ 1920 წელს ბაქოდან დაიწყო, შემდეგ იმავე წელს შევიდა ერევანში და 1921-ში - თბილისში. ისტორია მეორდება. უფრო სწორად, იმპერიის მოქმედების ალგორითმი არ იცვლება. მე-11 არმიის კვალდაკვალ “მიედინება” დღევანდელი რუსული გეოპოლოტიკური აზროვნებაც. რუსეთის ევრაზიული ჰეგემონია შეუძლებელია კავკასიაზე რუსული გავლენის გარეშე. ამიტომაც, რუსეთის ინტერესებშია კავკასიის ხალხების გადამტერება და “ბროლის” ოცნება - ომი ამიერკავკასიაში, რის შედეგადაც თავისი “მშვიდობისდამცველი” პოლიტიკის გატარება შეეძლება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადება შეშფოთების საბაბია, მიუხედავად იმისა, მართლა ომის გამოცხადების საწინდარია თუ პოლიტიკური ვაჭრობის საგანი. ჩვენს მეზობლებს დემოკრატიის მაღალ ხარისხში ნამდვილად ვერ “დავადანაშაულებთ”, მაგრამ დეკლარირებული დემოკრატიის პირობებშიც კი, ომის თემით ვაჭრობა მიუღებელია. მითუმეტეს, თუ აზერბაიჯანისთვისაც და სომხეთისთვისაც საკუთარი სუვერენიტეტი რამენაირ ფასეულობას წარმოადგენს.

ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ რუსულ “ოცნებას” ასრულება უწერია, მაგრამ მსოფლიოს თანამეგობრობას მოუწევს გაათმაგებული ძალისხმევა საფრთხის თავიდან ასაცილებლად. საბოლოო ჯამში რუსეთის ევრაზიული ჰეგემონია დამღუპველია თავად ევრაზიისთვის და, სათანადოდ, მსოფლიოს პროგრესისთვის.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# გაცნობიერებული არჩევანი

დათო გამისონია

*გუშინ ათენში ეუთო-ს მე-17 მინისტერიალი გაიხსნა. ორგანიზაციის 56 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების განხილვის მთავარი თემა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაა. საქართველოდან მინისტერიალში საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე მონაწილეობს. რუსეთის ფედერაციამ საბერძნეთში შეკრებილ მინისტრებს საერთო უსაფრთხოების ახალი პროექტი წარუდგინა.*

მინისტერიალი ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გეორგოს პაპანდრეუმ გახსნა. მან თავისი გამოსვლის დასაწყისშივე მოითხოვა საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენა. პაპანდრეუს თქმით, აუცილებელია, ნაბიჯის წინ გადადგმა და ახლი მისიის გახსნა. **"დარწმუნებული ვარ, კონფლიქტის ზონებსა და მთელ საქართველოში ეუთო-ს ყოფნა ამჟამად უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე,"** - განაცხადა პაპანდრეუმ. მისი თქმით, **"ბევრი რამ მოხდა, რაც გვახსენებს, რომ ჩვენს რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებაზე უნდა ვიზრუნოთ. გლობალურმა კრიზისმა ყველა ქვეყანა დააზარალა, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ საქართველოს შარშანდელი კონფლიქტის შემდეგები გაგვეკონტროლებინა."** მისივე თქმით, მთელი რეგიონისთვის ასევე სერიოზული გამოწვევაა ავღანეთში არსებული არასტაბილური ვითარება. **"ეს ყველაფერი გვახსენებს, რომ ბევრი დაუმთავრებელი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი,"** - აღნიშნა პაპანდრეუმ. პრემიერ-მინისტრის თქმით, ეუთო-ს გააჩნია უპრეცედენტო გამოცდილება და აქვს უნიკალური ინსტრუმენტები, რათა ხელი შეუწყოს სტაბილურობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას.

მართალია, მინისტერიალზე განსახილველ საკითხთა შორის რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილ კონცეფციას მთავარი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ რუსეთის მთავარი დიპლომატი სერგეი ლავროვი ათენის ფორუმს იმისთვის იყენებს, რომ კრემლში შემუშავებულ პროექტზე მსჯელობა ევროპაში აქტიურად დაიწყონ.

გარდა ამისა, მინისტერიალის დღის წესრიგში შეტანილია მინისტრ ვაშაძის სიტყვით გამოსვლა. ამასთანავე, ათენში ვიზიტის ფარგლებში გრიგოლ ვაშაძე ეუთო-ს გენერალურ მდივან მარკ პერინ დე ბრიშამბოსა და რამდენიმე ქვეყნის კოლეგა მინისტრებთან მოლაპარაკებებს გამართავს.

"24 საათი" ესაუბრა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილს. მან აქცენტი გააკეთა იმ ძირითად საკითხებზე, რომლებზეც მინისტრი მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას შეაჩერებს ყურადღებას. **"ბუნებრივია, იქნება იმ ფაქტებზე საუბარი, რომლებიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება. მათ შორის, რუსეთის აგრესიულ მოქმედებებზე - პროვოკაციებზე, გატაცებებზე. ასევე მკაფიოდ აღინიშნება, რომ რუსეთის მხრიდან ასეთი ტიპის აქტივობა, აქ არსებული დინამიკა მომავალში საფრთხის შემცველი გახდება ევროპის სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაშიც. შეიძლება საფრთხე როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსაც შეექმნათ,"** - განაცხადა აკაკი მინაშვილმა. მას მიაჩნია, რომ რუსეთის ქმედებები ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჰელსინკში შეთანხმებულ პრინციპებს უპირისპირდება. რომლის მთავარი პოსტულატია გავლენის სფეროების არარსებობა. ხოლო, რუსეთის ახალი უსაფრთხოების გეგმა, მინაშვილის აზრით, იმ პრინციპების აღდგენას მოითხოვს, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო აქტუალური. დეპუტატი განმარტავს, რომ **"რუსეთის მიზანია, გავლენის სფეროების და მეზობელ სახელმწიფოებზე კონტროლის მექანიზმების აღდგენა. ასევე, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რეგიონიდან შეერთებული შტატების გარკვეულწილად გაყვანა."** მინაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მიერ წარმოდგენილ პროექტს არავინ შეუერთდება. რადგან მისი თქმით, ეს არის წარსულში დაბრუნება. ხოლო, ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა უზრუნველყოფს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. აქ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფოს ინტერესშია მსოფლიოში მშვიდობის არსებობა. მინაშვილმა განაცხადა, რომ **"მკაფიო პოსტულატი არსებობს - სადაც არის დემოკრატია, თავისუფლება, იქ არის მშვიდობა და სწორედ ამისკენ მიილტვის ყველა განვითარებული დემოკრატიული ქვეყანა."**

"24საათი" დაუკავშირდა "საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს. მან ისაუბრა ე.წ. "კორფუს პროცესის" ფარგლებში მიმდინარე ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის გაუმჯობესებაზე. მისი თქმით, პროცესი დაწყებულია და ფორმალურად მიმდინარეობს. თუმცა, გეგეშიძის ვარაუდით, ის სწრაფი ტემპით არ წარიმართება. გარდა ამისა, მან ყურადღება გაამახვილა რუსეთის პრეზიდენტის სახელით გამოქვეყნებული ხელშეკრულების პროექტზე, რომლითაც რუსეთი პარტნიორებს მომავალი ევროპული და ევრაზიული უსაფრთხოების შესახებ წინადადებებს სთავაზობს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მინისტერიალზე განიხილავენ ამ ხელშეკრულების პროექტს. როგორც გეგეშიძემ განაცხადა, **"რუსეთის მხარე დააყენებს დოკუმენტის განხილვის საკითხს, სწორედ ამიტომაც გამოაქვეყნა ის წინასწარ. რუსეთმა რომც მოახერხოს ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა და მასზე მსჯელობაც რომ დაიწყოს, ეს პროცესი მალე არ დამთავრდება. მით უმეტეს, დოკუმენტის გამოქვეყნებიდან მინისტერიალამდე ცოტა დრო იყო, ამიტომ მხარეებს საფუძვლიანი გაცნობის და პოზიციების მომზადების საშუალება არ ჰქონდათ. ალბათ მედვედევის პროექტს ცნობად მიიღებენ და მის შესახებ კონსულტაციები უკვე სხვა ფორმატებში შემდგომში გაგრძელდება."** მაშინ, როცა ევროპა მუშაობს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის შემუშავებაზე, მედვედევის კონცეფციის წარმოდგენის შემდეგ მთავარია ის, თუ რა იქნება ათვლის წერტილი მომავალი ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დამკვიდრებისას. გეგეშიძეს განმსაზღვრელ ფაქტორად მიაჩნია, რა ვითარებაში იქნება მშვიდობასა და სტაბილურობაზე საუბარი. კერძოდ - რომელიც 2008 წლის 26 აგვისტოს (როდესაც რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო) შემდეგ ჩამოყალიბდა, თუ რომელიც 2008 წლის 6 აგვისტომდე არსებობდა. თუკი დემოკრატიული დასავლეთი და რუსეთის ფედერაცია ამ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ, ექსპერტის აზრით, მართალია, ერთიანი უსაფრთხოების მოდელზე მსჯელობები გაიმართება, თუმცა პროცესი შედეგს ვერ მოიტანს. როგორც ექსპერტი განმარტავს, რუსეთს სტატუს-კვოს შენარჩუნების გარდა, სურს, რომ მის გარეშე ვერავინ ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღოს, აქ ნატო-ს გაფართოების თემაც მოიაზრება.

დღესდღეობით არსებული უსაფრთხოების სისტემა შედგება მრავალი დოკუმენტისგან, მათ შორის არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ჰელსინკის დასკვნითი აქტი და სხვ. გეგეშიძის თქმით, **"ამ ყოველივეს ახლად შემოთავაზებული კონცეფცია ვერ ჩაანაცვლებს და არც არავინ ჩაანაცვლებინებს. თუნდაც ის, რომ ნატო-ს გაფართოების თემა ავტომატურად არ გულისხმობს სამხედრო საფრთხის შექმნას, რასაც რუსეთი სხვაგვარად აღიქვამს. ვფიქრობ, რომ ნატო-ში დამატებით ქვეყნების ინტეგრაცია არ უნდა იყოს რუსეთთან მოსათათბირებელი. დასავლეთი ავტონომიურობას კარგავს, თუკი რუსეთის ამ მიდგომებს დაეთანხმება."** როგორც არჩილ გეგეშიძე აღნიშნავს, დასავლეთი მზად არ არის იმისთვის, რომ თავის უსაფრთხოებაზე რუსეთთან ერთად იზრუნოს. რაც შეეხება საქართველოს ინტერესებს, ექსპერტის თქმით, რუსეთის ფედერაციის სურვილი, რომ ათვლის წერტილი 2008 წლის 26 აგვისტო იყოს, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის მიუღებელია. ხოლო, თუკი ზოგადად დასავლეთი და რუსეთი ძირითად პრინციპებზე შეთანხმებას მოახერხებენ და დასავლეთი რუსეთს დაარწმუნებს საქართველოსთვის მისაღები პოზიციის სამართლიანობაში, არჩილ გეგეშიძის თქმით, ამ შემთხვევაში რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია.

ათენის მინისტერიალის შემდეგ დაიწყება პროცედურები ფს ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსის ყაზახეთისთვის გადასაცემად. არჩილ გეგეშიძეს მიაჩნია, რომ ცენტრალური აზიის ქვეყანა რუსეთის ფედერაციას პრინციპულ საკითხებში მკვეთრ წინააღმდეგობას არ გაუწევს. **"არა მგონია, რომ ყაზახეთმა საქართველოში ეუთო-ს მისიის დაბრუნების საკითხში იაქტიუროს. რუსეთის დიპლომატია ყაზახეთთან აქტიურად მუშაობს, რათა ამ ქვეყანამ თავისი თავმჯდომარეობის დროს ეუთო-ს ფარგლებში ამ საკითხების პედალირება არ მოახდინოს,"** - აღნიშნა გეგეშიძემ.

# რუს ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში არ შემოუშვეს

ანა მეზვრიშვილი

რუს ექსპერტებს საქართველოში შემოსვლის უფლება არ მისცეს. ექსპერტები თბილისში გუშინ ერევნიდან ჩამოფრინდნენ, თუმცა თბილისის აეროპორტში მათ გზის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს.

საქართველოს დამოუკიდებელ "ექსპერტთა კლუბის" ინფორმაციით, რუს მეცნიერთა და ექსპერტთა ჯგუფის ორ წევრს, მოსკოვის კავკასიის კვლევათა ცენტრის ექსპერტს ნიკოლაი სილაევს და რუსეთის ფედერაციის არქივის დირექტორს სერგეი მირონენკოს, თბილისის აეროპორტში ქვეყანაში შემოსვლაზე უარი განუცხადეს. ჯგუფის დანარჩენმა სამმა წევრმა კი სოლიდარობის ნიშნად საქართველოში შემოსვლაზე თავად თქვა უარი და ერევნის გავლით მოსკოვში დაბრუნდა.

რუსეთის დელეგაციას 1-3 დეკემბერს თბილისში რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი, მათ შორის დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბთან, ასევე "რუსეთის კვლევების ქართულ ცენტრში". აღნიშნული ვიზიტი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კავკასიის კვლევის ცენტრის ინიციატივით დაიგეგმა. მოსკოვიდან თბილისში გამოფრენამდე ექსპერტი ნიკოლაი სილაევი აცხადებდა, რომ საუბარი იქნებოდა არამარტო რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, არამედ განიხილავდნენ ქართველი და რუსი მეცნიერ-ექსპერტების თანამშრომლობის მიმართულებებსა და პერსპექტივების შესაძლებლობას.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, რუსი ექსპერტებისთვის საქართველოში შემოშვებაზე უარი ის შემთხვევაა, როცა მომხდარის უკომენტაროდ დატოვება უფრო მეტყველია, ვიდრე რაიმე კომენტარი.

მისთვის უცნობია, თუ რა მიზეზებით არ შემოუშვეს რუსი ექსპერტები საქართველოში.

**"მე არ ვიცი, რა შეფასება მივცე ამ ფაქტს, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ლეგალური თანამდებობების უკან არავინ იცის კონკრეტული პიროვნება ვისთან თანამშრომლობს. ამიტომ შესაძლოა, ეს ორი ადამიანი მართლაც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. სახელმწიფოს აქვს უფლება, თუ რომელიმე პირი სახელმწიფოსთვის საშიშად ჩათვალა, ქვეყანაში შემოშვებაზე უარი უთხრას. საეჭვოა კიდევ ის ფაქტი, რომ ჩვენთვის უცნობი იყო მეცნიერთა და ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში ვისი მოწვევით ჩამოდიოდა. ვიცოდით მხოლოდ ის, რომ მათ საქართველოს "ექსპერტთა კლუბთან" მოისურვეს შეხვედრა. ეს შეხვედრა დღეს უნდა შემდგარიყო, ორში და სამში რა შეხვედრები ჰქონდათ დაგეგმილი, ეს უკვე არ ვიცი,"** - განაცხადა მან.

რუს მეცნიერთა და ექსპერტთა ჩამოსვლასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას ბუნდოვანს უწოდებს "ექსპერტთა კლუბის" წევრი გოჩა გვარამიაც, თუმცა მისთვის უცნაური არ ყოფილა ის ფაქტი, რომ ეს ვიზიტი ჩაიშალა და ქართულმა მხარემ რუსულ დელეგაციას ქვეყნაში შემოსვლის უფლება არ მისცა.

გვარამიას განცხადებით, მისთვის თავიდანვე გაუგებარი იყო, თუ ვინ იყვნენ რუს მეცნიერთა და ექსპერტთა სახელით საქართველოში შეხვედრების გამართვის მოსურნენი. **"ჩემთვის გაუგებარია ამ დელეგაციის შემადგენლობა, პიროვნებების ვინაობა. როგორც წესი, ასეთი შეხვედრები ოფიციალურად იგეგმება, მაგრამ ამჟამად არანაირად არ ყოფილა რაიმე ოფიციალური შეთანხმებები. ძნელია, გავრცელებული აზრი გავიზიარო, თითქოსდა ეს ადამიანები რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა როცა ამ ვიზიტთან დაკავშირებით ბევრი ბუნდოვანებაა, ამ აზრს არსებობის საფუძველი გააჩნია,"** - აცხადებს გოჩა გვარამია.

მისი თქმით, საქართველოში რუს მეცნიერთა და ექსპერტთა ჩამოსვლა რუსული პროვოკაციაა. **"რუსეთმა იცოდა ისიც, რომ ამ ადამიანებს საქართველოში არ შემოუშვებდნენ. რუსეთმა საქართველო ამ ინციდენტით მოძალადე სახელმწიფოდ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. ძნელია, ამ ვითარებაში ოკუპანტ ქვეყანასთან რაიმე ნორმალიზებულ ურთიერთობაზე ილაპარაკო. ეს მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც რუსეთი პროვოკაციებს თავს დაანებებს,"** - განაცხადა გვარამიამ.

რუსი ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლა და ქართველ კოლეგებთან დაგეგმილი შეხვედრა 30 დეკემბერს, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დეპუტატმა გია თორთლაძემ გააპროტესტა. მან განაცხადა, რომ სინამდვილეში ისინი რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსნები და პუტინი-მედვედევის უახლოესი გარემოცვის წევრები არიან. მისივე შეფასებით, დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზები და მიზნები სრულიად ბუნდოვანია.

**"ეს ხალხი არიან რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსნები, პუტინისა და მედვედევის უახლოესი გარემოცვის წევრები, ისინი, რომლებიც რუსეთში ფინანსურ საშუალებებს აკონტროლებენ. არანაირი ექსპერტთა ჯგუფი ეს არაა და საქართველოს ექსპერტთა ჯგუფი ხვდება იმ ადამიანებს, ვინც მუდმივად ამბობს, რომ საქართველო თავს დაესხა მძინარე ცხინვალს. ერთ-ერთი მათგანი მილერია, რომელიც წლების მანძილზე პუტინის მრჩეველი იყო,"** - განაცხადა თორთლაძემ.

# თომას ჰამერბერგი იმედს არ კარგავს

ნათია მსხილაძე

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის პირველი ვიზიტი ცხინვალში უშედეგოდ დასრულდა, თუმცა კომისარი არ კარგავს იმედს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. "საზღვრის" უკანონოდ გადაკვეთისა და საბრძოლო მასალის გადატანის ბრალდებით 4 ნოემბერს დაკავებული ოთხი მოზარდის გათავისუფლებას საქართველოში ვიზიტის პერიოდში მოახერხებს. ჰამერბერგს ცხინვალში ჩასვლამდეც ჰქონდა იმედი, რომ უკან მოზარდებთან ერთად დაბრუნდებოდა, თუმცა მარიონეტულმა რეჟიმმა გვიან საღამოს ჰამერბერგს მხოლოდ ცხინვალის ციხეში შესვლის და დაკავებული მოზარდების მონახულების საშუალება მისცა.

როგორც ერგნეთში ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში თომას ჰამარბერგმა აღნიშნა, დაკავებული მოზარდებიდან ერთ-ერთი, 14 წლის გიორგი რომელაშვილი გაციებულია და მას მედიკამენტებით "წითელი ჯვარი" ამარაგებს.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი თომას ჰამარბერგი ოს სეპარატისტთა ლიდერ ედუარდ კოკოითს ორჯერ შეხვდა. მეორე შეხვედრის დროს ჰამაბერგმა ოს სეპარატისტთა ლიდერს ცხინვალში გამართული შეხვედრების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. **"ცხინვალში გამართული შეხვედრები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მე პატივს ვცემ ყველაფერს, რაც თქვენ მითხარით. ჩემთვის ცნობილია, რომ ტირძნისელი ბავშვების სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება და სასამართლომდე არაფრის გაკეთება არ შეიძლება. სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას და იგი იქნება დემონსტრირება იმისა, რომ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური მოსაზრებებით არ იქნება ნაკარნახევი,"** - განაცხადა ჰამარბერგმა .

მეორე შეხვედრის დროს ჰამერბერგმა ედუარდ კოკოითს პრობლების გადაჭრის თავისი ხედვა წარუდგინა. ჰამარბერგის შეთავაზებით, ოსურმა მხარემ უნდა გაათავისუფლოს მის მიერ დაპატიმრებული ტირძნისელი არასრულწლოვნები. ოსური მხარის ამ ნაბიჯების შემდეგ კი ჰამერბერგი საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზებს, ანალოგიური ნაბიჯები გადადგას და ქალაქ გორში ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთი მოქალაქე გაათავისუფლოს. **"ამით ჩვენ შევძლებთ, ოდნავ მაინც დავძრათ ის პროცესი, რომლის განვითარების იმედიც ყველას გვაქვს. თუ თქვენ მე აქედან ხელცარიელს გამიშვებთ, მე არ მექნება საშუალება, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა მოვახდინო,"** - განუცხადა ჰამარბერგმა კოკოითს.

ჰამერბერგის შეთავაზებაზე პასუხად კოკოითმა განაცხადა, რომ იგი ამ საკითხის პოლიტიზირებას არ აპირებს. **"ჩვენ ახლა პოლიტიკას კი არ ვთამაშობთ. არის კანონი, არის კონსტიტუცია და ჩვენ მკაცრად კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ. ამჟამად ჯერ კიდევ საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს და სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე რამეზე საუბარი ნაადრევია,"** - განაცხადა კოკოითმა.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თქმით, ის გააგრძელებს მუშაობას, რათა დაკავებულთა გათავისუფლებას მიაღწიოს. ცხინვალში თომას ჰამერბერგი დღეს ჩავა. ქართველი მოზარდების სასამართლო პროცესიც დღეს გაიმართება.

## ეროვნული ბანკის საბჭოს 3 ახალი წევრის თანამდებობაზე კანდიდატები უკვე შერჩეულია

ეროვნული ბანკის გაზრდილი საბჭოს 3 ახალი წევრის თანამდებობაზე კანდიდატები უკვე შერჩეულია. კანდიდატებად დასახელებული არიან: არჩილ მესტვირიშვილი, ოთარ ნადარაია და ლაშა ჯუღელი.

პრეზიდენტმა პარლამენტს კანდიდატები დღეს წარუდგინა, საკითხი კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე ითქვა, სამივე კანდიდატურა შერჩეულია პროფესიული ნიშნით. კომიტეტმა კანდიდატებს ერთხმად დაუჭირა მხარი.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა რამდენიმე თვის წინ განხორციელებული ცვლილების თანახმად გაიზარდა. ეს ნორმა კი ძალაში დღეიდან შევიდა. **ინტერპრესნიუსი**

## აჭარაში მდებარე ოთხი ობიექტი აუქციონზე გაიყიდა

აჭარაში მდებარე ოთხი ობიექტი აუქციონზე გაიყიდა. აჭარის ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ქობულეთში, პოპოვის №4-ში მდებარე 390 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 408 კვ.მ მიწის ნაკვეთი 10 200 ლარად გაიყიდა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, აბაშიძის №9-ში მდებარე 121,2 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 862 კვ.მ მიწის ნაკვეთი 10 710 ლარად იქნა პრივატიზებული; ბათუმში, თამარის დასახლება სახლი №10-ში მდებარე 73,29 და 10,7 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართები კი - 19 300 ლარად.

შპს-მ "იბერია ჯ" 4 080 ლარად იყიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს ბალანსზე რიცხული შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტაკიძეებში განთავსებული 4 ერთეული რეზერვუარი. აღნიშნული აუქციონიდან მთლიანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში 18 560 ლარი შევა. **ინტერპრესნიუსი**

## ნოემბრის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" 10 325 აქცია გაიყიდა

თბილისის საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" 10 325 აქცია გაიყიდა, რაც ოქტომბერში გაყიდულთან შედარებით 1 259 ფასიანი ქაღალდით ნაკლებია.

ნოემბრის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" აქციებზე 25 გარიგება დაიდო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ 132 825 ლარი შეადგინა.

"საქართველოს ბანკის" აქციებზე გასული თვის განმავლობაში ყველაზე მაღალი ფასი 25 ნოემბრის ვაჭრობაზე დაფიქსირდა და 13.700 ლარით განისაზღვრა, ხოლო ყველაზე დაბალი ფასი 6 ნოემბრის ვაჭრობაზე - 12.000 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "სახალხო ბანკის" 2 697 427 ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "სახალხო ბანკის" 2 697 427 ფასიანი ქაღალდი გაიყიდა. გასული თვის განმავლობაში ბანკის აქციებზე 158 გარიგება დაიდო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ 165 211 ლარი შეადგინა.

ნოემბრის განმავლობაში "სახალხო ბანკის" მაქსიმალური ფასი - 0.079 ლარით, ხოლო მინიმალური 0.050 ლარით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

## ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელად დავით ქარსელაძე დაინიშნა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელად დავით ქარსელაძე დაინიშნა. როგორც "პირველს" საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი ღვალაძემ განუცხადა, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე დღეიდან საგამოძიებო სამსახურს ქარსელაძე უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს ახალი საქვეუწყებო დაწესებულება - საგამოძიებო სამსახური "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილებების თანახმად შეიქმნა და დღეიდან ამოქმედდება.

კანონის თანახმად, საგამოძიებო სამსახურის უფროსს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით პრეზიდენტი ნიშნავს. შესაბამისად, მისი გათავისუფლებაც პრეზიდენტის პრეროგატივაა. ცნობისთვის, საგამოძიებო სამსახურის ძირითადი ამოცანა საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთაა. ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს.

ამ მიზნით სამსახურის თანამშრომლებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრული ყველა უფლება ეძლევათ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამსახურებრივი უფებამოსილების განხორციელებისას მათ უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენონ. ამასთან, აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებს რაიმე თანამდებობის დაკავება რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში, ასევე რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში ეკრძალებათ. **პირველი**

# სპორტული სული

## ყველასათვის სასურველი Porsche







სპორტული ავტომობილების მწარმოებელ კომპანიებს შორის Porsche უდავოდ გამორჩეული გახლავთ. იგი ხომ ათწლეულების მანძილზე დამოუკიდებლად უშვებს ძალზე პოპულარულ და ყველასათვის სასურველ ავტომობილებს, აღწევს წარმატებებს, გამორჩეულად დიდი სამოდელო რიგი აქვს და დიდძალი ფინანსური შესაძლებლობებით გამოირჩევა.

### დიდი ფერდინანდის პირმშო

1875 წლის 3 სექტემბერს ბოჰემიის პატარა ქალაქ მაფერსდოფში, ამჟამად ვრატისლავიცეში, დაიბადა კომპანიის მომავალი დამაარსებელი, ლეგენდარული ფერდინანდ პორშე. ინჟინრის განათლების მიღების შემდეგ იგი ცოტა ხანს მამასთან ერთად სანტექნიკოსად მუშაობდა, შემდეგ კი კომპანია Jacob Lohner-ში

მოეწყო და იქ ელექტრომობილი Lohner-Porsche Electric Car შექმნა.

1906 წელს იგი Austro-Daimler-ში გადავიდა და მალე მისი ხელმძღვანელი გახდა. მაგრამ ფერდინანდი ამით არ დაკმაყოფილდა და გერმანიას, კერძოდ კი, შტუტგარტს მიაშურა, სადაც თავისი საინჟინრო ოფისი და კომპანია Dr. Ing. h.c. F. Porsche AG დააარსა. 1923 წელს იგი კომპანია Daimler-ში მთავარ ინჟინრად მიიწვიეს, 1926 წელს კი ფერდინანდი გაერთიანებული კონცერნის Daimler-Benz-ის თავკაცად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან 2 წელი იმუშავა.

მალე პორშემ ფირმა NSU-საგან "სახალხო ავტომობილის" შექმნის შეკვეთა მიიღო. 1933 წელს მან შეიმუშავა მოდელი 32, რომელიც Volkswagen Beetle-ის წინამორბედი გახლდათ. სწორედ ფერდინანდის ხელმძღვანელობით აშენდა 1938 წელს Vokswagen-ის პირველი კონვეიერი. შემდეგ კი ომი დაიწყო, რომლის დროსაც პორშე არა ავტომობილებით, არამედ სამხედრო პროექტებით იყო დაკავებული. მათ შორის, მისი შექმნილია განთქმული ტანკი "ვეფხვი".

ომის დამთავრების შემდეგ 1948 წელს უკვე ფერდინანდის ვაჟის, ფერი პორშეს ხელმძღვანელობით შეიქმნა Porsche-ს მარკის პირველი ავტომობილი, მოდელი 64. ეს სპორტული როდსტერი სულ სამი ცალი იქნა გამოშვებული. კომპანიის პირველი სერიული ავტომობილი კი 356-ე მოდელი გახდა, რომელიც წარმოებაში იმავე წელს ჩაეშვა. მისი დიზაინი განთქმული ავსტრიელის ერვინ კომენდის შექმნილი გახლდათ, რომელიც Porsche-სთან მჭიდროდ თანამშრომლობდა.

აღსანიშნავია, რომ 356-ე მოდელი მთელი 11 წლის განმავლობაში წარმატებით და სხვადასხვა მოდიფიკაციით იწარმოებოდა, 1959 წელს კი გამოვიდა Porsche 356 B. იგი მისი წინამორბედის გაუმჯობესებული ვარიანტი იყო, მისგან უფრო მაღალი სისწრაფით და დახვეწილი დიზაინით გამოირჩეოდა.

1963 წლამდე 356-ე მოდელის კიდევ რამდენიმე ვარიანტი გამოვიდა, შემდეგ კი მას განთქმული 911-ე მოდელი ჩაენაცვლა. იგი ლეგენდარული კონსტრუქტორის შვილიშვილის, ფერდინანდ-ალექსანდრ პორშეს ხელმძღვანელობით შეიქმნა. ამ მოდელმა დიდი მოწონება დაიმსახურა, თუმცა იგი საკმაოდ ძვირი ღირდა და ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად 2 წლის შემდეგ

კომპანიამ გამოუშვა უფრო იაფფასიანი 912-ე მოდელი.

### სისწრაფე და ძალა

60-იან წლებში კომპანიის საქმეები ძალიან კარგად მიდიოდა. მისი ხელმძღვანელობა ცდილობდა, აქცენტი დაბალშემოსავლიან სექტორზე გაეკეთებინა. ამიტომაც, 1975 წელს იაფფასიანი 914-ე მოდელი გამოუშვეს. ამავე პერიოდში კონვეიერიდან ჩამოვიდა გაძლიერებული 911TR, რომელიც იმ დროის ერთ-ერთი უსწრაფესი ავტომობილი გახლდათ. თუმცა, Porsche ამაზე შეჩერებას არ აპირებდა. 1977 წელს გამოვიდა 928-ე მოდელი, რომელიც 240 ცხენისძალიანი ძრავით იყო აღჭურვილი.

კიდევ ორი წლის შემდეგ კი ფრანკფურტის ავტოსალონზე წარმოადგინეს 959-ე მოდელი, რომელშიც იმდროინდელი ტექნიკის ყველა მიღწევა იყო ჩაქსოვილი. ორი ტურბოგამაძლიერებლის მქონე მისი 3,2 ლიტრის მოცულობის ძრავი 449 ცხენისძალას ავითარებდა. ეს სუპერავტომობილი საოცრად პოპულარული გახდა და შემდგომი 6 წლის განმავლობაში 200 ათასი ცალი გაიყიდა.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში Porsche-მ რამდენიმე ძველი მოდელი განაახლა. 1997 წელს კი გამოვიდა შედევრად აღიარებული მოდელი Boxter-ი, რომელმაც კომპანიას საყოველთაო აღიარება და დიდძალი მოგება მოუტანა. ერთი წლის შემდეგ წარმოადგინეს მის ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტი, რომელიც მთელს მსოფლიოში ძალზე პოპულარული გახდა.

2000 წელს გამოვიდა 911-ე სერიის ფლაგმანი მოდელი Turbo. გარდა იმისა, რომ იგი უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული ორი ტურბინით იყო აღჭურვილი, საოცარი აეროდინამიკური თვისებებით გამოირჩეოდა და საათში 305 კმ სისწრაფეს ანვითარებდა. ახალი ათასწლეულის შემდგომ წლებში გამოვიდა კიდევ ერთი განთქმული მოდელი Carrera GT.

2002 წელს Porsche-მ ყველასათვის მოულოდნელად პირველად თავის ისტორიაში გამოუშვა მაღალი გამავლობის მქონე კროსოვერი Cayenne. იგი იმდენად პოპულარული და წარმატებული აღმოჩნდა, რომ სულ მალე კომპანიის ყოველწლიური გაყიდვების მოცულობის თითქმის ნახევარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 4,5 ლიტრის მოცულობის, 521 ცხენისძალიანი ძრავით აღჭურვილი ეს ავტომობილი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ჯიპია.

მას შემდეგ Porsche-მ კიდევ არაერთი განთქმული და პოპულარული მოდელი გამოუშვა და დიდძალი მოგება მიიღო. თუმცა, დიადი ფერდინანდის მემკვიდრეები მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებენ და უსაზღვრო ფინანსური შესაძლებლობების კომპანია ევროპის უმსხვილესი ავტომწარმოებლის - Volswagen-ის ხელში ჩაგდებას ცდილობს.

# "თბილისი ცენტრალის" რეკონსტრუქცია დასრულდა

### თბილისში "ა" კლასის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი გაიხსნება

მანანა ვარდიაშვილი

2010 წლის თებერვალში თბილისის ცენტრში, რკინიგზის ცენტრალური სადგურის შენობაში თანამედროვე სავაჭრო ცენტრი - "თბილისი ცენტრალი" გაიხსნება. "თბილისი ცენტრალი" 40 000 კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს. თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრი 20 000 კვადრატულ მეტრზე განთავსდება. პროექტის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე ცენტრი თავისი მოხერხებული ადგილმდებარეობით, სასიამოვნო გარემოთი და მრავალფეროვანი არჩევანით უამრავ მგზავრს მიიზიდავს. განახლებულ შენობაში ცნობილი ბრენდების მაღაზიები, სწრაფი კვების ობიექტები და ბავშვებისა და უფროსებისთვის განკუთვნილი გასართობი ადგილები გაიხსნება. ამასთან, გამარტივდება რკინიგზის სადგურის შენობაში მგზავრთა გადაადგილება და მათთვის თანამედროვე სალაროები და კომფორტული მოსაცდელები გაიხსნება.

პროექტს საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია (GRDC) ახორციელებს. პროექტის განხორციელების მიზნით GRDC-ს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 8,5-8,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გამოუყვეს. სავაჭრო ცენტრის გახსნის წინა ღონისძიებას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო.

სს "თბილისის ცენტრალს" ცენტრალური რკინიგზის ვაგზლის შენობა 49-წლიანი იჯარით 2006 წელს გადაეცა. კომპანია ორი ბიზნესჯგუფის - "საქართველოს რეკონსტრუქციის და განვითარების კომპანიის" (GRDC) და "ჯი-ემ-სი ჰოლდინგის" მიერ დაფუძნდა. შენობის რეკონსტრუქცია კომპანია "თბილისი ცენტრალის" დაკვეთით თურქულ-ქართულმა კომპანია "ერენპორტ-საქართველომ" განახორციელა.

"ეს პირველი თანამედროვე სავაჭრო ცენტრია, რომელიც თბილისში ექსპლუატაციაში შედის. ეს შენობა წლების განმავლობაში სიცარიელესთან, სიბინძურესა და უიმედობასთან იყო ასოცირებული. მადლობელი ვარ, რომ GRDC-მა თავის პარტნიორებთან ერთად ამ შენობას ახალი სული შთაბერა და ის პრაქტიკულად ახალ შენობად აქცია. თბილისში ასეთი სავაჭრო ცენტრის დეფიციტია. ტრაბიზონში არის შედარებით ახალი და თანამედროვე სავაჭრო ცენტრი. ამ ცენტრის ვაჭრობის ნახევარი საქართველოს მოქალაქეებზე მოდის. ამ ნახევრის 80 პროცენტს კი თბილისელები წარმოადგენენ. სტატისტიკის მიხედვით, თბილისელების დიდი ნაწილი სავაჭროდ ტრაბიზონში დადის. ისინი 6-7 საათის სავალ გზას გადიან იმისთვის, რომ აუცილებელი ნივთები შეიძინონ. ეს არანორმალური სიტუაციაა. ამ სიტუაციას ბოლო მოეღება და მივაღწევთ იმას, რომ ტრაბიზონის მაცხოვრებლებმა სავაჭროდ საქართველოში იარონ. და ეს არ არის გაზვიადება," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

GRDC-ის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ რკინიგზის ცენტრალური სადგურის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებს 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოხმარდა. აქედან 17 მლნ აშშ დოლარი IFC-სა და EBRD-ის ფინანსური რესურსია. "მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, GRDC-ი აგრძელებს და ახერხებს ინვესტიციების მოზიდვას. "თბილისი ცენტრალის" პროექტი სწორედ ამის დადასტურებაა. რკინიგზის ცენტრალური სადგურის განახლებული შენობის ექსპლუატაციაში შესვლა მოქალაქეების მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის. დიდი მადლობა IFC-სა და EBRD-ს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩვენი ჯგუფი ამ საერთაშორისო ინსტიტუტებიდან 10-წლიანი ურთიერთობის მანძილზე იღებს," - ამბობს GRDC-ის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე.

"თბილისი ცენტრალის" გენერალური დირექტორი ალექსანდრე რატიშვილი აცხადებს, ცენტრი თითქმის ყველა ფენის მომხმარებელზე იქნება გათვლილი. რაც შეეხება ფასებს, "თბილისი ცენტრალში" განთავსებული ბრენდ მაღაზიები თავად გადაწყვეტენ, რა ფასად შესთავაზებენ საკუთარ პროდუქციას მომხმარებელს. რატიშვილის განმარტებით, ეს იქნება მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი, რომლის ანალოგი ქართულ ბაზარზე ამ ეტაპზე არ არის. "თბილისი ცენტრალში" ამ ეტაპზე კომერციული ფართების 60 პროცენტი გაქირავებულია, გასაქირავებელი კვადრატული მეტრის ფასი კი 10-დან 30 დოლარამდე მერყეობს. სავაჭრო ცენტრში ტანსაცმლის, ავტომობილის, ავეჯის და ცნობილი ბრენდების მაღაზიები განთავსდება, ასევე გაიხსნება ჰიპერმარკეტ "გუდვილის" რიგით მესამე ობიექტი

GRDC-ი უძრავი ქონების წამყვანი საინვესტიციო კომპანიაა. მისი საქმიანობის არეალი საქართველოა. GRDC-ი 2004 წელს დაარსდა და ინვესტიციებს საოფისე, სავაჭრო, საკურორტო და უმაღლესი კლასის საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობაში ახორციელებს. GRDC-ის პორტფელში უძრავი ქონების 18 ობიექტი შედის. მათი საერთო ღირებულება დამოუკიდებელმა კონსულტანტებმა 300 მილიონ აშშ დოლარად შეაფასეს. ამ ეტაპზე GRDC-ის აქტივების ნომინალური ღირებულება დაახლოებით 180 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. წამყვანი საერთაშორისო ფონდებისა და ბანკების მიერ განხორციელებული ფინანსური ინვესტიციების შედეგად GRDC-ის კაპიტალი 105 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა.




## მუნიციპალურ ბიუჯეტებში ადგილობრივი ხელისუფლების შენახვის ხარჯები 30%-ს აღწევს

მუნიციპალურ ბიუჯეტებში ადგილობრივი ხელისუფლების შენახვის ხარჯები 30%-ს აღწევს. როგორც "პირWელს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, კახეთის მუნიციპალიტეტების 2010 წლის ბიუჯეტის პროექტებში ადმინისტრაციული ხარჯები მთელი ბიუჯეტის 30%-ს აღწევს. მათივე ინფორმაციით, ადგილობრივი ხელისუფლების შენახვის ხარჯები მკვეთრად აღემატება სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გათვალისწინებულ ხარჯებს. "თავისთავად ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის თითქმის მესამედი ადმინისტრაციულ ხარჯებზე მოდის, საკმაოდ დამაფიქრებელია. თუ გასული წლების მაგალითებს გავითვალისწინებთ, წლის განმავლობაში გაკეთებული საბიუჯეტო ცვლილებები ამ თანხას ალბათ კიდევ უფრო გაზრდის, შემცირება კი მას ნამდვილად არ ემუქრება," - აცხადებენ ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგზე მომუშავე ექსპერტები. მათივე განცხადებით, "ხარჯზე, რომელიც ფაქტობრივად ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებს, აღნიშნული ოდენობის თანხის გამოყოფა იმაზე მიანიშნებს, რომ სახელისუფლებო სტრუქტურები ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობებს ან არაადეკვატურად აფასებენ, ან მთავარ პრიორიტეტად სწორედ ზემოაღნიშნული მუხლის დაფინანსება ესახებათ".

ამასთან, ექსპერტების მტკიცებით, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაციული ხარჯები ბიუჯეტის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო დანარჩენი თანხა საზოგადოებრივი შეკვეთების შესრულებაზე უნდა მიიმართოს. **პირველი**

## 1 ნოემბრისთვის საბანკო სექტორში განთავსებული მთლიანი დეპოზიტების მოცულობამ 3.2 მლრდ ლარი შეადგინა

მიმდინარე წლის 1 ნოემბრისთვის საბანკო სექტორში განთავსებული მთლიანი დეპოზიტების მოცულობამ 3.2 მლრდ ლარი შეადგინა.

როგორც "პირველს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისთვის არსებულზე 4.1%-ით მეტია.

ბანკის ინფორმაციით, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების როგორც მიმდინარე ანგარიშების, ისე ვადიანი დეპოზიტების ზრდას, შესაბამისად, 1.8 და 5.5%-ით.

რაც შეეხება დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტს, მისმა მაჩვენებელმა მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის 73.1% შეადგინა.

ამასთან, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი - 76.0%-ს, ხოლო ევროს წილი 23.1%-ს შეადგენს. **პირველი**

## "საქართველოს რკინიგზა" წელს ბიუჯეტში სულ 100 მლნ ლარს შეიტანს

წელს "საქართველოს რკინიგზა" ბიუჯეტში ჯამში 100 მლნ ლარს შეიტანს. როგორც "საქართველს რკინიგზაში" განაცხადეს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებს შორის მომგებიანი საწარმოებიდან მოგების ყველაზე დიდი მაჩვენებელი - 95% სწორედ "საქართველოს რკინიგზას" აქვს. კერძოდ, "საქართველოს რკინიგზა" წელიწადში 116 მლნ ლარზე მეტს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განახლებაში ხარჯავს, რაც ისევ ქვეყნის ეკონომიკაში ჩაბრუნებული ფულია. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1440 საწარმოდან 80% არ მუშაობს და მხოლოდ 318-ია მომგებიანი. ცნობისთვის, უახლოეს მომავალში სახელმწიფო წამგებიანი საწარმოების გასხვისებას გეგმავს. **პირველი**

## "ჩვენ თვითონ" ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლიის შეზღუდვისა და წამლის ფასის რეგულირების მიზნით, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენას გეგმავს

პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენ თვითონ" ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მონოპოლიის შეზღუდვისა და წამლის ფასის რეგულირების მიზნით, უახლოეს მომავალში პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენას გეგმავს. ამის შესახებ დღეს, პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლიკა ნაღებაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, წამლებზე ფასები არა წლიურად, არამედ უკვე თითქმის ყოველდღიურად მატულობს, რამაც საგანგაშო ზღვარს მიაღწია.

"ბოლო ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ წამლებზე ფასები 150-300%-ით გაიზარდა, ზოგიერთი წამლის გასაყიდი ფასი მომწოდებლის ფასს 1000% აღემატება", - განაცხადა მან და დასძინა, რომ დღეს საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი ოლიგოპოლიურია, რომლის 85%-ს 2-3 მსხვილი კომპანია აკონტროლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფირმებს ფარული გარიგების და ფასების ხელოვნურად გაძვირების შესაძლებლობა აქვთ.

მისივე თქმით, მასობრივი სიღარიბისა და უმუშევრობის პირობებში, ყველაზე მცირე ფარმაცევტულ კომპანიას, რომელიც საქართველოში მედიკამენტების იმპორტს ახორციელებს, თვეში საშუალოდ 1-1,5 მილიონი ლარის ბრუნვა აქვს.

ამ კომპანიასთან შედარებით კი, ფარმაცევტული ბიზნესის ეგრეთ წოდებულ ლიდერ კომპანიებს "ავერსსა" და "პე-ეს-პეს", როგორც ნაღებაშვილი ამბობს, მარტო წამლების რეალიზაციიდან დაახლოებით 40-ჯერ მეტი ბრუნვა აქვთ, რაც თვეში 40-60 მილიონამდე ლარს შეადგენს.

## მუხროვანის ამბოხების პროცესი ახალ ეტაპზე გადავა

მუხროვანის სამხედრო ამბოხებისთვის განსასჯელების სასამართლო პროცესი დღეიდან ფარული ვიდეომასალის გამოქვეყნების ეტაპზე გადავა.

გამოქვეყნდება საზოგადოებისთვის ცნობილი ჩანაწერები, რომლებიც ტელევიზიებით გავრცელდა და ასევე უცნობი ფარული მასალები, რომლებიც არც ადვოკატებს უნახავთ.

სასამართლო პროცესი უკვე დასასრულს უახლოვდება. საქმეში 28 განსასჯელია. მათ ბრალი ედებათ ამბოხებაში და დაუმორჩილებლობაში. არეულობა მუხროვანის ბაზაზე 5 მაისს მოხდა.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსმა ოკუპანტებმა კიდევ 6 ქართველი დააკავეს

რუსმა ოკუპანტებმა კიდევ 6 ქართველი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, აგრესორებმა ხურჩა-ნაბაკევის საზღვარზე სამგზავრო მიკროავტობუსის მძღოლი გოჩა შამუგია და 5 მგზავრი აიყვანეს.

შამუგია გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების მკვიდრია. მას ზუგდიდის მიმართულებით თხილი და საკვები პროდუქტები გადაჰქონდა.

ოკუპანტებმა დატვირთულ მიკროავტობუსთან ერად მგზავრები გალის მიმართულებით წაიყვანეს. ამ დრომდე უცნობი რჩება დაკავებულების ადგილსამყოფელი.

რუსი სამხედროები მგზავრებს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ადანაშაულებენ და მათი ოჯახებისგან თანხის გადახდას ითხოვენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ციხის ბუნტში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი დღეს განახლდება

ციხის ბუნტისთვის განსასჯელი ქალების პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში განახლდება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ერთ-ერთი განსასჯელის ხათუნა სიჭინავას ადვოკატმა მევლუდ ჯანჯღავამ განუცხადა, სასამართლო პროცესი დაცვის მოწმეთა დაკითხვის ეტაპზეა გადასული და მათი მოწმეების დაკითხვა გაგრძელდება.

"წინა სასამართლო სხდომაზე დაიწყო დაცვის მოწმეების დაკითხვა. დაიკითხა ორი მოწმე. სულ 10-მდე მოწმეა დასაკითხი. ისინი მსჯავრდებულები არიან," - განაცხადა მევლუდ ჯანჯღავამ.

საქმეში 38 ქალია განსასჯელი. ბუნტი ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში 2009 წლის 18 აპრილს მოხდა.

*ინტერპრესნიუსი*

## სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლაგოდეხის სამსახურის უფროსი დააკავეს

იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლაგოდეხის სამსახურის უფროსი გიული ლომიძე დააკავა. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2009 წლის ნოემბერში სავალან ალიევს ყაზახეთის რესპუბლიკიდან დაუკავშირდნენ მეგობრები, საქართველოს მოქალაქეები თელმან ნოვრუზოვი და ჰაბილ ალიევი, რომლებმაც აუხსნეს, რომ მათ ყაზახეთში ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად სჭირდებოდათ ქორწინებაში არყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სავალ ალიევი შეხვდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლაგოდეხის სამსახურის უფროსს გიული ლომიძეს და სთხოვა ნოვრუზოვისა და ალიევის სახელზე გაეცა ქორწინებაში არყოფნის აღმნიშვნელი ცნობები. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლაგოდეხის სამსახურის უფროსი გიული ლომიძე დაპირდა სავალან ალიევს ცნობების გაცემას, სანაცვლოდ კი, ქრთამის სახით 200 ლარი მოსთხოვა (თითო ცნობაში 100-100 ლარი). 2009 წლის 24 ნოემბერს გიული ლომიძემ სავალან ალიევს გადასცა ცნობები მოქალაქეების თელმან ნოვრუზოვისა და ჰაბილ ალიევის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის შესახებ, რისთვისაც მიიღო ქრთამი - 200 ლარი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# მწვავე დებატები გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით

ხათუნა ჯანგირაშვილი

***"პარლამენტი არ არის ის ადგილი, სადაც პოლტიკური კარიერა უნდა კეთდებოდეს რომელიმე მკვლელობის გამო. სხვის უბედურებაზე პოლიტიკური ქულების დაწერის საშუალებას ჩვენ არავის მივცემთ და არც ჩვენ უნდა მოგვცეს ვინმემ ამის უფლება,"*** *- ასე შეფასდა საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" მოთხოვნა გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე.*

***"ერთი და იმავე წრეზე სიარულს თავი დაანებეთ,"*** *- ასეთი რჩევა მისცეს რამდენიმესაათიანი მწვავე დებატებისას უმრავლესობის წევრებმა მოთხოვნის ავტორებს. საბოლოოდ, კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ გახმაურებული მკვლელობების გამოსაძიებლად საკანონმდებლო ორგანოში სპეციალური კომისია არ შეიქმნება. იმის დასადასტურებლად და დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა შეიქმნას კომისია და რატომ - არა, დეპუტატები საკუთარი არგუმენტებით ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ.*

**"ქრისტიან-დემოკრატებს" პარლამენტი და პლენარულ სხდომათა დარბაზი გადაცემა "დროებაში" ერევათ,"** - ასეთი დასკვნა გააკეთეს გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით საპარლამენტო დროებითი კომისიის შექმნის მოწინააღმდეგეებმა "ქრისტიან-დემოკრატებთან" დავაში.

**"ნაციონალურ მოძრაობას" სიტყვა "გამოძიების" ეშინია და საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივის გაზიარებაც სწორედ ამ მიზეზით არ ხდება,"** - ეს დასკვნა კი კომისიის შექმნის იდეის ავტორებს ეკუთვნით.

გუშინდელ საპარლამენტო სესიაზე დიდი ხნის განმავლობაში ირჩეოდა ბოლო წლებში ჩატარებული სპეცოპერაციების კანონიერება-არაკანონიერების და გახმაურებული მკვლელობების დეტალები. ვაზაგაშვილი, რობაქიძე, გირგვლიანი, გამცემლიძე, აფრასიძეები - ეს გვარებიც არა ერთხელ გაისმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების მსჯელობის საგანი სამართალდამცველებისა და მოსამართლეების მუშაობის შეფასებაც გახლდათ.

საგამოძიებო კომისიის შექმნის ავტორებმა სხდომაზე კონკრეტულ მკვლელობებთან დაკავშირებული ფოტომასალებიც წარადგინეს და განაცხადეს, რომ სწორედ ეს ფოტომასალები მიუთითებს საქმეებში აღმოჩენილ ახალ გარემოებებზე, რომლებსაც განსაკუთრებული და აუცილებელი გამოძიება სჭირდება.

**"რომელ ქვეყანაში ხდება, რომ მკვლელობის დეტალებზე დებატებში პოლიტიკოსები ერთვებოდნენ. ძალიან მტკივნეულია, როცა ერთი ოჯახის ტრაგედია პოლიტიკური დებატების საგანი ხდება,"** - განაცხადა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა და ოპოზიციას გარდაცვლილების ოჯახების პატივისცემისკენ მოუწოდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი, როგორც თავად განაცხადა, დარწმუნებულია, რომ ოპოზიცია გახმაურებული მკვლელობებზე კომისიის შექმნის მოთხოვნით, სხვის ტრაგედიას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

**"თუკი "ქრისტიან-დემოკრატებს" მართლაც სურვილი აქვთ რომელიმე საქმის გამოძიების, მაშინ აჭარაში არსებული ადრინდელი დარღვევების გამოძიებაზე იმუშავებდნენ და ბადრი პატარკაციშვილის ფინანსურ მაქინაციებსაც გამოიძიებდნენ. გახმაურებული მკვლელობები კი, რაზეც "ქრისტიან-დემოკრატები" საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ, უკვე გამოძიებულია და ყველა დამნაშავე ადეკვატურად არის დასჯილი. როცა ვლაპარაკობთ სამართლიანობაზე, მინდა შეგახსენოთ, რომ ეს, ის ხელისუფლებაა, რომელიც არ ერიდება სამართლდამცველებისა და საკუთარი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავებას და დამნაშავეების დასჯას. ყველა საქმე ბოლომდეა მიყვანილი,"** - განუცხადა ოპოზიციონერ დეპუტატებს აკაკი მინაშვილმა.

**"ამ გახმაურებული მკვლელობების გამოძიებით დადსტურდება, რამდენად შესაძლებელია ქვეყნის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას სამართლიანობის აღსადგენად არანაირი ნაბიჯის გადადგმა არ სურს. მომხდარი ფაქტები აღარ არის პირადი ტრაგედია და ისინი მის ფარგლებს უკვე გასცდა. ეს მკვლელობები სათანადოდ რომ ყოფილიყო გამოძიებული და დამნაშავეებიც სათანადოდ დასჯილნი, შესაძლოა, მართლაც შეფასებულიყო პირად ტრაგედიად. მოვიქცეთ ისე, როგორც სახელმწიფოს ეკადრება. აუცილებელია, მოსახლეობას სამართლიანობის განცდა გაუჩნდეს,"** - ასეთი იყო "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენლების ერთიანი პოზიცია. მათ მოსამართლეების საქმიანობაც შეფასეს და იმ სამი მოსამართლის მიმართ მოითხოვეს დისციპლინური დევნის დაწყება, რომლებმაც 23 ნოემბერს დაკავებულ მოძრაობა "7 ნოემბრის" სამ წევრს ადმინიტრაციული სასჯელი - 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. გიორგი თარგამაძის განცხადებით, ამ შემთხვევაში მოსამართლეებმა პიდაპირი ძალადობა გამოავლინეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მშვიდად და წყნარად აპირებდნენ პროტესტის გამოხატვას პარლამენტის კიბეებთან.

**"მოსამართლეებმა მათ ყურით მოთრეული ბრალდების გამო დააკისრეს ჯარიმა, თანაც ისე, რომ არც კი ნახეს ის კადრები, რომლებიც დაცვის მხარემ წარადგინა და რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდებს პოლიციისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩვენ ბოლომდე მივყვებით ამ საქმეს, რომ ასეთი მოსამართლეები აღარ არსებობდნენ,"** - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

თუმცა, "ქრისტიან-დემოკრატებმა" მოსამართლეების მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება უპრეცედენტოდ შეაფასეს და მაგალითად აფხაზეთის ომის ვეტერანის სასარგებლოდ გამოტანილის გადაწყვეტილება დაასახელეს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოპოზიცონერმა წევრმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ომის ვეტერანი, კაპიტანი ლევან ბლუაშვილი სასამართლომ გაამართლა და სახელმწიფოს მიმართ გამამტყუნებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ლალიაშვილმა ხაზი გაუსვა, იმას, რომ სახელმწიფომ ვახტანგ გორგასლის ორდენის მფლობელს "თაღლითი" უწოდა და 2 ათას დოლარს ედავებოდა, თუმცა ბლუაშვილმა საკუთარი სიმართლე დაამტკიცა.

**"მოხარული ვარ, რომ ქვეყანაში დარჩენილები არიან მოსამართლეები, რომელთაც შინაგანი პატიოსნება ამოძრავებთ",** - განაცხადა დეპუტატმა.

გარდა უმრავლესობის წევრებისა, მოსამართლეების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზე ოპოზიციონერ დეპუტატებს პასუხი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემაც გასცა და პოლიტიკოსებს სასამართლოსთან დაკავშირებული განცხადებების გაკეთებისას პასუხისმგებლობის გამოჩენისაკენ მოუწოდა.

**"შეიძლება პრეტენზიები გვქონდეს, მაგრამ მისი გამოხატვა ისე უნდა ვისწავლოთ, რომ არ დაზიანდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა და საზოგადოების თვალში მისი ნდობა და აღქმა",** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დასწრების საშუალება არ მიეცათ ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და გიორგი გამცემლიძის მშობლებს, რომლებიც პარლამენტის შენობაში არ შეუშვეს. საშვები, რომელიც მათ სახელზე დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ დაუშვა, გაუქმებული აღმოჩნდა. გუშინდელ სხდომაზე ეს ფაქტი ლორთქიფანიძემ გააპროტესტა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და გიორგი გამცემლიძის მშობლებს პარლამენტის შენობაში შესვლის უფლება მხოლოდ იმიტომ არ მიეცათ, რომ მათი გვარები ერთიან სიაში იყო გადაცემული, იმ ადამიანების გვარებთან ერთად, რომლებმაც, თავის დროზე, დეპუტატებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. საუბარია მოძრაობა "7 ნოემბრისა" და "დაიცავი სიცოცხლის" წევრებზე.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის განცხადებით, იმ ადამიანებს, რომლებიც დეპუტატებს წყალს ასხამდნენ და კვერცხებს ესროდნენ, პარლამენტის სესიაზე დასწრების საშუალება არ უნდა მიეცეთ.

**"მათ მიმართ ყველა ჩვენგანს, მიუხედავად პოზიცია-ოპოზიციისა, განსხვავებული დამოკიდებულება უნდა გვქონდეს. ეს არის ღირსების საკითხი,"** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

# ადვოკატი გამოძიების ვერსიებს უარყოფს

*უშიშროების ყოფილი მინისტრის თამაზ ნინუას და მისი მეუღლის ეთერ ნინუას განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ თამაზ გოგიას ადვოკატის საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხს თბილისის სააპელაციო სასამართლო კვირის ბოლომდე გადაწყვეტს.*

თამაზ გოგიას ადვოკატ დავით აბესაძის განცხადებით, შესაძლოა, სააპელაციო სასამართლომ საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს, ან განხილვაზე საერთოდ უარი თქვას.

**"ასეთი პრაქტიკაა დამკვიდრებული სასამართლოს საქმიანობაში და ამ საქმის წარმოებაში მიღებაზეც, შესაძლოა სააპელაციო სასამართლომ უარი თქვას. კვირის ბოლომდე გადაწყდება წარმოებაში მიღების საკითხი,"** - განაცხადა აბესაძემ.

ადვოკატი დავით აბესაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ ბრძანების გაუქმებას ითხოვს, რომლითაც გოგიას აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება შეეფარდა.

ადვოკატი გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებში ბრალდებულის კავშირს ვერ ხედავს. მისივე თქმით, საეჭვოა ასევე გამოძიების მტკიცება მკვლელობის მოტივაციასთან დაკავშირებით.

**"ფირმაში, კერძოდ შპს "კერაში" ნინუას არანაირი წილი არ ჰქონდა. ეს გოგიას ფირმა იყო და ნინუა უბრალოდ მოადგილედ დაიქირავა, რომელსაც ფირმის ამუშავების შემთხვევაში მაღალი ხელფასი ექნებოდა. ფირმა ვერ ამუშავდა, 600 000 დოლარი ვალი დაედო და გადაწყდა მისი გაყიდვა. როცა ამბობენ, ნინუასთვის ფული რომ არ მიეცა იმიტომ მოკლაო, რა უნდა მიეცა ნინუასთვის, ვალს არც ჰყოფნიდა ფირმის გაყიდვიდან შესული თანხა,"** - განაცხადა აბესაძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თამაზ გოგიას აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება 28 ნოემბერს რამდენიმე მტკიცებულების საფუძველზე შეუფარდა.

გამოძიების მტკიცებით, გოგიამ თამაზ ნინუას მკვლელობა ანგარებით განიზრახა. გამოძიებისთვის დაუდგენელ დროში და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, კერძოდ ვაზნები, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. 11 ნოემბერს ღამის საათებში განზრახ ანგარებით მოკვლის მიზნით ნინუას მიაყენა ცეცხლნასროლი ჭრილობა. დანაშაულის დაფარვის მიზნით, იმავე ოთახში მყოფ ნინუას მეუღლეს ეთერ ნინუასაც მიაყენა ჭრილობა. ორივე მათგანი გარდაიცვალა.

გოგია დანაშაულს არ აღიარებს. მას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლის I და II ნაწილებით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ასევე ბრალდებულია 236 მუხლის I და II ნაწილებით, იარაღის უკანონო-შეძენა-შენახვა-ტარებაში. ის თბილისის პოლიციის და თბილისის პროკურატურის მიერ ერთობლივი მუშაობის შედეგად 27 ნოემბერს დააკავეს.

ნინუა და მისი მეუღლე 11 ნოემბერს მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე საკუთარ ბინაში მოკლულები იპოვეს.

*ინტერპრესნიუსი*

# ამერიკა ავღანეთში დამატებით ძალებს გააგზავნის

მარიკა იაშვილი

პრეზიდენტმა ობამამ ავღანეთთან მიმართებით შეერთებული შტატების სტრატეგია საბოლოოდ დაამტკიცა და თავისი გეგმები მსოფლიო ლიდერებსაც გააცნო. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელი აცხადებს, ობამამ ავღანეთში დამატებითი სამხედრო ძალების გაგზავნის საკითხი, სამხედრო მეთაურებთან ერთად, ოფიციალურად კვირა საღამოს განიხილა, ხოლო ორშაბათს თავისი გადაწყვეტილება რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერებს შეატყობინა.



ბარაკ ობამამ ავღანური კონტინგენტის გაზრდის შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა და სამხედრო ხელმძღვანელობას შესაბამისი დავალებებიც მისცა. მიღებულ გადაწყვეტილებაზე ოფიციალური განცხადება კი სამშაბათს გააკეთა. ამერიკული მედიის ცნობით, ამერიკის პრეზიდენტმა ავღანეთში დამატებით 30 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო.

თეთრი სახლის პრესსპიკერ რობერტ გიბსის ცნობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ობამა სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს, თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსს და მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში ჯეიმს ჯოუნსს შეხვდა. ამის შემდეგ პრეზიდენტი ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის მეთაურს, გენერალ სტენლი მაკკრისტალსა და ამერიკის ელჩს ქაბულში - კარლ აიკენბერის დაუკავშირდა. ამ დროისთვის ავღანეთში ამერიკული კონტინგენტი 68 ათას ჯარისკაცს შეადგენს, ხოლო საერთაშორისო კოალიციის ძალების საერთო რაოდენობა 100 ათას სამხედრო პირს აღემატება. ახალი სტრატეგით, სამხედრო შენაერთებს კონკრეტული მიზანი ექნებათ და მის მისაღწევად გარკვეული დრო მიეცემათ, ნაწილობრივ შეიზღუდება დაფინანსება. ყურადღება მიექცევა ავღანელების გაწვრთნას, აგრეთვე ამ ქვეყანაში კორუფციასთან სერიოზულ ბრძოლას.

ავღანეთში კონტინგენტის გაზრდას ამერიკის მთავარი მოკავშირე დიდი ბრიტანეთიც დათანხმდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ დეკემბერში ქაბულში დამატებით 500 ჯარისკაცს გაგზავნის. შედეგად ავღანეთში ბრიტანელ სამხედროთა რაოდენობა 10 ათასს გაუტოლდება. პრემიერ-მინისტრის თქმით, ბირიტანელთა უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა ქვეყნის ხელმძღვანელობა "ალ კაიდას" მხრიდან მომავალ საფრთხესთან გამკლავებას. პარლამენტში გამოსვლისას ბრაუნმა განაცხადა, რომ ავღანეთში კონტინგენტის რაოდენობის გასაზრდელად კიდევ რვა ქვეყანა არის მზად.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ დაადასტურა, რომ რომი მზად არის, ამერიკისა და ბრიტანეთის მაგალითს მიბაძოს. ამ დროისთვის ავღანეთში 3.2 ათასი იტალიელი სამხედრო იმყოფება.

# იაპონელებმა მძარცველების დასაკავებლად ახალი მეთოდი გამოიგონეს

იაპონელმა გამომგონებლებმა მძარცველების დასაკავებლად ახალი მეთოდი გამოიგონეს, რომლითაც ბოროტმოქმედის მოძებნა სუნით იქნება შესაძლებელი. სპეციალური სითხე, რომელიც ნებისმიერ ოთახში დამაგრდება მოქმედებას ანუ სპეციფიკური სუნის გამოშვებას, ჰაერის ტემპერატურის მიხედვით, მაქსიმუმ 5 წუთში იწყებს. სპეციფიკური სუნი ოთახში მყოფი პირის ტანზე მინიმუმ ერთი კვირის განმავლობაში რჩება და ვერც ბანაობა და ვერც ცხელი აბაზანის მიღება სუნს ვერ აქრობს.

დასაკავებელი მოწყობილობა სამმა იაპონურმა კომპანიამ ერთობლივად შექმნა. ისინი თავიანთ გამოგონებას ბანკების, მაღაზიების, ოფისების მეპატრონეებს სთავაზობენ. მოწყობილობა, სიგნალიზაციის პრინციპით მუშაობს და შენობაში შესვლისთანავე იწყებს მუშაობას. ათას დოლარად შეფასებული სიახლე გაყიდვაში მალე გამოვა.

სხვადასხვა ქვეყნებში დამნაშავეების დასაკავებლად დიდი ხანია იყენებენ საღებავიან კაფსულებს, რომლებსაც ფულის შეკვრებში ათავსებენ. კაფსულა ყველაზე მოულოდნელ მომენტში სკდება და მძარცველის სხეულსა და ტანსაცმელზე ძალზე ძნელად მოსაცილებელ ლაქას ტოვებს, რომლითაც, მისი პოვნა ადვილია. მძარცველი ასევე ვერ ისარგებლებს შეღებილი ფულითაც.

# ტელეწამყვანს ჯადოქრობისთვის სიკვდილით დასჯიან

ტელეკომპანია Sky News-ის ინფორმაციით, საუდის არაბეთში ტელეწამყვანს, რომელიც ჯადოქრობაში იყო ბრალდებული, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ლიბანის მოქალაქე ალი საბატი, გასულ წელს მექაში ლოცვისას დააკავეს. მიმდინარე წლის 9 ნოემბერს კი სასამართლომ იგი შავ მაგად აღიარა და სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.



ალი საბატს იმისთვის დასჯიან, რომ ლიბანის თანამგზავრულ არხზე რეგულარულად მიჰყავდა გადაცემა, სადაც მომავალს წინასწარმეტყველებდა და მაყურებელს რჩევებს აძლევდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამა თუ იმ შემთხვევაში. მსჯავრდებულის განცხადებით, მას ადვოკატთან დაკავშირების საშუალება არ მისცეს, შემდეგ კი მოტყუებით აიძულეს აღიარებითი ჩვენება მიეცა.

სასამართლო განაჩენმა ადამიანის უფლებების დამცველების აღშფოთება გამოიწვია. "საუდის არაბეთის მოსამართლეები სანქციას გასცემენ ჯადოქრებზე სანადიროდ," - განაცხადა ორგანიზაცია Human Rights Watch-ის წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში სარა ლეაუიტსონმა.

Human Rights Watch-ის მონაცემებით, გასული ერთი თვის განმავლობაში, საუდის არაბეთში ჯადოქრობის ბრალდებით კიდევ ორი ადამიანი დააკავეს. ქალაქ ჯიდაში ადგილობრივი მაცხოვრებლის სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიაზე ჯადოქრული წიგნის შეტანა ბრალდება. მეორე პირი კი პოლიციამ შავი მაგობისთვის იმის გამო დააკავა, რომ ოჯახურ კონფლიქტებს აგვარებდა და შეყვარებულ წყვილებს ხიბლავდა.

2006 წელს ქალაქ ჯიდას სასამართლომ ადგილობრივ მკვიდრს მუჰამედ ბურხანას 20 თვით თავისუფლების აღკვეთა და 300 როზგი თაღლითობისთვის მიუსაჯა. მას აღმოუჩინეს ტიგრინიას ენაზე დაწერილი წიგნი. პროკურორებმა ჩათვალეს, რომ ეს წიგნი მოსაჯადოებელი თილისმა იყო.

გაერო-ს მონაცემებით, "ჯადოქრებს" ბევრ ქვეყანაში სიკვდილით სჯიან. ოფიციალურად, შავ მაგს სასიკვდილო განაჩენი ემუქრება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებში. "ჯადოქრებს" სასამართლოს გვერდის ავლით უსწორდებიან ინდოეთში, ნეპალში, განაში, მოზამბიკაში, ნიგერიაში, ანგოლაში, ახალ გვინეაში, მექსიკაში. მიმდინარე წლის ზაფხულში, გაერო-ს სპეციალურ მოხსენებაში მომხსენებელმა ფილიპ ოლსტონმა განაცხადა, რომ ტანზანიაში, ყოველწლიურად ჯადოქრობაში ეჭვმიტანილ რამდენიმე ათას ქალს კლავენ.

## ჰააგის სასამართლო კოსოვოს დამოუკიდებლობის კანონიერებას განიხილავს

გუშინ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში დაიწყო მოსმენა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს კოსოვოს მიერ სერბეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადება ცალმხრივი წესით. სასამართლო სერბეთის მოთხოვნით მიმდინარეობს. მსგავს საკითხს გაერო-ს სასამართლო პირველად იხილავს, ცხადია იმის გამო, რომ ეს საერთოდ პირველი ასეთი შემთხვევაა. კოსოვომ დამოუკიდებლობა შარშან გამოაცხადა და ის უკვე 63-მა ქვეყანამ ცნო (მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოების უმრავლესობამ), თუმცა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება გაერო-ს რეზოლუციით სანქცირებული არ ყოფილა, ამის წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთი და ჩინეთი. სასამართლო მოსმენები 11 დეკემბრამდე გაგრძელდება, მასში 30-მდე სახელმწიფოს, მათ შორის აშშ-ს და რუსეთის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ვერდიქტი რამდენიმე თვის შემდეგ არის მოსალოდნელი. აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონის თანახმად, სავალდებულო შესასრულებელი არ არის. დღეს მთელი მსოფლიო იმის გამოცნობას ცდილობს, შექმნის თუ არა სასამართლო საშიშ პრეცედენტს. ასე ცალმხრივად აქვს გამოცხადებული დამოუკიდებლობა რამდენიმე ავტონომიურ სტრუქტურას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სერბეთი ახალ მოლაპარაკებებს და საკითხის ახლებურად შეფასებას ელოდება, კოსოვო კი საკუთარ დამოუკიდებლობას შეუქცევადად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ აქ განსახილველი არაფერია.

## სომალელი მეკობრეების ხელში 20-მილიონიანი ტანკერი აღმოჩნდა

ბერძნულ სუპერტანკერ "მარან სენტაურუსს", რომელიც 29 ნოემბერს სეიშელის კუნძულებიდან 1100 კილომეტრზე სომალელ მეკობრეებს ჩაუვარდათ ხელში, 20 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობი გადაჰქონდა საუდის არაბეთიდან ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ ახალი ორლეანის მიმართულებით. ტანკერს დაცვა არ ახლდა და ნელი ტემპით - 11 საზღვაო კვანძის სიჩქარით მოძრაობდა, რის გამოც მეკობრეების იოლი ნადავლი გახდა. ცხრა მეკობრე მას ორი ძრავიანი ნავით დაეწია. გემის ბორტზე იმყოფებოდა ეკიპაჟი 9 ბერძნის, 16 ფილიპინელის, ორი უკრაინელისა და ერთი რუმინელის შემადგენლობით. არსებული ინფორმაციით, ისინი არ დაზარალებულან. ამჟამად ტანკერი სომალის სანაპიროსკენ, მეკობრეების ერთ-ერთი ბაზისკენ მიცურავს. ჯერჯერობით არ არის ინფორმაცია იმ გამოსასყიდ თანხაზე, რასაც მეკომბრეები გემის სანაცვლოდ მოითხოვენ. "მარან სენტაურუსი" მეკობრეების ყველაზე სერიოზული ნადავლია მას შემდეგ, რაც მათ საუდის არაბეთის სუპერტანკერი "სირიუს სტარი" ჩაიგდეს ხელში. ამ უკანასკნელში მაშინ სომალელმა მეკობრეებმა 3 მილიონი ევრო მიიღეს.

## ყაბარდო-ბალყარეთში ოპოზიციის აქტივისტებს უმოწყალოდ სცემეს

ყაბარდო ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში ორი საზოგადოებრივი ორგანიზაციის "ხასეს" და "ჩერქეზული კონგრესის" ოფისები დაარბიეს. ოფისებში შეჭრილმა ადამიანებმა იქ მყოფ აქტივისტებს სცემეს. "ჩერქეზული კონგრესის" ლიდერ რუსლან კეშევს გაუტეხეს ცხვირი, ორ ადგილას ხელი და სხვა ტრავმებიც მიაყენეს. ორივე ეს ორგანიზაცია ადიღი ხალხის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის იბრძვის და ყაბარდო-ბალყარეთის ორ ნაწილად გაყოფის მომხრეა. მანამდე თავს დაესხნენ სხვა აქტივისტებსაც, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ოპოზიციაში არიან. ორჯერ არის ნაცემი ბალყარელების ერთ-ერთი ლიდერი ოიუს გურტუევი. კიდევ ერთ ლიდერს დალხატ ბაიდაევს მანქანა დაუწვეს.

## ირანის სამხედროებმა ბრიტანელების იახტა დააკავეს

ირანის სამხედრო საზღვაო ძალების კატერმა დააკავა იახტა "ბახრეინის სამეფო", რომელიც საერთაშორისო რეგატაში მონაწილეობის მისაღებად ბახრეინიდან დუბაისკენ მიემართებოდა. როგორც ჩანს, ის კურსს ასცდა და შემთხვევით აღმოჩნდა ირანის ტერიტორიულ წყლებში. იახტაზე, რომელიც გუნდ "პინდარს" (Pindar) ეკუთვნის, ხუთი ბრიტანელისგან შემდგარი ეკიპაჟი იმყოფებოდა. ეს შემთხვევა 25 ნოემბერს მოხდა, მაგრამ მედიისთვის მხოლოდ გუშინ გახდა ცნობილი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევდა, რომ უფრო ადვილი იქნებოდა თავისი მოქალაქეების გასათავისუფლებლად ირანელებთან მოლაპარაკებების დახურულ რეჟიმში წარმოება, მაგრამ ინფორმაციის პრესაში გაჟონვის შემდეგ ეს ცნობა დაადასტურეს. ბრიტანელები ირანის ტერიტორიაზე იმყოფებიან, თავს კარგად გრძნობენ და მათ პატივისცემით ეპყრობიან. ზოგიერთი ინფორმაციით, მათი გათავისუფლება ირანში უქმეებმა შეაფერხა.

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა

**მარიკა იაშვილი**



*ჰერმან ვან რომპაი*

ლისაბონის ხელშეკრულება, ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის მიერ რატიფიცირებული ძირითადი დოკუმენტი, 1 დეკემბერს ოფიციალურად შევიდა ძალაში. დოკუმენტი ევროკავშირის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გამარტივებისა და მსოფლიო პოლიტიკაში მისი როლის გაზრდისკენ არის მიმართული.

შეთანხმება ორ ახალ საკვანძო პოსტს - ევროკავშირის პრეზიდენტისა და ორგანიზაციის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თანამდებობებს აწესებს. დოკუმენტის ძალაში შესვლის გამო ოფიციალური ღონისძიებები პორტუგალიის დედაქალაქში ჩატარდა, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები შეიკრიბნენ.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედება ერთი შეხვედვით დიდ მოვლენად არც მივიჩნიოთ, მაგრამ ევროკავშირის მუშაობაში ის სრულიად რეალურ ცვლილებებს გამოიწვევს. დოკუმენტის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ის ევროპას ბევრად უფრო დემოკრატიულს და ეფექტურს გახდის, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ბრიუსელისთვის ძალიან დიდი უფლებამოსილების გადაცემა მოუწევთ.

ამ ტიპის დოკუმენტზე ლაპარაკი ევროპელებმა პირველად 8 წლის წინათ დაიწყეს. მის მიღებისთვის ბოლო წინააღმდეგობა მიმდინარე წლის ნოემბერში გადაილახა, როდესაც ხანგრძლივი სასამართლო პროცესების შემდეგ დოკუმენტს ჩეხეთმა მოაწერა ხელი.

ამ მოვლენიდან სულ მალე ევროკავშირის ოფიციალური პირებიც აირჩიეს - ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი ბელგიის აწ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰერმან ვან რომპაი გახდა, დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი კი - ბრიტანელი კეტრინ ეშტონი, რომელიც აქამდე ევროკავშირში ვაჭრობის საკითხების კომისიას ხელმძღვანელობდა. კეტრინ ეშტონი პოსტზე ხავიერ სოლანას შეცვლის. რომელმაც თანამდებობა ევროპის მთავარ დიპლომატად 10 წლის მუშაობის შემდეგ დატოვა.

ბარონესა ეშტონი, როგორც საგარეო საქმეთა უმაღლესი წარმომადგენელი, წინამორბედზე ბევრად მეტი უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი და განკარგულებაში დიპლომატიური სამსახურის უფრო დიდი შტატი ეყოლება.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებული ერთ-ერთი მთავარი სიახლეა წევრი ქვეყნებისთვის ვეტოს უფლების გაუქმება ერთდროულად რამდენიმე სფეროში, მათ შორის კლიმატთან ბრძოლის, ენერგოუსაფრთხოებისა და ექსტრემალური დახმარების საკითხებში.

აბსოლუტური ერთსულოვნება კი ძველებურად აუცილებელი იქნება საგადასახდო სისტემის, საერთაშორისო პოლიტიკის, თავდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხებში გადაწყვეტილებების მისაღებად.

# დასავლეთი ირანის საწინააღმდეგო სანქციებზე ალაპარაკდა

## რუსეთი ისევ მოლაპარაკებების იმედზეა

**თამთა კახაძე**




დასავლეთის ქვეყნების განცხადებით, შესაძლოა, ირანის მიერ ურანის გამამდიდრებელი ათი ახალი ობიექტის მშენებლობის პასუხად ახალი სანქციები მიიღონ. ირანის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებების გამო რუსეთიც სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავს, თუმცა აცხადებს, რომ აუცილებელია დიალოგის გაგრძელება. “რა თქმა უნდა, რუსეთი სერიოზულად არის შეშფოთებული ირანის ხელისუფლების ბოლოდროინდელი განცხადებების გამო,” - აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ირანში ვიზიტით მყოფი რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი სერგეი შმატკო კი სიტუაციის ესკალაციის წინააღმდეგ გამოვიდა და აღნიშნა, რომ მოსკოვის ინტერესებში შედის თეირანთან “კონსტრუქციული თანამშრომლობა”. “ვფიქრობ, ჩვენ მოლაპარაკებების გაგრძელების კარგი შანსი გვაქვს,” - განაცხადა შმატკომ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მანუჩერ მოტაკისთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.

გარდა ამისა, ვრცელდება დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ 2010 წლის მარტში რუსეთი ბუშერში ახალი რეაქტორის ამოქმედებას გეგმავს, რომელზეც რუსი სპეციალისტები მუშაობენ. ანონიმი წყარო, რომელსაც “მჭიდრო კავშირი აქვს პროექტთან”, განმარტავს, რომ რეაქტორის მშენებლობა ირანული ახალი წლისთვის უნდა დასრულდეს, რომელიც მარტის შუა რიცხვებში დგება. ამ რეაქტორის ამუშავება ბოლო ათი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იგეგმებოდა, უკანასკნელი ინფორმაციით - 2009 წლის ბოლოსთვის, თუმცა სულ რაღაც ათიოდე დღის წინ რეაქტორის ამოქმედება კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

დასავლეთში საკმაოდ მკვეთრი განცხადებები მოჰყვა ირანის განცხადებას ურანის გამამდიდრებელი ათი ახალი ქარხნის მშენებლობის შესახებ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის პრესმდივნის განცხადებით, ლონდონმა შესაძლოა, დეკემბერშივე დაიწყოს ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების განხილვა.

ამასთან, “დაუნინგ-სტრით”-ის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ირანთან მოლაპარაკეკების გაგრძელების მნიშვნელობაზე. “ჩვენი პრიორიტეტი ყოველთვის ის არის, რომ შედეგს მოლაპარაკების გზით მივაღწიოთ,” - განაცხადა მან.

თეირანის მიმართ გაცილებით მკაცრი გაფრთხილებით გამოვიდა გერმანია. “ნათელია, რომ თუ თეირანი დახმარებისთვის გაწვდილ ხელს ზურგს შეაქცევს, ის უფრო მკაცრ სანქციებს უნდა ელოდოს,” - საუბარია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გვიდო ვესტერველეს განცხადებაში.

მანამდე საფრანგეთმა ირანის მიერ ურანის გამამდიდრებელი ახალი ობიექტების მშენებლობას “ბავშვური საქციელი” და “სასაცილო” უწოდა. თეთრი სახლის განცხადებით კი, ამ გადაწყვეტილებით ირანის ხელისუფლება თავის ქვეყანას საერთაშორისო საზოგადოებისგან უფრო მეტი იზოლაციისკენ უბიძგებს.

ამასთან, ირანის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ ორშაბათს განაცხადა, რომ თეირანის ბირთვული პროგრამის შესახებ დავა შესაძლებელია დიპლომატიური გზით გადაიჭრას, თუ დასავლეთი აღიარებს ირანის უფლებას, განავითაროს თავისი ბირთვული პროგრამა ატომური ენერგიის საერთშორისო სააგენტოსთან (აესს) თანამშრომლობით. საინტერესოა, რომ ლარიჯანი ორი დღის წინ ცოტა სხვაგვარ განცხადებებს აკეთებდა და პარლამენტის სახელით ირანის მთავრობას აესს-სთან ურთიერთობის შესუსტებისკენ მოუწოდებდა (ამის შესახებ “24 საათი” დაწვრილებით წერდა).

# რევიუ

## მშვიდობით იარაღო, სალამი კინო!

### თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ქართული ფილმით გაიხსნა

ია ვეკუა







თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი დაიწყო - უკვე მეათედ, ტრადიციული წითელი ხალიჩით, ადგილობრივი და ჩამოსული ვარსკვლავების ბრწყინვალებითა და რაც მთავარია, ქართული კინოპროდუქციის სარეკორდო რაოდენობით. წელს ფესტივალი საიუბილეოა, ამიტომ მისმა ორგანიზატორებმა საკონკურსო ხაზი მოხსნეს და ექვსივე საფესტივალო დღე მხოლოდ კინოჩვენებებზე გადაანაწილეს. სიახლეა ისიც, რომ ფესტივალი ქართულმა ფილმმა გახსნა - ლევან კოღუაშვილის პრაქტიკულად პირველმა სრულმეტრაჟიანმა "ქუჩის დღეებმა".

კოღუაშვილის ფილმის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას "24 საათი" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, ამჯერად კი მხოლოდ მოკლედ გაგაცნობთ, "ქუჩის დღეები" კინოკომპანია "დამოუკიდებელი კინოპროექტისა" და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის პროდუქტია. პროდიუსერები არჩილ გელოვანი, ლევან კორინთელი და გია ბაზღაძე არიან. ფილმი თავად ლევან კოღუაშვილის, ბორის ფრუმინისა და ნიკოლოზ მარის სცენარის მიხედვითაა გადაღებული, ოპერატორია არჩილ ახვლედიანი ("რუსული სამკუთხედისა" და "თბილისი-თბილისის" ოპერატორი), მონაწილეობენ გუგა კოტეტიშვილი, თემო გოგიძე, ლევან ჟივიძე, ზურა ბეგალიშვილი, ალეკო ბეგალიშვილი და ზურა შარია. ფილმის სინოფსისი შემდეგია: 45 წლის ნარკომანს არჩევანის გაკეთება უწევს. კორუმპირებული პოლიციელები მისგან მეგობრის შვილის, 16 წლის ბიჭის დაბეზღებას ითხოვენ. თუ დათანხმდება, წამლით და ფულით დაასაჩუქრებენ, თუ უარს იტყვის - 10 წლიანი პატიმრობით. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი გმირი პოლიციელების წინადადებაზე თანხმდება, თუმცა მაინც იჩენს მასში შემორჩენილ ადამიანურ ღირსებას. იმედია "ქუჩის დღეები" ფართო გაქირავებაში მალე გამოვა და მისი შეფასების საშუალება ფართო მაყურებელსაც შეეძლება.

კინოფესტივალი რამდენიმე პრემიერასაც შემოგვთავაზებს. დღეს "ამირანის" ცენტრალურ დარბაზში ესპანელი მიგელ ანხელ კოლმენარის "ორს" ვნახავთ. ფილმი იმითაა საინტერესო, რომ ესპანელმა კინემატოგრაფისტებმა იგი საქართველო-რუსეთის ომის დასრულებიდან ორიოდე თვეში გადაიღეს. ფილმში ქართველი მსახიობები მონაწილეობენ და ისტორიაც ქართულია: ომის დროს დევნილებად ქცეული ადამიანების ცხოვრების პატარა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთები. ფილმში განვითარებული ორი პარალელური ისტორია გვიჩვენებს, რომ ომს მხოლოდ სიკვდილი არ მოაქვს, რომ ომი ცოცხლად გადარჩენილი ადამიანებისთვის კიდევ დიდხანს გრძელდება.

დღესვე კინოთეატრ "რუსთაველში" იხსნება იტალიური კინოს ფორუმი "კადრშია იტალია". წარმოდგენილი იქნება პაოლო ბენვენუტის "პუჩინი და ახალგაზრდა ქალი". ფილმი ცხადია გენიალური კომპოზიტორის შესახებაა, თუმცა მისი ცხოვრების ერთ განსაკუთრებულ და პრაქტიკულად უცნობ დეტალზე მოგვითხრობს. ბენვენუტის ფილმის გარდა "კადრშია იტალიას" ფარგლებში შემდეგ ფილმებს ნახავთ: ფედერიკო რიზის "გაქცევა სატელეფონო ცენტრიდან", ანდრეა მილაიოლის "გოგონა ტბის პირას", მატეო გარონეს "გომორი", რიკარდო მილანის "პიანო, სოლო" და დანეილე ლუკეტის "ჩემი ძმა დედისერთაა". ასევე 2 დეკემბერსაა დაგეგმილი მიხეილ კობახიძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი რეტროსპექტივა და კნუტ ჰამსუნის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების ჩვენება, რომელსაც ნორვეგიის საელჩო წარმოადგენს (ჰამსუნის თემა მომდევნო საფესტივალო დღეებშიც გაგრძელდება).

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორია 2000 წლიდან იწყება. მაშინ იგი ხელოვნების სერთაშორისო ფესტივალ "საჩუქარის" ფარგლებში ტარდებოდა, ორი წლის შემდეგ კი დამოუკიდებელ კინოფორუმად იქცა. როგორც გითხარით წლევანდელი ფესტივალი გამონაკლისია, დანარჩენი წლების განბმავლობაში კი იგი ჩვენების გარდა საკონკურსო ფორმასაც ატარებდა. შარშან საუკეთესო ფილმისთვის "ოქროს პრომეთე" სტეფან არსენიევიჩის "სიყვარული და სხვა დანაშაულებს" გადასცეს, "ვერცხლის პრომეთე" საუკეთესო რეჟისურისთვის "შემოდგომის" ავტორმა ოზჯან ალპერმა მიიღო, ხოლო ალესანდრო ანჯელინის "მლაშე ჰაერისთვის" ჟიურის სპეციალური პრიზი მიენიჭა. ქართული კინოსთვის განსაკუთრებით იღბლიანი 2005 წლის ფესტივალი აღმოჩნდა - "ვერცხლის პრომეთე" გელა ბაბლუანს ერგო ფილმისთვის "ცამეტი", ხოლო ფიპრესის პრიზი - ლევან თუთბერიძის ფილმს "მოგზაურობა ყარაბაღში". 2004 წელს ფარაჯანოვის სახელობის პრიზით დააჯილდოვეს დავით ჯანელიძე ფილმისთვის "მეიდანი, სამყაროს ჭიპი", ხოლო ერთი წლით ადრე დიტო ცინცაძის "გასროლის შიში" "ოქროს პრომეთეს" მფლობელი გახდა, მას "ვერცხლის პრომეთეც აქვს" "დაკარგული მკვლელებისთვის".

იმის გამო, რომ წელს ფესტივალს საკონკურსო პროგრამა არ აქვს, ვერ გავიგებთ, მაინც რომელი ქართული ფილმი ჯობს. ამიტომ ამ არჩევანის გაკეთება მაყურებელს თავად მოუწევს. ფესტივალზე შემდეგ ქართულ ნამუშევრებს ნახავთ: ნიკა მაჩაიძის "ანარეკლი", შალვა მიქუტიშვილის "ახალი 2009 წელი", სალომე ალექსი-მესხიშვილის "ბედნიერება", გიორგი ოვაშვილის "გაღმა ნაპირი", ქეთი ორჯონიკიძის "თუთიყუში", ვანო ბურდულის "კონფლიქტის ზონა", ზაზა რუსაძის "ნაკეცები და ბზარები" ხათუნა გიორგობიანის "პრემიერა", ზაზა ურუშაძის "სამი სახლი", ირაკლი ფანიაშვილის "სერგო გოთორანი (სერგო გოთვერანი)", დათო ჯანელიძის "ჯაყოს ხიზნები", სანდრო ჯანდიერის Chamberpiece და გოგა ხაჩიძის Loading Content. ქართულ პანორამაში ასევე წარმოდგენილი იქნება სასწავლო პროექტ "ზაფხულის კინოსკოლის" ფილმების კრებული "მშვიდობით იარაღო!"

# გადარჩენის ფორმულა: ალუბლისა და ღოღნაშოს გული ჯონჯოლითა და კაჭიჭით!

პირველი გვერდიდან



ირონია ყველაზე და ყველაფერზე, ვინც და რაც არაჯანსაღია! - აი, ეს დევს წარმოდგენაში "ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით". სახელწოდება ასოციაციას ბადებს "ვანილის მოტკბო, სევდიან სურნელთან", რომელიც 2006 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა, მისი პრემიერა კი ბათუმის თეატრში გაიმართა. ერთის ასოციაციაციას მეორესთან მხოლოდ სახელწოდებები არ იწვევს და იმის გამო, რომ ეს საუბრის სულ სხვა თემაა, ამაზე არ შევჩერდები. მთავარია, რომ ორივე დადგმის პიესის ავტორია მწერალი და დრამატურგი ირაკლი სამსონაძე, მხოლოდ ერთი განსხვავებით - მეორე, ანუ ახალი წარმოდგენისათვის პიესის შექმნაში წვლილი რეჟისორმა, ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი თავაძემაც შეიტანა. მათ ხუთი თვის განმავლობაში იმუშავეს ტექსტზე, რომელიც ქართველებისთვის მტკივნეულ თემებს ეხება.

თემები-თქო, ვახსენე და არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა, ისტორიულიც და გასულ წელს გამძაფრებულიც, ერთი შეხედვით, ყველაზე აქტუალურია, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე გაუაზრებელი, რადგან ვერ შევქმენით ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ტრაგედიაში გადაზრდილ უსამართლობას სიღრმისეულად წარმოაჩენდა. ჩვენ გვაქვს დოკუმენტური მასალა, არსებობენ მოწმეები, განვიცდით მომხდარს, მაგრამ ვერ ვქმნით სრულყოფილ ნამუშევარს. ამ ყველაფერს კი, ისევ და ისევ, იყენებენ უცხოელები იმისათვის, რომ მსოფლიოს დაუსრულებელი ამბავი მოუთხრონ. ამის მაგალითია დოკუმენტური ფილმი, სახელწოდებით "რუსულის გაკვეთილები", რომლის რეჟისორებიც არიან: ოლგა კონსკაია (გარდაიცვალა) და ანდრეი ნეკრასოვი. რაც შეეხება სპექტაკლს, პრემიერამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი თემატიკა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობას უკავშირდებოდა და მოგვიანებით, მაყურებელმაც იოლად ამოიცნო პერსონაჟები, რომლებიც რეჟისორისა და დრამატურგის მიერ შემოთავაზებულ იგავში რუსებს, გნებავთ რუსეთს, განასახიერებენ. ამ ერის ხასიათისა და მისდამი ირონიული დამოკიდებულების წარმოჩენით ბევრმა გული მოიოხა და რუსულ მუსიკაზე ტაშიც შემოკრა, პირადად ჩემთვის კი მარტივ მინიშნებებსა და სახეთა ალეგორიულ გადაწყვეტაზე მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა ერთობა, რომელიც ქართველებისგან შედგება. ვინ, ან როგორები არიან ისინი? აი, ეს არის მთავარი სპექტაკლში, რომელსაც, როგორც ბევრმა აღნიშნა, იმედიანი დასასრული აქვს. ბოლო კი იმედიანია, მაგრამ როდესაც დავფიქრდი იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს დაიმედებული, ან ვინ უნდა იბრძოლოს იმედისთვის, ცოტა არ იყოს შემეშინდა, რადგანაც ქართველების განმასახიერებელ პერსონაჟებს შორის არც ერთი არ არის ჯანსაღი... რეჟისორმა და დრამატურგმა დაგვიხატა სურათი, რომელიც ახლოსაა ქართულ რეალობასთან, ერის მდგომარეობასთან და მეც ამ მიმართულებით ვისაუბრებ. თორემ, რუსის ლოთობა, გაიძვერობა და არასრულფასოვნების კომპლექსით გამორჩეული ხასიათი არავის უკვირს, მით უფრო იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელსაც ტერიტორიებს ართმევს, თანამოქალაქეებსა და უახლოეს ადამიანებს უკლავს.

რა გადაარჩენს საქართველოს? "ალუბლისა და ღოღნაშოს გული ჯონჯოლითა და კაჭიჭით!" აი, ასეთი პასუხი აქვს კითხვაზე მზარეულ-ექსპერიმენტატორ ანრი კუკუას, როგორც თვითონ წარმოთქვამს - გუგუას, რომელსაც ოთარ ქათამაძე განასახიერებს. შემსრულებლებზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი, კითხვაზე, რატომ გამოიწვია ინტერესი სპექტაკლმა, გავიმეორებ იმას, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ანუ შემოქმედებითმა ჯგუფმა, განსაკუთრებით რეჟისორისა და დრამატურგის ტანდემმა, თემატიკამ და კიდევ, ნაწარმოების ჟანრმა, კომიკურმა იგავმა. ამას ხაზგასმით ვამბობ, რადგანაც სწორედ ჟანრმა განაპირობა წარმოდგენისა და პერსონაჟების ხასიათები. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ყველაზე უკეთ დავალებას თავი იმ მსახიობებმა გაართვეს, რომლებმაც ჟანრი გაითავისეს და გმირების ხასიათი ამოიცნეს.



ანრი გუგუას ვარცხნილობა, ჩაცმის სტილი, მოძრაობა და საუბრის მანერა ერთდროულად რამდენიმე ცნობილ სახეს (მაგალითად: ანრი ჯოხაძეს, ზალიკო ბერგერს...) მოგაგონებთ. ის არის ქ-ნ ლიანას სიძე და ქეთის ქმარი. მას ჰყავს დამხმარე, სახელად კატო, რომელიც მისი "შთაგონების წყაროა"... აი, ასეთია ქართული შემადგენლობა. აღსანიშნავია, რომ გიორგი თავაძის წინა სპექტაკლებისგან განსხვავებით, აქ დასის მცირე ნაწილი მონაწილეობს. ამათ გარდა სცენაზე კიდევ ოთხი ადამიანი დგას. როგორები არიან ისინი? რა ხდება სცენაზე?

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ წარმოდგენის საექსპოზიციო ნაწილი პერსონაჟთა გასაცნობად არის შექმნილი. ამბავი იწყება მაშინ, როდესაც ლიანა, რომელსაც ბათუმის თეატრის წამყვანი მსახიობი - ეკა ჩავლეიშვილი განასახიერებს, იწყებს თხრობას, თუ როგორ წავიდა სტომატოლოგთან, აერია კარები და მოხვდა ფსიქიატრთან, რომელიც უცნაურ, მაგრამ განსაკუთრებულ ადამიანად მოეჩვენა და რომელსაც ცოლად მიყვება... მოგვიანებით, მისი მომავალი მეუღლე, რომელიც სახლში ვითომდა დასთან - კაპიტოლინა სემიონოვნასთან ერთად ესტუმრება ხელში ნაძვის ხითა და მის მოსაჭრელად საჭირო ელექტროხერხით, პანტელეიმონ პაპასკვირის ნაცვლად პროხორ კუზმიჩი აღმოჩნდება. ეს მაშინ გაირკვევა, როდესაც საქმრო დაარღვევს ფიცს - არ მიიღოს ალკოჰოლი - და შემთხვევით გასინჯავს ანრის მიერ მომზადებულ ბანანისა და კომშის პუდინგს, რომელშიც კონიაკი და რომი ურევია. ამის შემდეგ უკვე პროხორ კუზმიჩად გადაქცეული კაცი ეჭვიანობის სცენებს უწყობს ლიანას და მის სახლში ეძებს იმას, ვისშიც ფიქრობს რომ გაცვალეს... ასეთი არ არსებობს! კუზმიჩს კი არაფრის გაგონება არ სურს და საკუთარ შვილს, ნესტორს, სანგრებს ათხრევინებს და ომს იწყებს. ლიანა, საქართველოს ალეგორიული სახე, ცდილობს აუხსნას მოძალადეს, რომ არაფერი დაუშავებია. ოჯახში ვინ შემოუშვიო, ეკითხება მას ქალიშვილი - ქეთი, რომელიც ფეხმძიმედ არის და რომელსაც ქმარი კატოსთან ღალატობს. კატოს იმედი აქვს, რომ ანრი აუცილებლად აღმოაჩენს ნოსტრადამუსის სანელებელს და სასწაულს მოახდენს. მისი იმედი მართლდება, როდესაც ზებუნებრივი ძალებისა და ანრის ექსპერიმენტატორობის წყალობით ქვაბში მოსახარშად ჩადებული ინდაური კაცად გადაიქცევა...

პიესაში ორი პერსონაჟია ისეთი, რომელთა განვითარების ხაზიც ცვალებადია - ერთია ანრი, რომელიც წარმოშობით აბაშიდანაა, მაგარმ არ "ქართველობს" და კუკუა გუგუად აქვს შეცვლილი, მისდევს მოდას და უნდა მწვერვალები დაიპყროს, მაგრამ ომიანობისას ამბობს ფრაზას, რომელიც მაყურებლის რეაქციას იწვევს და უყურადღებოდ არავის რჩება: "თქვენ იომეთ - მე დაგაკვირდებით!" ის, ამ შემთხვევაში, ნატოს ჯარების მაგვარ ფუნქციას ითავსებს და საკუთარ სახლში (ქვეყანაში) განვითარებულ მოვლენებს თვალს დამკვირვებლის პოზიციიდან ადევნებს. მეორეა - კაცად ქცეული ინდაური, ყველაზე უცნაური და ალეგორიული პერსონაჟი - იმარინდო, რომელიც თავდაპირველად აღიქმება, როგორც მესამე, ახალი და იმედის მომცემი ძალის სიმბოლო, რომელსაც "ამირინდო განმათავისუფლებელიც" შეარქვეს, რადგანაც პროხორ კუზმიჩს ხელიდან ლიანა გამოგლიჯა... ამის შემდეგ ის გადაიქცევა ლიდერად, რომელსაც ეს ადამიანები საჭიროებენ იმისათვის, რომ მტრის თვალში ძლიერნი გამოჩნდნენ, მოგვიანებით კი გახდება საქართველოს სიმბოლური სახე, რომელსაც ხერხავენ და ანაწევრებენ, მაგრამ არ კვდება და სიცოცხლეს ინარჩუნებს. ამაზე მოკლედ რთულია მოგითხროთ იმაზე, რაც თამაშდება სცენაზე, სადაც პერსონაჟები წყვილდებიან, სახეებს იცვლიან და ერთი გუნდიდან მეორეში გადადიან და გადმოდიან... მაყურებელზე მოქმედებს ტექსტი, არაერთი რეპლიკა, დეტალი და ილეთი, რომლებიც რეჟისორმა დაამუშავა. თუმცა, რამდენიმეა ისეთი სცენა, რომლებიც გოგა თავაძის სხვა სპექტაკლებს გაგახსენებთ, მაგალითად: ქეთის მიერ ჯამების სროლის სცენა "ორი ბატონის მსახურისას" ჰგავს. ამავე დადგმას მოგაგონებთ ანრისა და კატოს სექსის სცენა - აქ თუ პერსონაჟთა სხეულებს ფარავს გაზქურა, იქ ამის ფუნქციას ნავი ასრულებდა... გიორგი თავაძე, როგორც რეჟისორი, სცენების გამომგონებლობით გამოირჩევა და ყოველთვის ცდილობს ისინი დაამუშაოს ისე, რომ დასამახსოვრებელი გახადოს. თუმცა, წინა სპექტაკლებისგან განსახვავებით, რომლებშიც რეჟისორმა აქცენტი გამომგონებლობაზე გააკეთა და შემოგვთავაზა ბევრი სასცენო ილეთი, რომლებიც მსახიობებმა ხან დასძლიეს, ხანაც ვერა, აქ მომეჩვენა, რომ მთავარი აღმოჩნდა პერსონაჟთა ხასიათების გამოკვეთა, რისკენაც რეჟისორსა და მსახიობებს უპირველესად ტექსტმა უბიძგა.

მე ორივე დღეს გათამაშებული სპექტაკლი ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პრემიერის შემდეგ რეჟისორებს დადგმაში, როგორც წესი, ცვლილებები შეაქვთ. გამიხარდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ პროხორ კუზმიჩის ყურძნის ჭამის სცენა, რომელიც პირველ დღეს ძალიან გაწელილი იყო და ამ დროს სცენის სიღმეში შეჯგუფებული მსახიობებიც უფუნქციოდ იყვნენ, შეკვეცილი დამხვდა...

კომიკური იგავი თემურ ნინუას მიერ გაფორმებულ სივრცეში თამაშდება. დეკორაცია სადაა და მოთეთრო-მონაცრისფრო ტონებშია გადაწყვეტილი. ის იყენებს სიმბოლოებს და ფუნქციონალურ დატვირთვას აძლევს საგნებს, რომლებიც ჩნდებიან ან შემოაქვთ. მათ შორის მნიშვნელოვანია სცენის შუაგულში განთავსებული სამზარეულო, რომელზეც არაერთი სცენა თამაშდება. თავაძეს უყვარს მოქმედების ავანსცენაზე გადმოტანა და ამ თვალსაზრისით არც ეს დადგმაა გამონაკლისი - სანგრებს სწორედ ავანსცენაზე "თხრიან"...

მომასმენინე სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება და გეტყვი ვინ არის რეჟისორის! - ეს გამოთქმა მხოლოდ გიორგი თავაძეზე არ ჭრის. თუმცა, მის დადგმებს ერთგული მაყურებელი რომ მუსიკალური გაფორმებითაც ცნობს, ფაქტია. მას უყვარს ცნობილი მუსიკალური კომპოზიციების გამოყენება და საერთოდ, მუსიკა მასთან დიდი დოზითაა. ამ მხრივ "განსაკუთრებულია" უკანასკნელი სპექტაკლი, სადაც მუსიკა არ წყდება და მოქმედება ყოველთვის მის ფონზე მიმდინარეობს. აქაც მოისმენთ ცნობილ მუსიკალურ კომპოზიციებს (მუსიკალური გამფორმებელი - თენგიზ შამილაძე), მაგალითად: შოსტაკოვიჩის ვალსს, რომელიც სპექტაკლს, შეიძლება ითქვას, რომ ლაიტმოტივად გასდევს. ამდენი მუსიკა, ალბათ, მეტისმეტია და შარლ აზნაურის შანსონმაც, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანა... ამასთან, მუსიკის ხმა ისეა აწეული, რომ ხშირშემთხვევაში ფარავს მეტყველებას, მაგალითად მამუკა მანჯგალაძისას, რომლის სწრაფი მონოლოგიც დარბაზში არ ისმის...

მსახიობები ბოლოსკენ მოვიტოვე. მათ შორის საუკეთესოები, როგორც უკვე ვთქვი, აღმოჩნდნენ ისინი, რომლებმაც სპექტაკლის ჟანრი გაითავისეს და გმირების ხასითები ამოიცნეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამორჩეული იყო კახა კობალაძე, რომელმაც პანტელეიმონ პაპასკვირს, ანუ პროხორ კუზმიჩი ოსტატურად განასახიერა. ის უფროსი თაობის წარმომადგენელია და გემახსოვრებათ სპექტაკლიდან "დარისპანის გასაჭირი", რომელიც რობერტ სტურუამ ბათუმის თატრში დადგა. კახა კობალაძის დარისპანს საკუთარი ოჯახის ტკივილი, ტრაგედია, თითქოსდა, ზურგით მოჰქონდა და მოჰყავდა კაროჟნა, რომელიც გარდა იმისა, რომ ტვირთი იყო მისთვის, ძალიან უყვარდა და ტკივილიან სიყვარულს ერთდროულად გადმოსცემდა. ახალ სპექტაკლში კი ძალიან ბუნებრივად, მსუბუქად გაითამაშა გმირი, რომელიც დასამახსოვრბელია. მისი პლასკიტა, ჟესტი და მიმიკა გამიზნული და დამუშავებულია. რახან კაროჟნა ვახსენე, არ შეიძლება არ აღინიშნოს თეონა შამილაძის ქეთო, რომელიც გამორჩეული სახეა პიესაში. მას არა აქვს ბევრი ტექსტი, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია. მას ხასიათის შექმნაში ძალიან დაეხმარა კოსტიუმი და პლასტიკა, რითაც პუანტებზე შემდგარი ფეხმძიმე ქეთო იმ ინდაურს წააგავს, რომელიც მისმა მეუღლემ საახალწლოდ შეაზავა. თეონა შამილაძე მთავარ როლებს ასრულებს გიორგი თავაძის სხვა სპექტაკლებში. მათ შორის რამდენიმეში თვალშისაცემია პრობლემა, რომელიც მის მეტყველებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში კი რეჟისორმა აქცენტი მის გარეგნულ მხარესა და პლასტიკაზე გააკეთა, რამაც შედეგი გამოიღო და კიდევ ერთხელ დამარწმუნა რამდენად მნიშვნელოვანია არჩევანი, რომელსაც რეჟისორი მსახიობების შერჩევისას აკეთებს. მესამე მსახიობი, რომელმაც საკუთარი გმირის სახე გახსნა და დამაჯერებელი იყო, ჰქონდა კარგი შეფასებები - ეკა ჩავლეიშვილია. რაც შეეხება ოთარ ქავთარაძეს, რომელიც უკვე ვახსენე, ისიც სახასიათო პერსონაჟს განასახიერებს. თუმცა, მისი ჩაცმულობა, ვარცხნილობა და მოძრაობა იმდენად მანერულია, რომ ასეთივე მეტყველებას,

გაგრძელება A11 გვერდზე

# გადარჩენის ფორმულა: ალუბლისა და ღოღნაშოს გული ჭონჭოლითა და კაჭიჭით!



მეათე გვერდიდან

ვფიქრობ, აღარ მოითხოვს - მანერული საუბრით ის ხაზს უსვამს იმას, რაც ცხადია და იკითხება. საინტერესო გმირი შეხვდა მარინა ბურდულს - ის კაპიტოლინას განასახიერებს. მისი თამაში დარბაზში ბევრს მოეწონა და რამდენიმე სცენაში ოვაციებიც დაიმსახურა. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ მის პერსონაჟს აკლია სიღრმე, ხმას დამუშავება და გარეგნულ მხარეზე გაკეთებული აქცენტის ბუნებრივად გადატანა განცდაზე, რომელსაც მასში გმირის ტრაგიკომიკური ხასიათი უნდა იწვევდეს. გარეგნულ მხარეზე გაკეთებული აქცენტით გამოირჩევა ასევე ქეთევან ეგუტიძე. მას ისეთი კოსტიუმი და გრიმი აქვს, რომ მისი ცნობა გაგიჭირდებათ. გმირის ხასიათი გაითავისა ლევან თედორაძემ, რომელიც ნესტორს განასახიერებს და სათქმელს ძირითადად პლასტიკით გადმოსცემს. თუმცა, ამ სპექტაკლში ყველაზე პლასტიური მაინც მამუკა მანჯგალაძის იმარონდოა. გიორგი თავაძის სპექტაკლებში მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობის ოსტატობა აქ მხოლოდ პლასტიკითა და ვოკალური მონაცემებით შემოიფარგლა - მეტი ამოცანა არც ჰქონდა. პრემიერის მეორე დღეს ქეთის როლი, თეონა შამილაძის ნაცვლად, შორენა მამრიკიშვილმა ითამაშა. ეს მსახიობი ბათუმის თეატრში ახალი მისულია და გასაგებია ღელვა, რომელიც მის შესრულებას ახლდა. მისი შეფასებები, უმეტესად, დაგვიანებული იყო. პლასტიკაზე მეტად, გამოირჩეოდა მეტყველებით. ქორეოგრაფიულად სცენები კოტე ფურცელაძემ გამართა.

რა არის საგანგაშო? ერთის მხრივ ის, რომ არსებობს ძალა, გნებავთ მხარე, რომელიც შეუგნებელი და ნაკლებად ცივილურია, მეორეს მხრივ კი - ქართული საზოგადოება, რომელიც არაჯანსაღია, რომელსაც ბევრი მენტალური პრობლემა აქვს და ჰყავს წევრები, რომლებიც მოწინააღმდეგეთა ბანაკში ადვილად გადადიან... ჩვენ, ან ზედმეტად რომანტიკოსები ვართ ლიანას მგავსად, ან უსახონი და სასაცილონი, როგორც ქეთი, რომელიც ფეხმძიმედ არის და რას გააჩენს კაცმა არ იცის, ან გააჩენს კი საერთოდ? მოკლედ, მთავარი და საინტერესო, პირადად ჩემთვის, ამ დადგმაში ქართული საზოგადოების სახეა, რომელიც გააინდაურეს! ამ სპექტაკლს თბილისშიც უჩვენებენ და მისი ნახვის საშუალებაც მეტს მიეცემა. მანამდე კი, ex дарога....

# საუკეთესო რიფების ათეული

## AC/DC-სა და რონი ჯეიმს დიოს ჩაშლილი კონცერტები

ინტერნეტგამოცემა Music Radar-მა ყველა დროის საუკეთესო საგიტარო რიფის 50-ეული გამოაქვეყნა. გამოკითხვაში აღნიშნული რესურსის დაახლოებით 50 ათასი მომხმარებელი მონაწილეობდა, რომლებმაც საუკეთესოს წოდებაზე ასამდე რიფის კანდიდატურა წარადგინეს. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო ჯიმი ჰენდრიქსმა, რომლის Voodoo Child-ის რიფი თურმე დღემდე მოსწონთ მუსიკის მოყვარულებს.



აღნიშნული კომპოზიცია ჯიმი ჰენდრიქსის ჯგუფის, The Jimi Hendrix Experience-ს ბოლო ალბომ Electric Ladyland-შია შესული, რომელიც 1968 წელს გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ იგივე კომპოზიცია ჟურნალ "როლინგ სთოუნის" მიერ შედგენილი ყველა დროის 500 საუკეთესო კომპოზიციის რეიტინგის 101-ე ადგილზე გავიდა.

მეორე ადგილზე გავიდა "განს ენ როუზის" Sweet Child O' Mine-ში აჟღერებული რიფი, რომელსაც ცხადია ჯგუფის გიტარისტი სლეში ასრულებს. აღნიშნული კომპოზიცია სინგლის სახით ჯერ კიდევ 1988 წელს გამოვიდა და "ბილბორდის" საუკეთესო ასეულსაც ლიდერობდა. მას მოსდევს "ლედ ზეპელინის" გიტარისტის, ჯიმი პეიჯის შესრულებული რიფი კომპოზიციიდან Whole Lotta Love. როგორც ჯგუფის ვოკალისტი რობერტ პლანტი იხსენებს, აღნიშნული კომპოზიციის შექმნის იდეა სწორედ პეიჯის საგიტარო რიფიდან დაიბადა. დანარჩენ პოზიციებზე აღმოჩნდა: "დიფ ფარფლის" Smoke On The Water-ის, "მეტალიკას" Enter Sandman-ის, "ბიტლზის" Day Tripper-ის, "ნირვანას" Smells Like Teen Spirit-ის, "როლინგსთოუნზის" (I Can't Get No) Satisfaction-ისა და AC/DC-ს Back In Black-ის რიფები.

კიდევ ერთი სიახლეა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით - AC/DC წელს პირველად გახდა "გრემის" პრემიის ავსტრალიური ანალოგის, ARIA Awards-ის ლაურეატი. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ავსტრალიიდანაა და ამ ქვეყნის ერთ-ერთ სიამაყეს წარმოადგენს, 1973 წლიდან მოღვაწე და მთელ მსოფლიოში ცნობილი ჯგუფი სამშობლოში მხოლოდ ახლა დააფასეს. AC/DC-მ ჯილდოები საუკეთესო ალბომისა და ყველაზე კომერციული პროექტის ნომინაციებში (ალბომისთვის Black Ice) მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამჟამად AC/DC ახალი ალბომის მხარდასაჭერ ტურნეში იმყოფება, დაჯილდოვების ცერემონიალზე არც ერთი მუსიკოსი არ გახლდათ, ამიტომ ჯგუფის წევრებმა მადლობა სან პაულუდან ტელეხიდის მეშვეობით გადაიხადეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფმა ARIA Awards-ი მხოლოდ წელს მიიღო, იგი 1988 წლიდან ARIA-ს დიდების დარბაზის წევრია.

რაც შეეხება ტურნეს, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება, სექტემბრის დასაწყისში AC/DC იძულებული გახდა ექვსი კონცერტი გადაედო, რაც გჯუფის ვოკალისტის ბრაიან ჯონსონის ავადმყოფობით იყო გამოწვეული. ექიმებმა 62 წლის მომღერალს აუცილებელი სამკურნალო პროცედურები დაუნიშნეს. ავადმყოფობის მიზეზად კი გადაღლა და ასაკისთვის შეუფერებელი ფიზიკური დატვირთვა დაასახელეს. როგორც ჩანს, ჯონსონი დამჯერი პაციენტი აღმოჩნდა, სახლში კარგად გამოშუშდა და 16 ოქტომბერს ჯგუფს შეუერთდა.

ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა 67 წლის ლეგენდარული მომღერალი რონი ჯეიმს დიოც, რომელსაც ცოტა ხნის წინ ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. თუმცა როგორც მისი მეუღლე იუწყება, სიმსივნე ადრეულ სტადიაში აღმოაჩინეს, ამიტომ არსებობს იმედი, რომ იგი მალე გამოჯანმრთელდება. დიო ამჟამადაც კლინკაში წევს, რის გამოც გერმანიაში დაგეგმილი რამდენიმე კონცერტის გადადება მოუწია.

# აფიშა

**2 დეკემბერი**

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი**
"კვერცხი"
(ექსპერიმენტული სცენა)
დასაწყისი: 19.45

**კოტე მარჯანიშვილის თეატრი**
სხვენში
"სიყვარულის ანატომია"
დასაწყისი: 20.00

**ახმეტელის თეატრი**
"ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი"
(სოხუმის თეატრის სპექტაკლი)
დასაწყისი:18:00

**კინო**

**კინოფესტივალი "პრომეთე"**
1-6 დეკემბერი

**რუსთაველი**
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.30; 18.00; 20.00; 21.30;
"ამანათი"
დასაწყისი: 12.00; 14.15;
"2012"
დასაწყისი: 13.00; 16.00; 19.00; 22.00;

**ამირანი**
"2012"
დასაწყისი: 12.20; 15.00; 17.30;
"ახალი მთვარე"
დასაწყისი: 12.00; 14.30; 17.00;

**საქართველო**
"დიდი გამყინვარება"
დასაწყისი: 13.45
"ჭიანჭველების რისხვა"
დასაწყისი: 13.45
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 15.30;
"2012"
დასაწყისი: 17.20; 20.40;

**გამოფენა**

**ლაინი**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია

**ტელესკოპი**
კერამიკა - თანამედროვე ქართველი კერამიკოსები

**ვერნისაჟი**
ტული ჭუბაბრიას გამოფენა

**ბაია გალერეა**
ომარ სააკაშვილის გამოფენა
"ჩემი შემოდგომის გაზაფხული"

## ჰააგის სასამართლო კოსოვოს საქმის მოსმენას იწყებს

ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ საქმის მოსმენა დაიწყო, რომელიც კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებისა და სერბეთიდან მისი გამოყოფის კანონიერების საკითხის დადგენას ეხება. მსგავსი პროცესი, ანუ - შეესაბამება თუ არა ქვეყნის ტერიტორიას გამოყოფა საერთაშორისო კანონმდებლობას - გაეროს უმაღლეს სასამართლოში პირველად განიხილება. ამასთან, სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც რამდენიმე თვეში გამოვა, შესასრულებლად სავალდებულო არ იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე 63-მა ქვეყანამ აღიარა, სერბეთმა ამის გაკეთებაზე უარი განაცხადა და საქმე სასამართლოს გადასცა.

შეგახსენებთ, რომ კოსოვომ სერბეთიდან დამოუკიდებლად თავი 2008 წელს გამოაცხადა, თუმცა ეს ნაბიჯი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით სანქცირებული არ იყო, იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ხმა რუსეთმა და ჩინეთმა მისცეს. სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი "ბი-ბი-სისთვის" მიცემულ ინტერვიუში იმედს იტოვებს, რომ ახლანდელი მოსმენები ამ საქმესთან დაკავშირებით კოსოვოს ირგვლივ მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის გამართვის საფუძველი გახდება.

"ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი კანონიერი ნაციონალური ურთიერთობები დავიცვათ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრობლემების შექმნას ვაპირებთ. ჩვენ პრობლემის ნაწილი კი არა, მისი გადაჭრის ნაწილი ვართ", - აცხადებს ტადიჩი.

მისი თქმით, სერბეთი ამით კოსოვოს საკითხის მოგვარების ახალი მშვიდობიანი მიდგომის დემონსტრირებას ავლენს - ომიდან 10 წლის შემდეგ, რომელშიც 10 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, აღნიშნული პრობლემის ნაწილად რჩება ის, რომ კოსოვოს აზრით, უკვე სასაუბრო არაფერია. კოსოვოს პრეზიდენტმა ფატმირ სეიდიუმ სასამართლო პროცესის დაწყებისას Associated Press-სთან განაცხადა, რომ კოსოვოს თავის სასარგებლოდ "შეურყეველი" მტკიცებულებები აქვს. დამკვირვებლები ასევე აღნიშნავენ, რომ ჰააგაში მიმდინარე სასამართლო პროცესს ყურადღებით დააკვირდებიან ის ქვეყნები, რომლებსაც მსგავსი პრობლემები აქვთ, იმ იმედით, რომ შესაძლოა ახალი საერთაშორისო პრეცედენტი გაჩნდეს. აღნიშნულ პროცესზე კომენტარი ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა გააკეთა და აღნიშნა, რომ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება კოსოვოს სერბეთიდან გამოყოფის კანონიერებასთან დაკავშირებით საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

როგორც ზაქარეიშვილმა "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, ნაკლებსავარაუდოა, სასამართლომ კოსოვოს სერბეთიდან გამოყოფა ცალსახად არაკანონიერად ცნოს, რადგან ევროკავშირის ქვეყნების დიდმა ნაწილმა კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარა.

ზაქარეიშვილის განცხადებით, შუალედური გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც კი, ჰააგის სასამართლოს განაჩენი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში დიდი მხარდაჭერა იქნება.

"ვფიქრობ, სასამართლო არ გააუქმებს კოსოვოს სერბეთიდან გამოყოფის საკითხს მაგრამ, ჩემი აზრით, შუალედურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ეს სერიოზული მხარდაჭერა იქნება საქართველოსთვის, თუმცა რუსეთის პოზიციებზე ეს მყისიერ ზეგავლენას ვერ მოახდენს" - განმარტა ზაქარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მოსმენა 11 დეკემბრამდე გაგრძელდება. კოსოვო დამოუკიდებლობის დღეს 17 თებერვალს აღნიშნავს.

*მაგდა ლეკიაშვილი*

## საკონსტიტუციო კომისიის ინიციატივა პარლამენტში შევიდა

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით უკვე შევიდა. ინფორმაციას ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, პავლე კუბლაშვილმა გუშინდელ სესიაზე გაახმოვანა.

მისი განმარტებით, კომისიის მიერ ინიცირებული ცვლილებები თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის პრინციპს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღს შეეხება. სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, ორივე საკითხი საკონსტიტუციო ცვლილებას საჭიროებს. სათანადო ცვლილების შესატანად პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად მიმართა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას.

კომისიის მიერ საკითხი უკვე ინიცირებულია და ამასთან დაკავშირებით გუშინვე ბიუროს სხდომა გაიმართა, რათა პარლამენტმა დროულად შეძლოს საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა საკონსტიტუციო ცვლილების საზოგადოებრივი განხილვისთვის.

# კითხვები ენგურჰესთან დაკავშირებით

ვერიკო თევზაძე

*"ენგურჰესის" შესახებ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსულ სახელმწიფო კომპანია "ინტერ რაო-ეეს"-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის დეტალები კვლავ უცნობი რჩება. საზოგადოების ნაწილი აცხადებს, რომ სახელმწიფომ საჯარო ინფორმაციას გრიფით საიდუმლო დაადო, ხოლო სასამართლომ ამ საკითხის განხილვისას პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო.*

### შესავლის ნაცვლად

როცა დოკუმენტის გამოთხოვის პირველი მსურველი გაჩნდა, ენერგეტიკის სამინისტრომ მეორე დღესვე მემორანდუმს საიდუმლო გრიფი დაადო. სამინისტროს არგუმენტი ასეთია: მემორანდუმი რუსული კომპანიისთვის კომერციულ ინფორმაციას შეიცავს. სიმართლის ძიების პირველ ეტაპს - ენერგეტიკის სამინისტროში შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივრებს - შედეგი არ მოჰყოლია და საქმე საბოლოოდ სასამართლომდე მივიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეების მოთხოვნა. სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, სასამართლომ ვერ ცნო ბათილობის საფუძველი ენერგეტიკის სამინისტროს იმ სადავო ბრძანებულებისა, რომლის მიხედვითაც დოკუმენტი დახურეს.

**"2009 წლის 16 იანვრის წერილით, კომპანია "ინტერ რაო ეეს"-მა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსგან მოითხოვა ზემოაღნიშნული მემორანდუმის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, ვინაიდან მემორანდუმი შეიცავდა განსახორციელებელ კომერციულ გეგმას, რომლის გამჟღავნებითაც შეილახებოდა მისი კომერციული ინტერესები. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ მემორანდუმი აკმაყოფილებდა კომერციული საიდუმლოების ნიშნებს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2009 წლის 16 იანვრის ბრძანებით მემორანდუმი მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სადაო ბრძანების ბათილობის საფუძველი არ არსებობს და ამასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის განსაჯაროება საფრთხეს შეუქმნის კომპანიის კონკურენტუნარიანობას,"** - ასეთია პრესსამსახურის განმარტება.

### არგუმენტები გრიფის წინააღმდეგ

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" აზრით, ენერგეტიკის სამინისტროსთვის "ინტერ რაო-ეეს"-ის მიმართვა საკმარისი არ უნდა ყოფილიყო დოკუმენტისთვის გრიფის დასადებად. **"ამ შემთხვევაში სამინისტროსთვის ამოსავალი უნდა გამხდარიყო არა მეორე მხარის კომერციული ინტერესი, არამედ საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულება და ქართველი ხალხის ცხოველი ინტერესი,"** - ამბობს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი.

ხიდაშელს იმაშიც ეპარება ეჭვი, რომ დოკუმენტი კომერციული ინფორმაციის შემცველია: **"ენერგეტიკის სფერო შეზღუდული კონკურენციით გამოირჩევა. მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ახდენს რეგულირებას. არსებობს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია."**

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დოკუმენტს "საიდუმლოს" გრიფს არ მოხსნიდა, მოსარჩელეები მოითხოვდნენ, მემორანდუმის ის ნაწილი მაინც გამოქვეყნებულიყო, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას არ შეიცავდა. სასამართლო გადაწყვეტილება ამის შესაძლებლობასაც არ იძლევა.

მოდავე მხარეების გარდა, "24 საათი" იურისტებს, ეკონომისტებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაესაუბრა. მათი შეფასებით, ხსენებული მემორანდუმი საჯარო დოკუმენტია.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე დავით ნარმანიას განმარტებით, **"მემორანდუმი არ არის დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი ძალა აქვს. ის უფრო განზრახვათა დოკუმენტია. აქედან გამომდინარე საინტერესოა, რა საიდუმლო დევს რუსეთის და საქართველოს ხელისუფალთა განზრახვაში?"**

ნარმანიას მსგავსად, ეჭვები ექსპერტებსაც უჩნდებათ. **"ვერ წარმომიდგენია, ამ დოკუმენტში რა უნდა იყოს საიდუმლო, თუ ეს, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს ინტერესებთან ან საღ აზრთან?"** - ასეთ შეკითხვას სვამს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დავით ონოფრიშვილი.

**"ჩემი აზრით, ყველა დოკუმენტი უნდა იყოს გამჭვირვალე და ღია. მაგრამ საკითხი ეკონომიკის სფეროს სცილდება, ეს უკვე პოლიტიკური საკითხია,"** - ამგვარ შეფასებას იძლევა ექსპერტი ემზარ ჯგერენაია.

იურიდიულ საკითხებში ექსპერტ ვახტან ხმალაძის განმარტებით, ჩვენ არ უნდა ვიდავოთ იმაზე, შეიცავს თუ არა მემორანდუმი რუსული კომპანიისთვის საიდუმლო ინფორმაციას. ხმალაძის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებას ანუ ენერგეტიკის სამინისტროს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაეკმაყოფილებინა "ინტერ რაო-ეეს"-ის მოთხოვნა: **"არ შეიძლება, რომ საჯარო ხელისუფლებას კომერციული საიდუმლოება ჰქონდეს, მაშინაც კი, როცა საქმე არ ეხება ქვეყნისთვის სტრატეგიულ ობიექტს... არსებობს სამხედრო საიდუმლოება, მაგრამ ხელისუფლება ვერანაირ ეკონომიკურ ხელშეკრულებას ვერ გახდის კონფიდენციალურს, ვინაიდან იგი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. ხელისუფლებამ მე და თქვენ უნდა აგვიხსნას, რაში ხარჯავს ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ ფულს."**

### "სასამართლო მარიონეტია"

"ენგურჰესის" თემაზე მსჯელობისას ჩვენმა რესპონდენტებმა თბილისის საქალაქო სასამართლო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში დაადანაშაულეს და დამატებით განმარტეს, რომ მათთვის ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა.

**"შესაძლოა, სასამართლომ "ზემოდან" მიიღო მითითება, როგორც ეს აქამდე არაერთხელ მომხდარა. არც ის არის გამორიცხული, ხელისუფლების წარმომადგენლებმა სასამართლო დაარწმუნეს, რომ ასეთი ტიპის დოკუმენტს გრიფი "საიდუმლო" უნდა ჰქონდეს, თუმცა ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე შეცდა..."** - ასეთი ვარაუდი გამოთქვა დავით ნარმანიამ.

ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ბიძინა გუჯაბიძემ კიდევ უფრო მწვავე განცხადება გააკეთა: **"მოსამართლეს ხელისუფლების ბრძანება რომ არ შეესრულებინა, სამსახურს დაკარგავდა. ნებისმიერი მოსამართლე ხელისუფლების მარიონეტია."**

**"ჩვენ არ გვჯერა პოლიტიზირებული სასამართლოსი,"** - აცხადებენ მოსარჩელე მხარეები. მიუხედავად ამისა, ისინი ქვეყნის მასშტაბით ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას აპირებენ. მათი ვარაუდით, საქმე საბოლოოდ სტრასბურგამდე მივა.

სახელისუფლებო გუნდის წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი პავლე კუბლაშვილი უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტარს არ აკეთებს, სასამართლოს პოლიტიზირების შესახებ ოპონენტთა შეფასებებს კი კატეგორიულად არ იზიარებს: **"ძალიან სამწუხაროა, თუ ვინმე სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ასეთ შეფასებებს აკეთებს. როგორც ჩანს, ეს ადამიანები ვერ აცნობიერებენ სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას ქვეყნისთვის. ისინი სასამართლოს პოლიტიზირებაში ადანაშაულებენ და ამ გზით თავის დამკვიდრება სურთ. ეს დრო წარსულს ჩაბარდა..."**

### დამატებითი შეკითხვა

"ენგურჰესის" თემა მრავალ კითხვას ბადებს. ინფორმაციის საჯაროობის გარდა, "24 საათის" რესპონდენტები სხვა საკითხებზეც ამახვილებენ ყურადღებას. პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების ნაწილს აინტერესებს, რატომ გადაწყვიტა საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკური თანამშრომლობა ქვეყანასთან, რომელთანაც საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით?

**"მე თუ მკითხავთ, შეკითხვების დასმა აქედან უნდა დაიწყოს: რაში დასჭირდა საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი ტიპის თემებზე რუსეთთან - აგრესორ ქვეყანასთან დაეწყო საუბარი? რატომ ვაფორმებთ დაპირისპირებულ ქვეყანასთან მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში?"** - დავით ნარმანია ამ კითხვებზე პასუხს ხელისუფლებისგან მოითხოვს.

დაბოლოს, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა "ენგურჰესის" თემაზე საუბრისას კიდევ ერთ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ბოლო დროს სამწუხარო ტენდენცია შეინიშნება: **"გახშირდა შემთხვევები, როცა სახელმწიფო სტრუქტურები ინფორმაციის თავისუფლებას ძალზე შეზღუდულად, ვიწროდ განმარტავენ. ზოგჯერ კანონი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და ასეთ დროს რამდენიმე მოსაზრება ჩნდება. ჩემი აზრით, როცა ამდენს ვლაპარაკობთ გამჭვირვალობაზე, საჯარო მოხელე ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების სამართლის გამოყენებისას მაქსიმალურად მოქნილი იყოს."**

ხიდაშელის განმარტებით, ჩვენთან პირიქით ხდება: საჯარო მოხელეები კანონს ყოველთვის შეზღუდულად განმარტავენ და თანაც - დახურულობის სასარგებლოდ.

# სპორტი

## "ბორჯღალოსნები" რეიტინგში დაიძრნენ

გიგა გურასაშვილი

*უახლოესი მატჩი, რომელსაც, შესაძლოა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სარეიტინგო მდგომარეობაზე მოეხდინა გავლენა, კანადა-რუსეთის შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. მეთექვსმეტე საფეხურზე მყოფი ჩრდილოამერიკელები რუსებს 28 ნოემბერს ვანკუვერში უნდა შეხვედროდნენ, ხოლო მასპინძელთა გამარჯვების შემთხვევაში "ბორჯღალოსნები" რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეიტინგში (IRB) რუსებს გაასწრებდნენ. პროგნოზი გამართლდა: კანადამ რუსეთი დაამარცხა, საქართველო მე-18 საფეხურიდან ერთი ადგილით დაწინაურდა, რუსეთი კი ჩვენს უკან აღმოჩნდა.*



*"ბორჯღალოსნები" IRB-ის რეიტინგში კანადამ დააწინაურა*

კანადის ეროვნულ გუნდთან რუსეთის მარცხმა განახლებულ რეიტინგში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. საგულისხმოა საქართველოსა და აშშ-ის ნაკრებების ერთსაფეხურიანი წინსვლა. თუ "ბორჯღალოსნებმა" მე-18 ადგილი რუსებს გადაულოცეს და თავად მე-17 ადგილზე გადაინაცვლეს, აშშ-ის ნაკრებმა რუსეთის უწინდელი - მე-16 საფეხური დაიკავა.

რუსი მორაგბეების რეიტინგში დაწინაურება ივნისში "ჩერჩილის თასზე" (მანამდე "ბორჯღალოსნები" მე-13 საფეხურზე იყვნენ) სატესტო მატჩებში ქართველების კანადასთან 10:42 და აშშ-სთან 13:31 და წაგებამ შეუწყო ხელი.

"ბორჯღალოსანთა" მძლეველმა კანადის ნაკრებმა რუსების 22:6 დამარცხებით ერთგვარი სტატუს კვო აღადგინა. "დათვები" ისევ მდევრის როლში აღმოჩნდნენ ქართველებთან.

...მსოფლიო ჩემპიონის - სამხრეთ აფრიკის ძლევის ხარჯზე მეოთხე საფეხურზე გადაინაცვლა ირლანდიის გუნდმა, უელსი კი ავსტრალიასთან შინ დამარცხების შემდეგ მე-6-დან მე-8 საფეხურზე აღმოჩნდა და წინ ინგლისი და არგენტინა გაუშვა.

ბოლო წლებისთვის საუკეთესო - მე-11 ადგილზე გადაინაცვლა იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელმაც უშუალო კონკურენტი სამოას გუნდი შინ დაამარცხა და ათეულს უფრო მიუახლოვდა.

### IRB-ს რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1 (1). ახალი ზელანდია | 91.68 |
| 2 (2). სამხრეთ აფრიკა | 88.59 |
| 3 (3). ავსტრალია | 85.55 |
| 4 (5). ირლანდია | 84.58 |
| 5 (4). საფრანგეთი | 82.40 |
| 6 (7). ინგლისი | 80.72 |
| 7 (8). არგენტინა | 80.55 |
| 8 (6). უელსი | 79.89 |
| 9 (9). შოტლანდია | 76.59 |
| 10 (10). ფიჯი | 75.91 |
| 11 (12). იტალია | 72.62 |
| 12 (11). სამოა | 72.09 |
| 13 (13). იაპონია | 70.59 |
| 14 (14). კანადა | 68.80 |
| 15 (15). ტონგა | 68.11 |
| 16 (17). აშშ | 67.05 |
| **17 (18). საქართველო** | **66.85** |
| 18 (16). რუსეთი | 66.22 |
| 19 (19). რუმინეთი | 64.63 |
| 20 (20). ურუგვაი | 60.89 |
| 21 (21). პორტუგალია | 59.73 |
| 22 (22). ნამიბია | 59.63 |
| 23 (23). ესპანეთი | 59.01 |
| 24 (24). ჩილე | 57.95 |
| 25 (25). ს.კორეა | 57.90 |
| 26 (26). უკრაინა | 55.47 |
| 27 (27). გერმანია | 55.35 |
| 28 (28). ყაზახეთი | 55.12 |
| 29 (29). ბრაზილია | 54.97 |
| 30 (30). ტუნისი | 54.12 |

## თავისუფალ ევროპაში "თბილისი 2007" მეორეა

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მთავარი ნაკრების კანდიდატებით დაკომპლექტებულმა გუნდმა "თბილისი 2007"-მა ბურსაში ჩატარებული ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მეორე ადგილით დაასრულა. საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთხელ - ლიდერებით დაკომპლექტებულ მასპინძელთა კლუბთან დამარცხდა - 2:5.

მანამდე კი ჯგუფურ ეტაპზე "თბილისი 2007" აზერბაიჯანისა და ბელარუსის გუნდებთან არკვევდა ურთიერთობას. თავდაპირველი ინფორმაციით, ბელარუსთა ნაცვლად ბერძნებსა და უნგრელებს უნდა ესპარეზათ, მაგრამ ბოლოს მათი ადგილი აზერბაიჯანელებმა და ბელარუსებმა დაიკავეს.

დავით ხურციას გუნდმა ორივე ჯგუფური შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით - 4:3 მოიგო. მათთან ჭიდილში გამარჯვებულის ბედი მეექვსე შეხვედრამ გადაწყვიტა. შემდეგ კი მეორე ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ რუმინეთს ადვილად - 6:1 სძლია. "თბილისი 2007"-დან ბელდუხ გავაშელიშვილი (96 კგ.) ერთადერთია, რომელმაც დამარცხებულმა დატოვა ხალიჩა.



*"თბილისი 2007" ფინალში მასპინძელთან დამარცხდა*

"შედეგით კმაყოფილი ვართ, რადგან ჩვენი მთავარი ამოცანა ნაკრების კანდიდატთა გამოცდა იყო. გუნდი ძირითადად ახალგაზრდა მოჭიდავეებით დავაკომპლექტეთ, რომლებმაც შესაძლებლობის ფარგლებში კარგად წარმოაჩინეს საკუთარი თავი", - საკლუბო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამბობდა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი მალხაზ ჯორბენაძე, რომელიც მასპინძლებმა საკლუბო ევროპირველობაზე მსაჯად მიიწვიეს.

### ცქიტიშვილი ფიბას გადაწყვეტილებას ელის

ნიკა ცქიტიშვილმა, რომელმაც სეზონის დაწყებამდე ბერძნულ "პანიონიოსთან" გააფორმა კონტრაქტი, ხელმძღვანელობის მხრიდან პირობების შეუსრულებლობის გამო გუნდი დატოვა და იმ კლუბს მიაშურა, რომელშიც წინა სეზონი გაატარა.

ესპანური "ფუენლაბრადა" მზადაა, ცქიტიშვილი გუნდში აიყვანოს, თუმცა ამისთვის ჯერ ის ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს, რომელიც საქართველოს ნაკრების ფორვარდს "პანიონიოსთან" აკავშირებს. ეს კი ჩვენი კონტინენტის მმართველი საკალათბურთო ორგანოს ფიბა-ევროპის გადასაწყვეტია, რომელსაც უკვე მიმართა როგორც ცქიტიშვილმა, ისე ბერძნულმა კლუბმა. მოთამაშეს, რომელსაც კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს არ უსრულებენ, სრული უფლება აქვს, გააუქმოს ეს კონტრაქტი, ოღონდ ჯერ ფიბას არბიტრაჟი უნდა გაერკვეს საქმის არსში და ვერდიქტიც გამოიტანოს.

### ჩელებაძემ "ბარსელონა" გამორიცხა

ბოლო ხანს მოსკოვის "სპარტაკის" ქართველ ლეგიონერზე ჯანო ანანიძეზე დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ინგლისური მედია გვარწმუნებს, რომ 17 წლის ქართველი შემტევი, რომელიც ბრიტანეთში უკვე ახალ ქინქლაძედ მონათლეს, "არსენალში" ან "ლივერპულში" გააგრძელებს კარიერას. ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართველის შეძენით რამდენიმე იტალიური კლუბი და კატალონიური "ბარსელონაც" დაინტერესდნენ.

"სპარტაკის" ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტთან საუბარში თბილისის "დინამოს" ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად ფიფას ლიცენზირებულმა აგენტმა რევაზ ჩელებაძემ კატალონიური ვარიანტი საერთოდ გამორიცხა.

"მედიაში ჩემს სიტყვებზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ბარსელონა" ჯანო ანანიძის მიმართ ინტერესს იჩენს. თუმცა, მსგავსი რამ არ მითქვამს. ეს მხოლოდ ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფია. ჯანოთი ბევრი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ, როგორც ვიცი, "ბარსელონას" "სპარტაკთან" ამ საკითხზე საერთოდ არ ჰქონია საუბარი," - ამბობს ჩელებაძე.

"სპარტაკის" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ჯანოს ტრანსფერზე უახლოეს პერიოდში არც ერთ კლუბთან არ აპირებს მოლაპარაკების გამართვას.

### სირაძეს ნალჩიკში დარჩენას სთხოვენ

რუსული გამოცემის "სპორტ ექსპრესის" ინფორმაციით, ნალჩიკის "სპარტაკის" მესვეურები ქართველი ფორვარდის დავით სირაძის დატოვებას აპირებენ და მასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებას გამართავენ. სირაძის გარდა, "სპარტაკ-ნალჩიკში" გამოდიოდა ქართველი ცენტრალური მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი, რომელსაც, თანამემამულის მსგავსად, ჯერ არ გაურკვევია, სად გააგრძელებს კარიერას.

### მოურინიომ ბალოტელის წითელი ბარათი უჩვენა

იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში, "ინტერისა" და "ფიორენტინას" მატჩში, მილანური კლუბის განაცხადში ვერ მოხვდა მარიო ბალოტელი. ჟოზე მოურინიომ ეს ფაქტი კლუბში არსებული დიდი კონკურენციით ახსნა, თუმცა, იტალიური მედია სულ სხვა რამეს ამტკიცებს. კერძოდ, ითქვა, რომ მოურინიომ ფეხბურთელი ვარჯიშზე დაგვიანების გამო დასაჯა. აპენინელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ბალოტელის 27 ნოემბერს ვარჯიშზე დაუგვიანია. მოურინიოს დაგვიანების მიზეზიც შეუტყვია - წინა ღამით ფეხბურთელს ერთ-ერთ მილანურ ბარში გვარიანად მოულხენია. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა 19 წლის ფორვარდი რეჟიმის დარღვევაში შენიშნეს. როგორც ჩანს, პორტუგალიელს ყელში ამოუვიდა ბალოტელის თავნებობა და ის დროებით გუნდიდან დაითხოვა. ახლა ბალოტელი "ინტერის" ახალგაზრდულ გუნდში ვარჯიშობს და როდის დაუბრუნდება "ნერაძურის" ძირითად გუნდს, ეს მხოლოდ მოურინიომ იცის.

პორტუგალიელ მწვრთნელს უკვე მობეზრდა ბალოტელის თავნებობა და შესაძლოა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ფეხბურთელი გაიყიდოს კიდეც. როგორც ამბობენ, "ინტერი" ბალოტელის "ბარსელონას" იაია ტურეში გაუცვლის.

## ბალარდინის ულტიმატუმი წაუყენეს

რომის “ლაციოს” მთავარ მწვრთნელს დავიდე ბალარდინის კლუბის მესვეურებმა ულტიმატუმი წაუყენეს. მწვრთნელს ორი მატჩი აქვს იმისთვის, რომ საკუთარი პროფესიონალიზმი დაამტკიცოს.

"ეს ბალარდინის ბოლო შანსია. ჩვენ ისედაც ბევრი მოვითმინეთ. იმის ნაცვლად, რომ ტიტულებისთვის ვიბრძოდეთ, ჩემპიონატის აუტსაიდერთა შორის ვართ გაჩხერილი. თუ მომავალშიც ამ გრაფიკით გავაგრძელებთ სვლას, შესაძლოა, სერია B-შიც მოგვიწიოს დაქვეითება", - ამბობს "ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო.

## აფრიკული ხუთეული

პრესტიჟული საინფორმაციო-სატელევიზიო არხი BBC ყოველწლიურად აწყობს აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას. ამ კომპანიამ დაასახელა იმ ხუთი ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც 2009 წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის იბრძოლებენ. BBC-ს რჩეულთა შორის არიან: დიდიე დროგბა ("ჩელსი", კოტ დ`ივუარი), მიკაელ ესიენი ("ჩელსი", განა), სამუელ ეტო`ო ("ინტერი", კამერუნი), ტრეზორ მპუტუ მბამი ("ტპ მაზემბე", კონგო) და იაია ტურე ("ბარსელონა", კოტ დ`ივუარი).

## მარკესს კონტრაქტი გაუხანგრძლივეს

30 წლის მექსიკელმა მცველმა რაფა მარკესმა "ბარსელონასთან" ხელშეკრულება გაახანგრძლივა. კატალონიური კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ახალი კონტრაქტი ძალაში იქნება 2012 წლის ივლისამდე, ხოლო ფეხბურთელის სავარაუდო სატრანსფერო ღირებულება 100 მილიონი დოლარით განისაზღვრა. დანარჩენი ფინანსური დეტალების გამხელა არც ერთმა მხარემ არ ისურვა.

მექსიკის ნაკრების კაპიტანი გახდა "ბარსელონას" მერვე ფეხბურთელი, რომელმაც კატალონიურ გრანდთან ბოლო პერიოდში კონტრაქტი გაახანგრძლივა. მანამდე ასეთივე ნაბიჯი გადადგეს ვიქტორ ვალდესმა, კარლეს პუიოლმა, ერიკ აბიდალმა, ხავიმ, ინიესტამ, ლიონელ მესიმ და პედრომ.

## აგუერო თანახმაა

მადრიდის “ატლეტიკოს” არგენტინელი ფორვარდი კუნ აგუერო აცხადებს, რომ თუ კლუბი მის გაყიდვას ისურვებს, ის უპრობლემოდ გადავა სხვაგან.

“პირადად მე მირჩევნია, რომ “ატლეტიკოში”, სულ მცირე, ზაფხულამდე დავრჩე, მაგრამ თუ კლუბის ხელმძღვანელობას ფინანსური მოსაზრებების გამო ჩემი გაყიდვა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მოუნდა, პრობლემა არ არის, ვითარებიდან გამოსავალს აუცილებლად ვიპოვით. მადრიდი ჩემი სახლია და აქ დარჩენაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ კლუბის ინტერესები და ჩემი სურვილი შესაძლოა ერთმანეთს არ დაემთხვას”, - აცხადებს აგუერო, რომლის გადაბირება ლონდონის “ჩელსის” აქვს განზრახული.

## ტოტი გაზაფხულს ელის

“რომას” კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი აცხადებს, რომ ნაკრებში დაბრუნების საკითხს გაზაფხულზე გადაწყვეტს.

“ბოლო დროს ბევრს საუბრობენ ჩემს დაბრუნებაზე იტალიის ნაკრებში. დავბრუნდები თუ არა, ამას მარჩელო ლიპისთან ერთად გაზაფხულზე გადავწყვეტ. ლიპისთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა როგორც წმინდა საფეხბურთო, ისე პირად ცხოვრებაში. იტალიური ფეხბურთის ვეტერანებმა მთხოვეს ნაკრებში დაბრუნება. ამიტომ ამ საკითხზე ლიპისთან ერთად მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში ვიმსჯელებ და, ცხადია, გადაწყვეტილებასაც შეგატყობინებთ”, - აცხადებს ტოტი.

## გალიანი კმაყოფილია

“მილანის” ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი კმაყოფილია, რომ გასულ ზაფხულს გუნდის მათავრი მწვრთნელის პოსტი სამწვრთნელო საქმიანობაში სრულიად გამოუცდელ ლეონარდოს ჩააბარა.

“ახლა “მილანი” მშვენიერ ფორმაშია. ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსი მოვიგეთ. მიუხედავად ამისა, “ინტერი” მაინც გვასწრებს. თუმცა, ახლა “ინტერზე” არ უნდა ვიფიქროთ. თუ ასე გავაგრძელეთ, სკუდეტოსაც მოვიგებთ. ლეონარდომ სასწაული მოახდინა - მან გუნდი შეცვალა. ზაფხულში გავრისკეთ და კლუბი ისეთ ადამიანს ჩავაბარეთ, ვისაც ბავშვთა გუნდიც კი არ გაუწვრთნია. კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი ნაბიჯი გადავდგით,” - ამბობს გალიანი.

# უბილეთო პიარი

ზურაბ თალაკვაძე


*ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი*

### “ჩვენ ერთი გუნდი ვართ!”

ლამაზი სანახავი იყო ეროვნული სტადიონი საფრანგეთთან საკვალიფიკაციო შეხვედრამდე. და არა მარტო სტადიონი. მთლიანად მიმდებარე ტერიტორია. ყველგან საქართველო იყო. უფრო სწორად, თითქმის ყველგან, გარდა ერთი პატარა კუთხისა, სადაც საფრანგეთის ნაკრების გასახდელი გახლდათ და იქიდან გამოსული შავ-თეთრი საზოგადოება მოედანზე დაახლოებით ისე შევარდა, როგორც მაქსიმუსის რვა გლადიატორი პროქსიმოს პირველი შოუს დროს.

“ერთი გუნდი” პირველი ტაიმის ბოლომდე ვიყავით. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდით, რომ ვყოფილიყავით, მაგრამ არ გაგვიმართლა, რომ ტიერი ანრის, ფლორან მალუდას და დანარჩენების მართლაც “გუნდთან” თამაშმა მოგვიწია. მაშინდელი საფრანგეთი ძლიერი გუნდი იყო, ძალიან ძლიერიც კი.

მერე მალხაზ ასათიანის ავტოგოლმა ბევრ რამეს წერტილი დაუსვა და მეორე დღეს დაიწყო “ანალიტიკომანია”. აი, ჩვენ მიშა მესხის, მანუჩარ მაჩაიძის, საშა ჩივაძის თამაში გვახსოვს და გუნდი ეგ იყოო. კარგი მაგალითები მოდიოდა და ძირითადად დღევანდელი გენერაციის “უჯიგრო” თამაშზე იყო სჯა-ბაასი. გაქრა ქართული ჯიგარიო...

შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, რომ “ჯიგარი”, “დუხი”, “მაგარი გალევიკი” და კიდევ ბევრი სხვა საჭორაო ნიუანსი ფერმკრთალდება ერთ ელემენტარულ რამესთან, რასაც უბრალო სათამაშო კლასი და კონკრეტული მოთამაშის უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა ჰქვია.

იტალიისთვის უხერხული მეტოქე გავხდით, ერთხელაც არ წაგვიგია “სკუადრასთან” სამი ბურთით და ძირითადად ან უმართლებთ, ან “კაჩავში” გვიგებენო, - დაიწერა. როდის, სად და რომელი ფორმაციის იტალიის ნაკრები ცდილობდა იმდენის გატანას, რამდენიც შეეძლო? მე არ მახსოვს ეგეთი იტალია. პრაგმატული, შედეგზე ორიენტირებული თამაში, სადაც სქემებში გარკვევა იმდენად რთული იყო, რომ, საქართველო კი არა, ინგლის-გერმანიები დარბოდნენ დაბნეულები.

და ბევრს აღიზიანებდა თუნდაც ის, რომ “პიარზე” ამდენი იხარჯება და ხომ შეიძლება ეს თანხა ბავშვთა ფეხბურთში ჩაგვედოო. ან ვეტერანებს დავეხმაროთ, ან ვინმეს დავეხმაროთ, მაგრამ ამდენი “კეპკა” და საყვირი ნაღდად არ გვჭირდებაო.

და რამდენი? ასი? ორასი? ორასი ათასი თუ ოცი? დარწმუნებული ვარ, ამ კითხვაზეც ვერ გაგცემდნენ პასუხს, ისე, საუბარში რომ გაგეტარებინა. მთავარია, კარგის, ლამაზის ოპოზიციაში ხომ ვართ და რად გვინდა პროგრესი და ნამდვილად საფეხბურთო და არა საპანაშვიდო გარემო...

2001-ში თურქეთში “გალათასარაისა” და “ტრაბზონის” თამაშზე დამპატიჟეს. ძალიან კარგი ადგილები შეგვხვდა, “გალას” კეპიც მომცეს, პატარა დროშაც და მერე, ყველაფერი რომ დამთავრდა, თურქული კერძებიც მივირთვით, ძალიან ცუდი ალკოჰოლიანი სასმელიც გავსინჯეთ და საბოლოოდ სიამოვნება მივიღეთ. “იუვე” და “მილანი” არ იყო, მაგრამ რაც იყო, ხომ ფეხბურთი ერქვა? დამიჯერეთ, არავის, “ფენერის” ან “ბეშიქთაშის” ფანსაც კი არ წამოსცდებოდა, ამდენი საფეხბურთო ატრიბუტიკა რად უნდოდათ, არ ჯობდა, სხვაგან წასულიყო ეგ თანხაო?

ჩვენთან პიარი ბევრს აღიზიანებს, - ზედმეტიაო. პროდუქტის, სეგმენტის შელამაზება, მომხმარებლისთვის სასურველად შეფუთვა არ გვინდა, მაგრამ ის კი აშკარად არ გამოგვრჩება, მატჩის შემდეგ რომ დავწეროთ, ფანები ჩუმად იყვნენ ან საერთოდ არ იყვნენ, ხალხმა გულშემატკივრობა ვერ ისწავლა და ჩვენს დროს სულ სხვა იყოო.

მოკლედ, პიარი ზედმეტია. არ ვიცით, რატომ, მაგრამ ზედმეტია.

ბარათაშვილის ხიდზე ლამაზი ქანდაკებები ლამაზია, მაგრამ ზედმეტია.

საძაგელი სუნით გაჟღენთილი სამარშრუტო ტაქსების მაგივრად კოხტა ავტობუსებით მგზავრობა ზედმეტია. ჰო, და თუ იმ ავტობუსში ახვალ, ბილეთის აღება ხომ ზედმეტზე ზედმეტია. “ტეხავს” და იმიტომ.

საქართველოს ყველა ასაკობრივმა ნაკრებმა რომ სეზონში 70-მდე შეხვედრა ჩაატაროს, ეს ხომ ზედმეტიც აღარ არის, უბრალოდ, მიუღებელია.

რატომ? ის თანხა, რაც მგზავრობისთვის, შემდგარი თუ დამწყები მოთამაშის კომფორტისთვის უნდა დაიხარჯოს, სადღაც სხვაგან, მიზეზის ვერგახსენების შემთხვევაში, ალბათ მაინც ბავშვთა ფეხბურთში უნდა წავიდეს.

და გვეყოლება როკფელერული ბავშვთა ლიგა, კარის ხარიხაზე “მაკდონალდსის” ლოგოებით, ნაკრები კი სეზონში იმდენს ითამაშებს, რამდენიც “უნდა” ითამაშოს. ესე იგი, დასაშვებზე მეტს ნამდვილად არა.

ჩემმა კოლეგამ ერთ-ერთ წერილში მასმედიის რეგრესზე რომ დაწერა, ბევრს არ მოეწონა, მაგრამ ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, მისთვის ამ თემაზე არავის არაფერი უთქვამს. ვერ გაბედეს და იმიტომ. იმასაც ვერ მიხვდნენ, ეს სწორედაც რომ კოლეგიალობის პრინციპის დაცვით იყო დაწერილი.

დღეს უცხო ენის თითქმის ყველა მცოდნეს ჟურნალისტი ჰქვია, მაგრამ ძირითადად სათარჯიმნო ბიუროს პრინციპით მუშაობენ და წერენ იმას, რასაც რომელიმე საიტზე ნახავენ ან, თუ გლობალურ თემებზეა დასაწერი, მონაჭორიდან დაუსრულებელ საგას გამოაცხობენ. ეს ისე, ყურადღება არ მიაქციოთ.

და, საერთოდ, რატომ ვუყურებთ ფეხბურთს? ჩემპიონთა ლიგის თამაშს “ფანების” დიდი ნაწილი იმიტომ ჩაუჯდება ხოლმე, რომ “ბარსას” მეტი ან პირიქით დასვას, დიმა ობოლაძეს ჩასაფრებული გოიმივით უსმენდეს, მეორე დღეს რომ თქვას: ბიჭო, გალადავო, ისეთი რამე “დაახეთქა”, “ცვეტში” ვხოხავდიო. კოლეგიალობა-არაკოლეგიალობა იქით იყოს, დიმასავით ფეხბურთი ბევრს რომ ესმოდეს, ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა.

თემას გადავუხვიეთ.

ფეხბურთელები წამალზე “ზიან” და წინა ფედერაციამ ამდენი ხნის განმავლობაში თითქმის 60 მილიონი ლარი დახარჯაო. არა, კი არ დახარჯა, გაფლანგაო. მაგარია, არა?

ის, ვინც წამალზე “ააგდეს”, ბევრი დღევანდელი მასმედიელის “მეგობარია” და ბევრს ამ ფაქტის გაგებით ის კი არ ეწყინა, რაც უნდა სწყენოდა (თუ ნათქვამი სიმართლეა და არა შავი, უნიჭო პიარი), გაუხარდა, რომ საწერი თემა მიეცა.

და მილიონები?

თითო საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება, სულ მცირე, 50 ათასი ევრო ჯდება და თუ უფრო ლამაზად გვსურს ყველაფრის ჩატარება (კიდევ ეს უსარგებლო პიარი), თავისთავად, მეტი თანხაა გასასვლელი. იანგარიშეთ, რამდენი შეხვედრა გამართეს საქართველოს ასაკობრივმა ნაკრებებმა. იანგარიშეთ? თუ არ გეზარებათ, გაამრავლეთ 50 ათასზე და, რბილად რომ ვთქვათ, სოლიდური თანხა გამოვა.

ტოპმიოლერი ჯერ ძალიან მოგვწონდა, ბალაკისა და ზე რობერტოს ყოფილი ბოსი პოპულარობას (პიარის გარეშე) კრეფდა, მაგრამ ნაკრებმა რომ შედეგი ვერ აჩვენა, მაშინვე დაიწყო წერილების წერა - მოგვაცილეთ ეს გაზულუქებული “ტოპი” და მაგისი უვარგისი ბრიგადაო. შუალედში, ანტიტოპომანია რომ ფეთქავდა, ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელი მწვანე შუქი შოტლანდიას გაუწითლა, მაგრამ დაიწერა, რომ “ბიჭებმა” “ჯიგრით” ითამაშეს, ტოპი კი მხოლოდ იმან შეაქო, ვისაც ფეხბურთი ესმოდა.

ანჯელინა ჯოლის მარჯვენა მხარზე აქვს სვირინგი: “ის, რაც გვამშვენებს, გვკლავს”. და ედვარდ ნორტონის ზურგზე ამოსვირინგებულია: “ცოდნა ძალაა”.

ჩვენთან ორივე სტერეოტიპი ინგრევა. არ ვიცით, რომ (და რაც) უნდა ვიცოდეთ და ბრმად ვიწყებთ დისკუსიას. იმიტომ რომ საქართველოში ოპოზიცია ყველაზე დიდი ძალაა და მაგარ “ხოდშია”.

იმიტომ, რომ კომფორტი მიუღებელი და საშიში გახდა.

იმიტომ, რომ მამაოსთან აღსარების მერე იტყვიან, ნახე, ბიჭო, მამაო რა “ემელით” დადისო?

იმიტომაც, რომ ბაკურ ბურდული ვითომ “გაპაპსავიკდა” და როკს ველარ “უბერავსო”.

და იმიტომ, რომ პიარი ზედმეტია.

თვითონ სიმღერა “ჩვენ ერთი გუნდი ვართ” შეიძლება არ მოგეწონოს ან პირიქით. შეიძლება “ლივერპულის” YOU Never Walk Alone არ არის, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება ერთ გუნდად ყოფნა, როდესაც იტალიის ნაკრებს აეროპორტში ასეულები ხვდებიან, ჩვენს ნაკრებს კი ძირითადად საგაზეთო პუბლიკაციებით ვხვდებით.

იმიტომ რომ აჩი არველაძის მოედანზე შესვლას მოკრძალებული ტაშით, სარბენ ბილიკზე რობი ბაჯოს გამოჩენას კი დამანგრეველი აპლოდისმენტებით ვეგებებით.

მოკლედ, საქართველოში ფეხბურთის ასაღორძინებლად საჭირო ყოფილა: “ნარკამანების” ამოგდება, მთელი საბიუჯეტო თანხის ბავშვთა ფეხბურთში ჩადება, ნაკრებების თამაშების მინიმუმამდე შემცირება, იტალიის ჩემპიონატიდან ჯიჯი ბუფონის მერე საუკეთესო მეკარის გაქართველება და ნაკრებში აკინოს მიწვევა. ჰო, საფეხბურთო ინტერნეტიც უნდა ავაღორძინოთ. გამგები გაიგებს.

და ყველაფერი ეს პიარის გარეშე!

ჩვენ ხომ ერთი... ალბათ, გუნდი ვართ.

# ვინ არის ზლატან იბრაჰიმოვიჩი?

ვასილ უდუმაშვილი



*ამ დარტყმით ზლატან იბრაჰიმოვიჩმა "კლასიკო" მოიგო*

ათ წუთზე ნაკლები დასჭირდა ზლატან იბრაჰიმოვიჩს, რათა კარიერაში პირველი "კლასიკო" მოეგო. ვინ არის ბოსნიური წარმოშობის შვედი ვარსკვლავი?

"მე ვარ ჩრდილოეთი, რადგან დავიბადე მალმიოში და მინდა, რომ ყველამ შვედად ჩამთვალოს. ჩემი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება მშობლიურ ქალაქს და სამშობლოს. ჩემი ნამდვილი მეგობრებიც აქ ცხოვრობენ. მე ვარ სამხრეთი, რადგან ფიცხი ხასიათი მაქვს. მიყვარს მძაფრი შეგრძნებები, მიყვარს თამაში სტადიონებზე, სადაც ვერ მიტანენ. უშიშარიც ვარ. მომწონს კრეატივი არა მარტო ფეხბურთში, არამედ პირად ცხოვრებაშიც. მე დასავლეთიც ვარ, რადგან მიყვარს ამერიკის შეერთებული შტატები. ხშირად ვატარებ იქ არდადეგებს ოჯახთან ერთად, მომწონს იქაური ამინდი და ინგლისურად ლაპარაკი. მე აღმოსავლეთი ვარ, რადგან ჩემი ოჯახი იქიდანაა. მამაჩემი ბოსნიელია, დედა კი - ხორვატი. არ დამვიწყებია ენა, რომელზეც მშობლები საუბრობენ. მჭიდრო კავშირს ვგრძნობ ჩემს ხალხთან - უშიშარ, მეამბოხე, ქედუხრელ მომთაბარეებთან, რომლებიც მუდამ გზაში არიან..."

აი, ასე ახასიათებს საკუთარ თავს თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.

დღეს ფეხბურთში ალბათ ვერ ნახავთ ზლატანზე უფრო წინააღმდეგობრივ პერსონაჟს. საფეხბურთო მინდორზე ის გვიჩვენებს უმაღლეს კლასს. მისი გოლების ხილვა განსაკუთრებული სიამოვნებაა. მის ყოფილ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს მიაჩნია, რომ ზლატანი უდიდეს ფეხბურთელად მაშინ იქცევა, როდესაც ულამაზო გოლების გატანას ისწავლის. ზოგიერთი მას აღმერთებს, ზოგიერთს კი მისი გვარის გაგონებაზე ტანში უსიამო ჟრუანტელი დაუვლის. იბრაჰიმოვიჩს საერთოდ არ ადარდებს, რას ამბობენ მასზე. ის აგრძელებს ფეერიულ თამაშს საფეხბურთო მინდორზე, გააქვს ულამაზესი გოლები, არიგებს ინტერვიუებს და ყოველდღიურად უფრო და უფრო წინააღმდეგობრივი ადამიანის იმიჯს იქმნის.

ზლატან იბრაჰიმოვიჩის საფეხბურთო კარიერა დაიწყო 1999 წელს შვედურ კლუბ "მალმიოში". პირველივე სეზონში გამართულ 40 მატჩში მან 16 გოლი გაიტანა. მაშინ შეამჩნია შვედი ახალგაზრდა არსენ ვენგერმა და მისი გადაბირება "არსენალში" სურდა. თუმცა ზლატანმა ჰოლანდიური "აიაქსი" არჩია და 2001 წელს იბრაჰიმოვიჩის დებიუტი ერედივიზიონში გაიმართა.

2004 წლის აგვისტოში ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტმა ზლატანს ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა მისთვის სატრანსფერო ფანჯრის უკანასკნელი დღე. იბრაჰიმოვიჩმა ჩვეული "გულახდილობით" განაცხადა: არაფერს. "აიაქსის" დატოვებას არ ვაპირებო და... რამდენიმე დღეში ტურინისკენ აიღო გეზი. "იუვენტუსში" ორი განსხვავებული სეზონი ჰქონდა. პირველი - ფანტასტიკური, მეორე, ცოტა არ იყოს, სუსტი და "ინტერს" მიაშურა. სწორედ მილანურ კლუბში იქცა ზლატანი ნამდვილ პრიმა-ბალერონად. ეს ტერმინი შემთხვევითი არ გეგონოთ - იბრაჰიმოვიჩი უბრალოდ კი არ თამაშობს ფეხბურთს, ის მცველების გარემოცვაში ცეკვავს და ისეთი ელეგანტურობით იცილებს მათ, რომ ზოგიერთი მის თამაშს მიხაილ ბარიშნიკოვის ცეკვას ადარებს. არაერთი ულამაზესი გოლის წყალობით ზლატანი "ინტერში" საფეხბურთო გურმანების ნამდვილ კერპად იქცა. "ნეარძურიში" მან ყველაფერი მოიგო და "ბარსელონას" მიაშურა.

შვედი ვარსკვლავი თითქმის ყოველთვის ერთნაირი სცენარით მოქმედებს კლუბებთან ურთიერთობისას. თავიდან ყველაფერი კლუბისა და თანაგუნდელებისადმი კომპლიმენტებით იწყება. ხშირად ეს კომპლიმენტები უხეშ პირფერობაში გადადის. ასე იყო "მალმიოში", "აიაქსში", "იუვენტუსსა" და "ინტერში". "მალმიოს" პრეზიდენტს ზლატანმა "მეორე მამა" უწოდა, "აიაქსის" მწვრთნელი გააღმერთა, არ დაიშურა კომპლიმენტები ფაბიო კაპელოს მიმართ, "ინტერში" ორი დღის გადასულმა ლუიშ ფიგუ თავის საუკეთესო მეგობრად მოიხსენია, ჟოზე მოურინიო კი - თანამედროვე ფეხბურთის უდიდეს ტაქტიკოსად.

ასეთ ქათინაურებს მუდამ მოსდევს სკანდალი. "მალმიოში" ეს პოსტფაქტუმ მოხდა - უკვე "აიაქსში" გადასულმა განაცხადა, რომ შვედური კლუბის პრეზიდენტი მას იყენებდა. "აიაქსში" იყო გარჩევები რაფაელ ვან დერ ვაარტთან. ერთხანს "აიაქსის" მთავარი მწვრთნელი რონალდ კუმანი გუნდის ორი ვარსკვლავის შესარიგებლად მათ ერთ ნომერშიც კი აცხოვრებდა, მაგრამ კუმანის პროექტი არ გამართლდა. 2004 წლის ევროპის პირველობაზე შვედეთისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების მატჩში ზლატანს ხუთი წუთიც არ დასჭირვებია იმისთვის, რომ ვან დერ ვაარტისთვის სერიოზული ტრავმა მიეყენებინა, იმდენად სერიოზული, რომ რაფაელი მინდვრიდან საკაცით გაიტანეს. ჰოლანდიელი გაოგნებული იყო. "გიჟია! როგორ შეიძლება თანაგუნდელს ასეთი ტრავმა მიაყენო. განზრახ გააკეთა და არც კი უკითხავს, როგორ ვარ", - ამბობდა შემდეგ ვან დერ ვაარტი. როდესაც ჟურნალისტებმა ზლატანს ჰკითხეს, თუ რა პრობლემები ჰქონდა თანაგუნდელებთან, იბრაჰიმოვიჩმა ღიმილით უპასუხა: "პრობლემები? რა პრობლემები? მგონი თავად გაქვთ პრობლემები".

ამის შემდეგ ზლატანისა და რაფაელის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. შვედმა განაცხადა, რომ არ ითამაშებს ვან დერ ვაარტთან ერთად. მეტიც, თვითმხილველთა თქმით, ერთხელ ზლატანი ჰოლანდიელს დაემუქრა კიდეც: "თუ ჟურნალისტებთან ჩემზე ისაუბრებ, კისერს მოგიგრეხ".

ვან დერ ვაარტი არ არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის ბედი გარკვეულწილად "რეალს" უკავშირდება და რომელსაც ზლატანთან რთული ურთიერთობა აქვს. თავის დროზე იბრაჰიმოვიჩმა ბექჰემის შესახებ თქვა: "მე ბექჰემი არ ვარ, მანეკენობას ვერ დავიწყებ. არ მომწონს ეგ ტიპი და მას მაისურსაც არასდროს არ გავუცვლი". ამბობენ, რომ ერთ-ერთ მატჩში, როდესაც ზლატანი და დევიდი მინდორზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შვედმა "ტკბილი" სიტყვებით მოიხსენია ვიქტორია ბექჰემი, რის გამოც კინაღამ მინდორზევე ატყდა ჩხუბი.

"იუვენტუსში" ზლატანმა ურთიერთობა გაიფუჭა ფაბიო კაპელოსთან, შემდეგ კი გუნდის დატოვებაში მოჯიგეიტიც დაეხმარა.

"ინტერში" მისი საქმეები თავიდან კარგად მიდიოდა, მანჩინისთან ბრწყინვალე ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ორი სეზონი. შემდეგ ზლატანმა ღიად დაუჭირა მხარი მორატის, რომელმაც გუნდიდან მანჩინის გაგდება გადაწყვიტა. მოურინიოს ეპოქაში ზლატანმა პორტუგალიელთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა დაამყარა, თუმცა მერე ურთიერთობა ტიფოზებთან გაუფუჭდა და 2009 წელს ზლატანმა "ინტერიც" დატოვა.

ახლა შვედი "ბარსელონაშია". სცენარი ანალოგიურად ვითარდება. "ეს არ არის მხოლოდ საფეხბურთო კლუბი. "ბარსელონა" გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ფეხბურთი," - აცხადებს ზლატანი. შვედი თავს ბედნიერად გრძნობს და თითქოს თავისი კლუბიც იპოვა, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა. სულ რამდენიმე დღის წინ ზლატანის აგენტმა რაიოლამ მოულოდნელი განცხადება გააკეთა: "აბა, რა ვიცი, რა მოუვა თავში ზლატანს და როდის მობეზრდება "ბარსელონაში" თამაში. ერთ გუნდში ვერ ჩერდება. არ გამოვრიცხავ, რომ იტალიაშიც დაბრუნდეს", ზლატანი მხოლოდ საკუთარი თავის ერთგულია".

აი, ასეთია ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელმაც კვირას "ელ კლასიკო" მოიგო და ოცნებობს ჩემპიონთა ლიგის მოგებასა და "ოქროს ბურთის" მოპოვებაზე. "ბარსელონაში" მისი გადასვლის მიზეზიც სწორედ ეს არის.

## ჰიდინკმა "ქალბატონი" უარით გაისტუმრა

ბოლო პერიოდში ტურინის "იუვენტუსს" თამაში არ მისდის და "ბებერი ქალბატონის" მესვეურები სერიოზულად დაფიქრდნენ მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე. მეტიც, ტურინელებმა სცადეს მოლაპარაკების დაწყება რუსეთის ნაკრების ჰოლანდიელ მთავარ მწვრთნელ გუუს ჰიდინკთან, თუმცა მისგან კატეგორიული უარი მიიღეს.

## ფერარა მსაჯებს დაერია

ტურინის "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ჩირო ფერარა იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში "კალიარისთან" გასვლით მატში განცდილ მარცხს არაობიექტური მსაჯობით ხსნის.

"კალიარისთან" შეხვედრაში ჩემი ფეხბურთელების მიმართ პრეტენზია არ მაქვს. მეორე ნახევარში მათ მაქსიმუმი გააკეთეს, რათა თამაში გადაერჩინათ და მოგებაც შეგვეძლო. გოლის გატანის უამრავი შანსი გვქონდა და ერთ-ერთი მათგანი მსაჯმა წაგვართვა. ამაურის წინააღმდეგ თამაშის წესი დაირღვა და არბიტრს თერთმეტმეტრიანი უნდა დაენიშნა. არადა, რა მივიღეთ ამ ეპიზოდში - ამაურის ყვითელი ბარათი უჩვენეს," - ამბობს ფერარა.

## ტონი "ბაიერნს" დატოვებს

მიუნხენის "ბაიერნის" იტალიელმა ფორვარდმა ლუკა ტონიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იანვრის სატრანსფერო პერიოდში გუნდს შეიცვლის.

"საბედნიეროდ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდი სულ მალე გაიხსნება. "ბაიერნში" საკმარისი სათამაშო დრო რომ მქონდეს, აქაურობის დატოვებაზე არ ვიფიქრებდი, მაგრამ მწვრთნელის მხრიდან სრული იგნორირება ჩემთვის მიუღებელია. ხშირად ამბობენ, რომ ჩემი ახალი კლუბი "ნაპოლი" იქნება. შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს. თუმცა, სერია A-ში კიდევ არის რამდენიმე გუნდი, რომელთა წინადადებას სიამოვნებით მივიღებდი", - განაცხადა იტალიელმა ფორვარდმა.

ტონის ურთიერთობა დაეძბა ლუი ვან გაალთან, რომელიც იტალიელს არ ენდობა. ამავე დროს ფეხბურთელმა გააკრიტიკა მწვრთნელი, რის გამოც კლუბის მესვეურებმა იტალიელი დააჯარიმეს.

## "ტულუზა" მეკარის გარეშე დარჩა

საფრანგეთის ელიტურ დივიზიონში მოასპარეზე "ტულუზას", სულ მცირე, ოთხი თვით დაკლდება ძირითადი მეკარე იოან პელე, რომელმაც უმძიმესი ტრავმა მიიღო "ბულონთან" მატჩში. თამაშის 90-ე წუთზე პელე მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ექიმების დასკვნით, 27 წლის ფეხბურთელი ოპერაციას საჭიროებს.

1999 წლიდან მოყოლებული, ათი წლის განმავლობაში, პელე "ლე მანის" ღირსებას იცავდა, "ტულუზაში" კი მიმდინარე სეზონის წინ გადავიდა.

## "ქალაქელები" ტორესში 50 მილიონს იხდიან

"მანჩესტერ სიტის" მესვეურები ფულის ხარჯვას არ ერიდებიან და საკმაოდ დიდ თანხებს გუნდის გასაძლიერებლად ზამთრის სატრანსფერო პერიოდშიც გაიღებენ. ზაფხულში "სიტი" სატრანსფერო აქტიურობით მხოლოდ მადრიდის "რეალს" ჩამორჩა, ზამთარში კი "ქალაქელებმა" შესაძლოა ყველას აჯობონ.

ინგლისური მედიის მტკიცებით, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "სიტის" მთავარი სამიზნე იქნება "ლივერპულის" ესპანელი ფორვარდი ფერნანდო ტორესი, რომელშიც მანჩესტერული კლუბი 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის.

ფინანსურ კრიზისში მყოფ მერსისაიდელებს ამ თანხაზე უარის თქმა გაუჭირდებათ, თუმცა, არც თავად ტორესი ისურვებს ისეთ გუნდში გადასვლას, რომელსაც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში გარანტირებული არ ექნება.

## მიშელი თანამდებობიდან დაითხოვეს

ცნობილი ფრანგი სპეციალისტი, წარსულში საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანრი მიშელი ეგვიპტური "ზამალეკის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს.

გამოცდილი ფრანგი სპეციალისტის დათხოვნის მიზეზი გახდა გუნდის მიერ ჩატარებული წარუმატებელი მატჩების სერია.

62 წლის მიშელს "ზამალეკში" შეცვლის ეგვიპტელი ჰოსამ ჰასანი, რომელიც XX საუკუნის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში შედის.

მიშელი მიმდინარე წლის 30 აგვისტოდან მუშაობდა "ზამალეკის" მთავარ მწვრთნელად.

# მესიმ საფეხბურთო გვირგვინი დაიდგა

ორშაბათს, შუაევროპული დროით დაახლოებით ღამის პირველ საათზე, კერძოდ, ორის ორ წუთზე, ფრანგულ გამოცემა France Football-ის ოფიციალურ ვებგვერდზე დაიდო 2009 წლის "ოქროს ბურთის" გათამაშების საბოლოო შედეგები. მოულოდნელი არაფერი მომხდარა - ეს უპრესტიჟულესი ჯილდო მოიგო არგენტინის ნაკრებისა და "ბარსელონას" ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ, თუმცა, წლევანდელი "ოქროს ბურთი" გარკვეულწილად ისტორიულია და მისი საბოლოო შედეგები ისეთია, რომ, საეჭვოა, მესის რეკორდი ოდესმე გამეორდეს.

საქმე ის არის, რომ შესაძლო 480 ქულიდან არგენტინელმა 473 მიიღო და 233 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ კრიშტიანუ რონალდუს. ასეთი დიდი უპირატესობით "ოქროს ბურთი" არავის მოუგია. ამავე დროს მესი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც ეს ჯილდო ოდესმე მოუგია. აქამდე რეკორდი მაიკლ ოუენს ეკუთვნოდა. საყურადღებოა ისიც, რომ "ბარსელონას" ვარსკვლავი პირველი არგენტინელია, ვისაც "ოქროს ბურთის" მოგების პატივი ხვდა წილად. მართალია, 1961 წელს "ოქროს ბურთი" ომარ სივორისაც აქვს მოგებული, მაგრამ მაშინ "იუვენტუსის" არგენტინელი ლეგენდა პასპორტით უკვე იტაილიელი იყო და "ოქროს ბურთსაც" იტალიელის რანგში დაეუფლა.


ამიერიდან მესი "ოქროს ბურთითაც" ითამაშებს

მესის წარმატება გასაკვირი არ არის. გასული სეზონი "ბარსელონამ" და მესიმ უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. კატალონიურმა კლუბმა ყველა ტიტული მოიგო და ამაში მესის უდიდესი დამსახურებაა. ახლა არგენტინელი პირად ტიტულებს მიადგა და სულ მალე ალბათ ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულსაც მოიგებს.

"ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ჯილდოს მოგება. განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას მგვრის ის ფაქტი, რომ პირველი არგენტინელი ვარ, ვისაც ეს ჯილოდ მოუგია. ვერ დავმალავ, ამ ტიტულს ველოდი. ვიცოდი, რომ მთავარი ფავორიტი მე ვიყავი, რადგან 2009 წელი "ბარსელონასთვის" საოცრად წარმატებული გამოდგა. თუმცა, ნამდვილად არ მეგონა, რომ მეორე ადგილზე გასულს ასეთი უპირატესობით მოვუგებდი. "ოქროს ბურთის" მოგება ყველა ფეხბურთელისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ყველა, ვისაც ეს ტიტული აქვს მოგებული, უდიდესი ფეხბურთელია. თუმცა, ზოგიერთ დიდ ფეხბურთელს ეს ტიტული არ მოუგია. არ ვიცი, იქნება თუ არა შესაძლებელი ასეთი წარმატების გამეორება. რასაკვირველია, მინდა, რომ 2010 წელიც ისეთივე იყოს, როგორიც 2009 იყო, მაგრამ ორჯერ ზედიზედ "ოქროს ბურთის" მოგება ურთულესი საქმეა", - განაცხადა მესიმ.

# წინ, წარსულში

ზურაბ თალაკვაძე

ლეგენდა ლეგენდაა და მას გაფრთხილება უნდა. ფილადელფიაში დღემდე ახსოვთ ის, რაც "სიქსერზისთვის" ალენ აივერსონს აქვს გაკეთებული და უმუშევრად დარჩენილ უურჩეს მეგავარსკვლავს მომავალ კვირას ალბათ ისევ იმ გუნდში ვნახავთ, სადაც ალენმა კარიერის საუკეთესო წლები გაატარა.

აივერსონის ტრანსფერს ხუთ-ექვს დღეში ელიან. მომავალ ორშაბათს, გამთენიისას, "ფილადელფია" საკუთარ მოედანზე აივერსონის კიდევ ერთ ყოფილ ფრენჩაიზს, "დენვერს" ხვდება და ამ მატჩში უნდა ველოდოთ აღმოსავლელის რიგებში უკანახაზელის გამოჩენას. ამაზე ამერიკელ მასმედიელებთან საუბარში "სიქსერზის" გენერალურმა მენეჯერმა ედ სტეფანსკიმ ისაუბრა.

აივერსონისა და გუნდის წარმომადგენელთა შეხვედრა დალასში, "მავერიქსთან" მატჩამდე ორი საათით ადრე შედგა. მაშინვე გამოცხადდა, რომ აივერსონთან კონტრაქტი არ გაფორმებულა და სავარაუდოდ, აღარც გაფორმდებაო, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა.

იმ შეხვედრას სტეფანსკის გარდა, გუნდის მთავარი მწვრთნელი ედი ბრაუნი და ორგანიზაციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ედ სნაიდერი ესწრებოდნენ.

გუშინ, ამერიკელებმა შემდეგი ინფორმაცია გაავრცელეს: აივერსონი "ფილადელფიაში" დაბრუნდება, გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება და ვეტერანის მინიმალურ გასამრჯელოს, ანუ 1.3 მილიონ დოლარს დათანხმდება.

სტეფანსკიმ ალენთან მოლაპარაკება გააგრძელა და მის ვილაზე მისი ყოფილი თანაგუნდელი, დღეს კი "სიქსერზის" მეორე მწვრთნელი აარონ მაკკი გაუშვა. "დენვერამდე" გუნდი კიდევ ორ გასვლით მატჩს ჩაატარებს - ორ დღეში ოკლაჰომაში კევინ დიურანის "თანდერს" შეხვდება, კვირას კი "სიქსერზის" ოპონენტი თანაკონფერენციელი "შარლოტი" იქნება. მაკკი უნდა დარწმუნდეს, რომ აივერსონი მინიმუმ, კარგ ფორმაშია და მზად არის მოედანზე გასასვლელად.


ალენ აივერსონი ფილადელფიაში დაბრუნდება

არადა ალენი თითქოსდა გადასული იყო "ნიუ იორკ ნიქსში", მაგრამ ბოლო მომენტში "მედისონის" ბინადრის ბოსებმა ტრანსფერს წითელი ფერი აუნთეს და "დიდი ვაშლი" ბოლო დეკადის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშის გარეშე დარჩა.

"სიქსერზის" უკანახაზელი როდნი აივი: "ვსაუბრობთ დიდების დარბაზში მოხვედრის ასპროცენტიან კანდიდატზე, რომელიც ფილადელფიაში დღესაც უზომოდ პოპულარულია. როგორ ვუყურებ ალენის შესაძლო დაბრუნებას "სიქსერზში"? რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ დადებითად. ჩემთვის დიდი პატივი იქნება მასთან ერთად გუნდში ყოფნა."

შეგახსენებთ, რომ ალენი და "ფილადელფია" ერთმანეთს ცუდად დაშორდნენ. 2006-07 წლების სეზონის დაწყებამდე მოთამაშემ სხვაგან გადასვლა მოითხოვა, აქ თამაშის მოტივაცია და სურვილი აღარ შემრჩაო და ბოსებმაც ალენი "ნაგეტსში" გაუშვეს, სადავ უდიდესი ავანსების მიუხედავად, გუნდმა ბევრ ვერაფერს მიაღწია და კონფერენციის ფინალშიც კი ვერ მოხვდა.

აივერსონის შემდეგი გაჩერება "დეტროიტი" იყო, სადაც ალენმა იმდენი მოახერხა, რომ წლების განმავლობაში გამობრძმედილ გუნდურ სულს ამპუტაცია გაუკეთა, "პისტონსი" ფავორიტიდან რიგით გუნდად იქცა და დღესაც, სადღაც აუსაიდერებშია ჩარჩენილი. სამაგიეროდ, "დენვერმა" მიიღო ჩონსი ბილაპსი და სტაბილურობა და შარშან კონფერენციის ფინალშიც კი გავიდა, სადაც "ლეიკერსთან" წააგო.

ალენი სულ ბოლოს "მემფისში" იყო, სადაც უნიჭიერეს ო. ჯეი. მაიოს ცვლიდა, ცუდადაც არ თამაშობდა, მაგრამ სათადარიგოობა მობეზრდა და ბოსებს ხელშეკრულების დარღვევა თხოვა. ალენის თხოვნა ეგრევე დააკმაყოფილეს.

"მემფისთან" ალენმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში, 34 წლის სუპერვარსკვლავი 3.1 მილიონს მიიღებდა, მაგრამ კონტრაქტი დაირღვა. ალენმა "გრიზლისის" შემადგენლობაში მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ (მისთვის სამარცხვინო) 12.3 ქულასა და 3.7 შედეგიან გადაცემას (22.3 წუთში) აგროვებდა.

"ფილადელფია" საშინელ ფორმაშია. გუნდმა ზედიზედ შვიდი (!) შეხვედრა წააგო და ამ ეტაპზე 5 მოგებითა და 13 წაგებით აღმოსავლეთის აუტსაიდერებშია. საკმაოდ კარგი შემადგენლობის მიუხედავად (სადაც გამოკვეთილი ლიდერი ანდრე იგუოდალაა), გუნდი კრიზისშია და თუ საამისოდ, ანუ სიტუაციის გამოსწორებისთვის ალენის დაბრუნებაა საჭირო, სტეფანსკის აზრით, ორგანიზაცია ამას დაუფიქრებლად გააკეთებს. მთავარია, ალენი კარგ კონდიციებში იყოს და გუნდი არ აზარალოს.

"ფილადელფიის" ძირითადი ცენტრი, სემი დალემბერი ალენს დღესაც მსოფლიოს ხუთ წამყვან მოთამაშეში ასახელებს.

"არაფერი შეცვლილა. ალენი დღესაც იქაა, სადაც უნდა იყოს. გვყავს კობი, ლებრონი, ტიმი, კევინი, შაკი და ალენი, ანუ საუკეთესოები დღესაც ესენი არიან. აივერსონს ასაკი მოემატა, მაგრამ თუ მას ჩვენთან დაბრუნება მოუნდება, დარწმუნებული ვარ, უმაღლეს დონეზე სათამაშოდ აუცილებელი მოტივაცია შენარჩუნებული ექნება", - ამბობს დალემბერი.

იგუოდალას გარდა, "სიქსერზში" ძალიან ძლიერი, მაგრამ ტრავმებით გაწამებული მძიმე ფორვარდი ელტონ ბრენდიცაა. მისი აზრით, აივერსონის ტრანსფერი გუნდს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

"როგორ შეიძლება უარი თქვა ისეთი დონის მოთამაშის დამატებაზე, როგორიც აივერსონია... უდიდესი გამოცდილება, ლიდერობა, რკინის ნერვები - ყველაფერი ეს ალენის საფირმო ნიშნებია და მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე 34 წლისაა, ალენს არც სისწრაფე დაუკარგავს და არც - მოტივაცია", - მიაჩნია ბრენდს.

"ფილადელფიის" რიგებში ალენ აივერსონი ერთხელ რეგულარულის უძვირფასესი გახდა და ერთხელაც "სიქსერზი" სუპერფინალში გაიყვანა, სადაც ალენისა და დიკემბე მუტომბოს გმირული თამაშის მიუხედავად, "ფილადელფია" კობი ბრაიანტისა და შაკილ ონილის "ლეიკერსთან" ხუთმატჩიან სერიაში დაიჩაგრა.

"სიქსეზში" აივერსონმა 11 სეზონი გაატარა და ამ დროში გუნდის ისტორიაში ერთ-ერთ შედეგიან მოთამაშედ იქცა.

თავის კარიერაში აივერსონს 889 შეხვედრაში 24 020 ქულა (27.0), 5 522 შედეგიანი გადაცემა (6.2) და 3 319 მოხსნა (3.7) აქვს დაგროვილი. მის ანგარიშზე ასევე 1 051 ზუსტი სამქულიანია.

აღმოსავლეთში ფავორიტები არ შეცვლილან და ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე გუნდი "ბოსტონს", "ორლანდოს" ან "კლივლენდს" გვერდით დაუდგეს. უბრალოდ, "ფილადელფიაში" აივერსონის დაბრუნებით "სიქსერზი" უფრო ვარირებადი, მრავალმხრივი გახდება და თუ ალენმა ძველებურად შეუბერა, მაშინ გუნდი კონფერენციის რვა საუკეთესოში ულაპარაკოდ უნდა გავიდეს.

მოკლედ, ვნახოთ. ყველაფერი სულ მალე უნდა გაირკვეს, მანამდე კი "ფილადელფიას" ორი რთული შეხვედრა აქვს ჩასატარებელი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 625 უმწეო მოქალაქეებისათვის ყოველდღიური ერთჯერადი კვებით, უფასო სასადილოებით მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე ცხრა ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი N1 - ავჭალის დასახლების მ/ტერიტორია - 85 ბენეფიციარი**

**ლოტი N2 - გლდანი I (გლდანის I-II-III-IV მ/რ მ/ტერიტორია) - 70 ბენეფიციარი**

**ლოტი N3 - გლდანი II (გლდანის V-VI-VII-VIII მ/რ მ/ტერიტორია) - 70 ბენეფიციარი**

**ლოტი N4 - მუხიანის დასახლების მ/ტერიტორია - 60 ბენეფიციარი**

**ლოტი N5 - ზღვისუბანი I (თემქის დასახლება) - 70 ბენეფიციარი**

**ლოტი N6 - ზღვისუბანი II (თემქის დასახლება) - 56 ბენეფიციარი**

**ლოტი N7 - ნაძალადევი I (მ/სადგურ "ნაძალადევი"-სა და გადასასვლელ ხიდს შორის ტერიტორია) - 85 ბენეფიციარი**

**ლოტი N8 - ნაძალადევი II (მ/სადგურებს "ღრმაღელე"-ს და "ნაძალადევს" შორის ტერიტორია)
- 65 ბენეფიციარი**

**ლოტი N9 - ნაძალადევი III (მ/სადგურ "გურამიშვილი"-ს მ/ტერიტორია)- 64 ბენეფიციარი**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა **2010 წლის 01 იანვრიდან - 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (დალუქულ კონვერტში) ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათიდან - 2009 წლის 22 დეკემბრის 15:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;
- საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

4.3.1 ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.
4.3.2 ინფორმაციას მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური
ბაზის შესახებ.
4.3.3 ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი
შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და
მომწოდებლების რეესტრში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 02 დეკემბრის 10:00 საათიდან - 2009 წლის 22 დეკემბრის 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N1, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

7. თანხა გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;

**დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი უფასო სასადილოებით მომსახურეობის შესყიდვაზე. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.**

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ცალკეული ლოტების მიხედვით.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის სახით;

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის სახით.

11. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შესმსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო კიკვაძე - საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-13, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

12. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.2 პუნქტის მოთხოვნისა.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ლოტი N1.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებეული, ჭოპორტი საგურამოს მიმართულებით მდებარე 1000 გრძივი მეტრის, 700 მმ დიამეტრის, (კედლის სისქე 5 მმ) ფოლადის გაზის მილი პრივატიზებულ იქნეს აუქციონის წესით, შემდეგი პირობებით:

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 31 670 (ოცდათერთმეტი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის -"ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 3 167 (სამი ათას ასსამოცდაშვიდი) ლარით;

გ) ბიჯის სიდიდე განისაზღვროს……1 584 (ათას ხუთას ოთხმოცდაოთხი) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 2 დეკემბრის 10.00 სთ/დან 2009 წლის 31 დეკემბრის 11.00 სთ/მდე. Aაუქციონი გაიმართება 2009 წლის 31 დეკემბერს 12.00 სთ/ზე.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;
"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
პირადობის მოწმობის ასლი.
ფიზიკური პირისათვის:
"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
პირადობის მოწმობის ასლი.
"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451.
ანგარიში: 33030001.
მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101403.
გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.
აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451.
ანგარიში: 33030001.
მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101403.
გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგ მისამართზე:
ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.
ტელ: 895 22 97 29; 8 (246) 2 19 74.

## შესწორება

გაზეთში “24 საათი” გამოქვეყნდა საკონკურსო განცხადება შპს “თბილისის უნივერსიტეტში” აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

განცხადების მე-3 პუნქტის დ ქვეპუნქტში გაიპარა ტერმინოლოგიური შეცდომა იგი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

დ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 1 დეკებრის სატენდერო განცხადებებში (გურჯაანისა და ონის სასამართლო შენობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სახელმწიფო შესყიდვა) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ:

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, გურჯაანისა და ონის მაგისტრატი სასამართლო შენობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

სატენდერო კომისია

## განცხადება მონიტორების შესყიდვაზე

შპს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ატარებს ფასთა გამოკითხვას 10 (ათი) ცალი მონიტორის შესყიდვაზე. მოსაწოდებელი საქონლის საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 (ერთი) წელს.

| ტექნიკური მახასიათებლები | | |
|---|---|---|
| ზომა -19”<br>სამუშაო სიხშირე 60-75 Hz | რეზოლუცია-<br>1280x1024<br>ინტერფეისი -VGA | სიჩქარე -5-8 მილიწამი |

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.

ან ვებ გვერდზე www.gse.com.ge.

ტელ/ფაქსი 989816, მობ. 877232355.

განცხადება ძალაშია 2009 წლის 4 დეკემბრამდე

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარმატებული იქნება.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარმატებული იქნება.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext: 119), E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის“ პროგრამების „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება“ და „DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში“, ფარგლებში („საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გლობალური ფონდის“ სამედიცინო პროგრამები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან) ავტომობილების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები („გლობალური ფონდის“ პროგრამა: №-GEO-607-G06-H №- GEO-405-G03-T)

3. შესყიდვის ობიექტია:

| შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება * | გამოშვების თარიღი | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| ავტომობილი მსუბუქი, ძარის ტიპი - ჰეჩბეკი, სიჩქარის გადამცემი კოლოფი – მექანიკური, არანაკლებ 5 წინა 1 უკანა, ძრავი: არანაკლებ 1,200 სმ$^3$ – არაუმეტეს 1,400 სმ$^3$, კარების რაოდენობა 4 (5) კარი; საწვავის ტიპი - ბენზინი; | არანაკლებ 2009 წელი, ახალი | 2 |

4. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: არაუგვიანეს 1 მარტი 2010 წელი. მიწოდების პირობა: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი; მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად (*შენიშვნა: მიწოდების ვადებთან და ტექნიკურ პარამეტრებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას);

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 22 დეკემბერს 10:00 სთ.-იდან - 2009 წლის 22 დეკემბერს 16:30 სთ.-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 22 დეკემბრის 16:30 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:
ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტი პირს უნდა ჰყავდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
დ) ინფორმაცია სერვისული მომსახურების შესახებ;
ე) ინფორმაციას პრეტენდენტის მფლობელობაში არსებული სერვის ცენტრის (შესაძლებელია იჯარა) მდებარეობის შესახებ.

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

9. პრეტენდენტების მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი); ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით;

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი“ (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 36089810205272040003); დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი);

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 21 დეკემბერს 18:00 სთ.-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული;

12. ტენდერში გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადებისა - 1%-იანი და ხელშეკრულების შესრულების - 3%-იანი უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია /დაზღვევა);

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

14. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა;

15. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება;

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: სანდრო კვაჭანტირაძე და ხათუნა კაპანაძე, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext: 119), E-mail: globalfund@caucasus.net).

UMCOR
United Methodist Committee On Relief

USDA United States Department of Agriculture

## განცხადება კარტოფილის გადამამაუშავებელი ხაზის და შემფუთავი დანადგარის შესყიდვის ხელახალი ტენდერის შესახებ

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) აცხადებს ტენდერს კარტოფილის გადამამაუშავებელი ხაზის და შემფუთავი დანადგარების შესყიდვაზე.

ამქორი არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც ფუნქციონირებს სამართლიანობის, სუვერენიტეტისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით.

ამქორ-საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) "საკვები პროგრესისათვის" პროგრამის ფარგლებში, ახორციელებს "სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების პროექტს საქართველოში".

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ამქორ-საქართველო იწვევს ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში.

### შემოთავაზებული ლოტები

**ლოტი 1.** 2000 კგ/საათში წარმადობის კარტოფილის გადამამუშავებელი ელექტროენერგიაზე მომუშავე ხაზი, რომელიც შეიცავს შემდეგ დანადგარებს:

- 1.1 ელევატორი, ბუნკერში კარტოფილის მისაწოდებლად;
- 1.2 ბუნკერი მინიმუმ 3 - მაქსიმუმ 4 ტონა ტევადობით;
- 1.3 კარტოფილის მშრალად საწმენდი, 14 ჯაგრისით - სიმძლავრე მინიმუმ 2000 კგ/სთ. შესაძლებელია ჯაგრისებისა და სხვა საწმენდი მოწყობილობების კომბინაციის შემოთავაზება.
- 1.4 დამხარისხებელი მაგიდა - სიმძლავრე/გამტარობა მინიმუმ 2000 კგ/სთ;
- 1.5 კალიბრატორი, 3 ფრაქციიანი - სიმძლავრე/გამტარობა მინიმუმ 2000 კგ/სთ .

**შენიშვნა:** დანადგარები თავისი გაბარიტებით/წარმადობით უნდა თანამიმდევრობით უერთდებოდნენ/უდგებოდნენ ერთმანეთს რაც უნდა უზრუნველყოფდეს პროდუქტის გადამუშავების უწყვეტ ციკლს.

**ლოტი 2.** კარტოფილის 5 კგ, 10 კგ და 20 კგ ტევადობის ბადეებში ავტომატური დამფასოებელი 2000 კგ/სთ სიმძლავრის დანადგარი.

**შენიშვნა:** დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ სატენდერო წინადადების შემოტანა ერთ ან ორივე ლოტზე

### დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია

1. კომპანიის დასახელება
2. იურიდიული მისამართი
3. საკონტაქტო ინფორმაცია
4. საგადასახადო კოდი
5. საბანკო რეკვიზიტები
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ
7. DDP (ახალციხის რ-ნი, სოფ. აწყური) ფასი თითოეულ შემოთავაზებულ ლოტზე დღგ-ს გარეშე
8. მოწოდების პირობები
9. საგარანტიო ვადები
10. ტექნიკური სპეციფიკაციები რომელიც მოიცავს: აგრეგატების სიმძლავრეს, ზომებს, გამოყენებულ მასალას და სხვა.
11. გადამამუშავებელი ხაზის სქემა და თითოეული კომპონენტის მინიმუმ ორი ფოტოსურათი

### სატენდერო წინადადებების შერჩევა და სხვა პირობები

- სატენდერო წინადადებები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;
- სატენდერო წინადადებები შეირჩევა შემოთავაზებული ფასის მიხედვითა და სატენდერო პირობების გათვალისწინებით.
- ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- თუ კომიტეტი გამოიტანს დასკვნას, რომ არცერთი კომპანია არ აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს, ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს გამოაცხადოს ახალი ტენდერი იგივე ან სხვა პირობებით.
- ამქორი იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები.
- ამქორი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევეში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან.
- ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
- ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;

### სატენდერო წინადადების წარდგენის პროცედურა

- დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით, რომელზეც აღნიშნულია კომპანიის დასახელება, და მითითებულია, რომ დოკუმენტაცია განკუთვნილია გამოცხადებული ტენდერისათვის, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი 12ა, VI სართული, "ამქორ/საქართველოს" ოფისი.
- წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 15:00 საათი, 2009 წლის 11 დეკემბერი
- ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება;
სატენდერო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირი: ამქორ/საქართველოს ოფისის მენეჯერი.. ტექნიკური საკითხების გასარკვევად მიმართეთ გიგა სარუხანიშვილს. ტელ: 995 32 387003, 206800, 206801.

USDA United States Department of Agriculture

UMCOR
United Methodist Committee On Relief

## RETENDER ON PROCUREMENT OF THE POTATO PROCESSING LINE AND PACKAGING DEVICE

**UMCOR-Georgia**, the representation of the United Methodists Committee on Relief **(UMCOR)** in Georgia is pleased to announce a tender on procurement of the potato processing line and packaging device.

UMCOR is a humanitarian organization working on the principles of impartiality, independence and neutrality.

UCMOR-Georgia implements "Modern Agricultural Quest Project in Georgia" under the U.S. Department of Agriculture (USDA) "FY06 Food for Progress" funding.

All interested resident entities registered in Georgia are eligible for participation in the tender.

### LOTS OFFERED

**Lot 1**. 2000 kg/hour capacity potato processing line powered by the electricity that consists of the following devices:

1.1 An elevator, supplying potato to the storage bunker
1.2 Minimum 3 – maximum 4 tones storage bunker
1.3 Potato dry cleaner (brush machine) with 14 brushes with minimum 2000 kg/hour capacity. We consider offering of the combination of brushes and other cleaning tools;
1.4. Potato sorting table. Capacity minimum 2000 kg/hour
1.5 Potato 3 fraction automatic sorter. Capacity minimum 2000 kg/hour.

**NOTE:** Dimensions and capacity of all segments of the processing line should be linked/connected with each other ensuring the uninterrupted processing cycle.

**Lot 2** Automated bagger for packing potato in 5 kg, 10 kg, and 20 kg volume mesh bags. Capacity 2000 kg/hour.

**NOTE:** The interested entity may submit bid for one or both lots.

### INTERESTED ENTITY SHOULD SUBMIT THE FOLLOWING INFROMATION:

1. Name of the company
2. Legal address
3. Contact information
4. Tax Code
5. Banking information
6. Abstract of record from the registry for commercial entities
7. DDP (village Atskuri, Akhaltsikhe district) price per each lot offered excluding VAT
8. Delivery terms
9. Warranty term
10. Technical specifications including device capacity, demensions, used materials etc.
11. Processing line drawing and minimum two photos of each componenet.

### SELECTION OF THE BIDS AND OTHER CONDITIONS

- Envelopes will be opened in the presence of the designated UMCOR Bid Selection Committee.
- Selection of the bids will be based on descending sorting of the offered prices and other tender conditions.
- In case of winning the Bank Guarantee in amount of 5% of the total value of the Agreement will be used to guarantee implementation of the Agreement.
- If no company is meeting tender requirements, UMCOR-Georgia reserves the right to announce new tender with the same or changed conditions.
- UMCOR-Georgia has no obligation to announce publicly the bids of participating companies.
- .UMCOR-Georgia reserves the right to request additional information from the participants.
- Participants shall not be permitted or requested to correct, withdraw or in any way alter the bids after the determined deadline.
- UMCOR reserves the right to reject any bid without thereby incurring any liability to the affected submitters.

### BID SUBMISSION PROCEDURES

- Interested entities are welcome to submit the bids in Georgian or English languages in a sealed envelope with a clearly marked participant name and notice that the bid is intended for announced tender. The bids should be submitted to the following address: UMCOR-Georgia, VI Floor, 12a Kazbegi Ave., Tbilisi, Georgia;
- Deadline for submission: 15:00 local time, December 11, 2009
- Any document submitted after the above stipulated time will not be considered.

*Responsible Person for BID collection: UMCOR/Georgia Office Manager. Contact person for technical clarifications – Giga Sarukhanishvili. Tel: 995 32 387003, 206800, 206801.*

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 2 დეკემბრიდან აცხადებს ტენდერს ხის განძელების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ხის განძელების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რევიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **2 დეკემბრიდან** 2009 წლის **22 დეკემბრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** **შესყიდვის ობიექტი** :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება | რაოდენ-ობა |
|---|---|---|
| | | |
| 1 | ხის განძელები 20 X 25 X 275 (სმ) (ნაძვი) | 96 ცალი |
| | ხის განძელები 20 X 25 X 150 (სმ) (ნაძვი) | 80 ცალი |
| | ხის განძელები 20 X 25 X 125 (სმ) (ნაძვი) | 80 ცალი |
| | ხის განძელები 20 X 25 X 91 (სმ) (ნაძვი) | 72 ცალი |

**3.** **მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4.** **მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6.** **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
2. ცნობა სასამართლოდან **(მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის)** რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე სატ. პაკეტების გახსნის დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან **(მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის)** რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე სატ. პაკეტების გახსნის დღიდან.

**7.** **ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

## აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წლის 3 დეკემბერს დანიშნული აუქციონის განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება :

აუქციონზე გამოტანილი ყადაღადადებული ქონების ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ქონება:

| მესაკუთრის დასახელება | ქონების დასახელება და აღწერა | ზომის ერთეული | ერთეულის საწყისი ფასი (ლარი) | საერთო საწყისი ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ი/მ თამაზ გულუა (ს/ნ 102165602,), იურიდიული მისამართი, ქ.თბილისი, ცაბაძის №19 | საცხოვრებელი ბინა მდებარე ცოტნე დადიანის ქ№34. კორპ. 17, ბინა12 | 1 ცალი | 43890 | 43890 | 2000 |
| შ.პ.ს. ,,სოფმშენკომპლექსი" (ს/ნ 232540836). კასპის რაიონი, სადგური მეტეხი | კანტორის შენობა | 108 კვ.მ | 28 | 3024 | 150 |
| | სახერხი საამქროს შენობა | 324 კვ.მ | 7 | 2268 | 100 |
| | ხის დამამუშავებელი საამქრო | 243 კვ.მ | 7 | 1701 | 100 |
| | საყარაულო შენობა | 12 კვ.მ | 7 | 84 | 5 |
| | რკინის ჭიშკარი | 1 ცალი | 280 | 280 | 20 |
| | ცისტერნა 16 ტ | 1 ცალი | 770 | 770 | 50 |
| | სადურგლო დაზგა | 1 ცალი | 140 | 140 | 10 |
| | ჩარჩო ხერხი | 1 ცალი | 2240 | 2240 | 100 |
| | მრგვალი ხერხი | 1 ცალი | 1260 | 1260 | 50 |
| | ავტომანქანა ,,კამაზი" სახ. №OAJ-184 | 1 ცალი | 9100 | 9100 | 500 |
| | ავტომანქანა ,,კამაზი" სახ. №OAN-042 | 1 ცალი | 9100 | 9100 | 500 |
| | ავტომანქანა ზილი 130 | 1 ცალი | 770 | 770 | 50 |
| | ტრაქტორი DT-75 | 1 ცალი | 1960 | 1960 | 100 |
| | ექსკავატორი EO-2662 | 1 ცალი | 2450 | 2450 | 100 |
| | სეიფი | 2 ცალი | 56 | 112 | 50 |
| | მაგიდა მისადგმელით | 1 ცალი | 10.5 | 10,5 | 5 |
| | სკამი | 3 ცალი | 3.5 | 10,5 | 5 |
| | სეიფი | 1 ცალი | 56 | 56 | 10 |
| | საშრობი დოლი | 1 ცალი | 1750 | 1750 | 100 |
| | ავტომანქანა ,,კამაზი" 5410 მისაბმელით | 1 ცალი | 15400 | 15400 | 700 |
| | ტრანსფორმატორი 160 კვტ | 1 ცალი | 4900 | 4900 | 200 |
| | ვაგონი | 1 ცალი | 840 | 840 | 50 |
| | ელ.გადამცემი ხაზი | 700 მეტრი | 7 | 4900 | 200 |

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext.: 119), E-mail: globalfund@caucasus.net) ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროგრამის: "**მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება**" ფარგლებში (გრანტი: NGEO-607-G04-M) გათვალისწინებულ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს ("საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად, "გლობალური ფონდის" ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან);

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" გრანტი N GEO-607-G04-M);

3. შესყიდვის ობიექტია: "**მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება**" პროგრამის ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, რაც ითვალისწინებს:

**- მალარიის სახელმწიფო პროგრამის/ჯანდაცვის სამსახურების შესაძლებლობათა შემდგომი გაძლიერება; მალარიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის გაუმჯობესება;**

**- მალარიის დროული დიაგნოსტიკისა და ადექვატური მკურნალობის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება;**

**- მალარიის გადამტანებზე კონტროლის გაუმჯობესება;**

**- მალარიის ეპიდაფეთქებებზე დროული რეაგირების და პრევენციის ღონისძიებათა სრულყოფა;**

**- ქვეყანაში მალარიაზე ეპიდზედამხედველობის მექანიზმის გაძლიერება**

**- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება**

**- მოსახლეობის აქტიური ინფორმირება და მისი ჩართვა მალარიის პროფილაქტიკის ღონისძიებებში**

4. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა: 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 30 ივნისის ჩათვლით

(შენიშვნა: მომსახურების აღწერილობისა და მეთოდოლოგიის, მომსახურების გაწევის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას);

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ: 2009 წლის 22 დეკემბერს 10:00 სთ.-დან 2009 წლის 22 დეკემბერს 16:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე: 2009 წლის 25 დეკემბერს, 16:00 სთ-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) იურიდიული პირისათვის:

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან ან იუსტიციის სამინისტროდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

ბ) ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის /გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

გ) როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით ასევე უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია მალარიის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია მალარიის მართვის და მონიტორინგის გამოცდილების და სათანადო დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული საქმიანობების შესახებ);
- ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (გამოცდილების მქონე ექიმებისა და ექიმი-ლაბორანტების კვალიფიკაციის მითითებით და სახელმწიფო/ან საერთაშორისო სერტიფიკატი, მისი საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია ტრეინინგებისა ან/და თემატური სასწავლო პროცესის განხორციელებისა და გამოცდილების შესახებ (არსებული მეთოდოლოგია, ინფორმაცია სათანადო ბაზის არსებობასთან დაკავშირებით);
- ინფორმაცია მალარიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმართული სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილების შესახებ;
- საშიშ ინფექციებზე მუშაობის გამოცდილება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები /ნებართვები შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის;
- მომსახურების აღწერილობა და მეთოდოლოგია;
- ინფორმაციას სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებები (ორიოგინალი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);
- გასაწევი მომსახურების ვადები (გეგმა-გრაფიკი);
- არსებული და მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინვენტარის ჩამონათვალი;
- გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და განფასება;

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდეგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

9. პრეტენდენტების მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი); უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით;

10. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს;

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" ( ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 360898102052720400003); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი;

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა: განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 21 დეკემბრის 18:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ან დაზღვევა): სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით;

14. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;

16. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება;

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სანდრო კვაჭანტირაძე, ხათუნა კაპანაძე (სატენდერო კომისიის აპარატის წევრები), სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ./ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (Ext.: 119) ფაქსი; E-mail: globalfund@caucasus.net).

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა
## განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) მიერ 2009 წლის 25 ნოემბერს გამოცხადებულ შავშეთის ქ. N19/25-ში მდებარე სახლზე სართულის დამატების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება, დაემატოს მე-9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext.: 119), E-mail: globalfund@caucasus.net) ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროგრამის "**რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება საქართველოში**" ფარგლებში (გრანტი: NGEO-607-G05-T) გათვალისწინებულ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს ("საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად, "გლობალური ფონდის" ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან);

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" გრანტი NGEO-607-G05-T);

3. შესყიდვის ობიექტია: "რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება საქართველოში", პროგრამის ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, რაც ითვალისწინებს:

რაც ითვალისწინებს:

**- რეზისტენტული ტუბერკულოზის მენეჯმენტის გაძლიერებას;**

**- მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ეპიდზედამხედველობას;**

**- რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მკურნალობასა და მხარდაჭერას;**

**- რეზისტენტული ტუბერკულოზზე ოპერატიული კვლევების ჩატარებას;**

4. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა: 2010 წლის 01 იანვარი - 2010 წლის 01 ივლისი

(შენიშვნა: მომსახურების აღწერილობის, მომსახურების გაწევის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას);

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ: 2009 წლის 22 დეკემბერს 10:00 სთ.-დან 2009 წლის 22 დეკემბერს 15:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე: 2009 წლის 22 დეკემბერს 15:00 სთ-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) იურიდიული პირისათვის:

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან ან იუსტიციის სამინისტროდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

ბ) ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის /გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

გ) როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით ასევე უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია ტუბერკულოზის მკურნალობასა და პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია ტუბერკულოზის მკურნალობის, მართვის და მონიტორინგის გამოცდილების და სათანადო დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული საქმიანობების შესახებ);
- ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (გამოცდილების მქონე ექიმებისა და ექიმი-ლაბორანტების კვალიფიკაციის მითითებით და სახელმწიფო/ან საერთაშორისო სერტიფიკატი, მისი საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია ტრეინინგებისა ან/და თემატური სასწავლო პროცესის განხორციელებისა და გამოცდილების შესახებ (არსებული მეთოდოლოგია, ინფორმაცია სათანადო ბაზის არსებობასთან დაკავშირებით);
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები /ნებართვები შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის;
- მომსახურების აღწერილობა და მეთოდოლოგია;
- ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებები (ორიოგინალი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, არსებობის შემთხვევაში);
- გასაწევი მომსახურების ვადები (გეგმა-გრაფიკი);
- არსებული და მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინვენტარის ჩამონათვალი;
- გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და განფასება;

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდეგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

9. პრეტენდენტების მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი); უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით;

10. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს;

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" ( ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 36089810205272040003); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი;

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა: განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 21 დეკემბრის 18:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ან დაზღვევა): სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით;

14. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;

16. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება;

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სანდრო კვაჭანტირაძე, ხათუნა კაპანაძე (სატენდერო კომისიის აპარატის წევრები), სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ./ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (Ext.: 119) ფაქსი; E-mail: globalfund@caucasus.net).

## განცხადება

სსიპ თბილისის 72-ე სკოლა აწყობს ტენდერს ა) შენობის პირველ სართულზე სასკოლო ბუფეტის ასამუშავებლად 50,63 კვ.მ. იჯარის წესით გაცემასთან დაკავშირებით. ბ) მცირე სიმძლავრის საწარმოს (საცხობი) 17,01 კვ,მ. ფართის ოჯარის წესით გაცემასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ სსიპ 72-ე სკოლის დირექციას. საბუთების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 21 დეკემბრამდე. დილის 10-დან საღამოს 16 საათამდე სკოლის კანცელარიაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიას.

საკონტაქტო პირი: ბელა ბეგლარაშვილი, ტელ. 899-45-10-56, 72-35-74

მისამართი. ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა N2.

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა
## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია აცხადებს

გაზეთ "24 საათი"-ს 2009 წლის 20 ნოემბერის N255 ნომერში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოქვეყნებული განცხადება, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული ექსპლუატაციიდან გამოსული, ამორტიზირებული ტროლეიბუსების აუქციონის ჩატარების შესახებ იქნას გაუქმებული თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის N2505 01.12.09წ. ბრძანების საფუძველზე.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ხელახალ მრავალწლიან ტენდერს ახალი მოდერნიზებული ლიფტების, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.** შესყიდვის ობიექტია - ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობისათვის 5 ცალი ლიფტის შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი).

*შენიშვნა: შესყიდვის ობიქტის სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ პირობაში.*

**2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - ეტაპობრივად, არა უგვიანეს 7 (შვიდი) თვისა. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 2 დეკემბრიდან ამავე წლის 22 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ახალი მოდერნიზებული ლიფტების, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მერი სულუაშვილი, გიორგი მამულაშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია.
თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა,
გაცნობებთ 2009 წელს განხორციელებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს

| ტენდერის დასახელება | მიმწოდებელი | ლოტის № | საქონლის ან მომსახურების დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ლოტის ღირებულება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვადასხვა სახის მედიკამენტები (ხელახალი) | შპს "იმპექს ფარმი" | 1 | სხვადასხვა სახის მედიკამენტები | - | - | - | 175 994.95 | 175 994.95 |

## განცხადება ტენდერის ჩატარების თაობაზე

ს/ს ინჟმშენი აცხადებს ტენდერს ქ. ქობულეთში ასფალტის მოწყობის სამუშაოებზე, დ. აღმაშენებლის, რუსთაველის და სხვა ქუჩებზე.
სამუშაო მოცულობები:

1. ასფალტის საფარის მოხსნა ნარჩენების გატანით ნაყარამდე, ასფალტის საფარის შემდგომი აღუგენით 70 მმ მსხვილმარცვლოვანი ასფალტის ქვედა ფენის და 50 მმ წვრილმარცვლოვანი ზედა ფენით.

სამუშაოების მოცულობის ფართით
დაახლოებით 100 000 კვ.მ

2. საფარის აღდგენა და დაგება მილსადენების თავზე 70 მმ მსხვილმარცვლოვანი და 50 მმ წვრილმარცვლოვანი ასფალტის ფენით, სახლებთან მიერთებებით, საფუძვლის მოწყობით ასფალტის ფენის ქვეშ.

სამუშაოების მოცულობის ფართით
დაახლოებით 45 740 კვ.მ

სულ: 145 740 კვ.მ

სამუშაოთა შესრულების ვადა: 2010 წლის აპრილი, 2010 წლის ოქტომბერი

ვინაიდან არ არის დაზუსტებული საფარის მოწყობის ფართები, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს 1 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის ღირებულება.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ 2009 წლის 31 დეკემბრამდე მისამართზე:

მ. კოსტავას 1. №33, 1-ლი შესახვევი

ტელ: 93 55 42; 93 10 01
ფაქსი: 93 42 87; 93 55 54

ელ. ფოსტა: **davidg@inzhmsheni.ge; asatiani@inshmsheni.ge**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**
**შესყიდვის ობიექტი – ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით)**

**1.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ვიდეოსათვალთვალო სისტემების (მონტაჟით) შესყიდვაზე.

**შესყიდვის ობიექტი:**

| საქონლის დასახელება | | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით) | ქსელური მართვის მოძრავი (IP) ვიდეოკამერა, დღე/ღამის რეჟიმით, გარე გამოყენებისთვის | ცალი | 11 |
| | ქსელური მართვის მოძრავი (IP) ვიდეოკამერა დღე/ღამის რეჟიმით, შიდა გამოყენებისთვის | ცალი | 4 |
| | ქსელური (IP) ფიქსირებული ვიდეოკამერა დღე/ღამის რეჟიმით ინფრაწითელი განათებით, გარე გამოყენებისთვის | ცალი | 25 |
| | ქსელური ფერადი (IP) ფიქსირებული ვიდეოკამერა შიდა გამოყენებისთვის | ცალი | 69 |
| | ვარიფოკალური ლინზა | ცალი | 69 |
| | ქსელური ჩამწერი მოწყობილობა 8 არხიანი (NVR/DVR) | ცალი | 17 |
| | ქსელური ჩამწერი მოწყობილობა 16 არხიანი (NVR/DVR) | ცალი | 2 |
| | სერვერის აქსესუარი (გადამყვანი მოწყობილობა) | ცალი | 1 |
| | სერვერის აქსესუარი (გადამყვანი მოწყობილობა) | ცალი | 1 |
| | კედლის რეკი | ცალი | 19 |
| | უწყვეტი კვების ბლოკი UPS, ჩამწერებისთვის და კამერებისთვის | ცალი | 19 |
| | გარე მიერთების მყარი დისკი | ცალი | 2 |
| | სვიჩი 16 პორტიანი | ცალი | 17 |
| | სვიჩი 24 პორტიანი | ცალი | 2 |
| | სერვერის ოპერაციული სისტემა | ცალი | 1 |

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**3.** ვიდეოსათვალთვალო სისტემების (მონტაჟით) მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. მიწოდება (მონტაჟით) უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობებით, დოკუმენტაციაში მითითებული მიწოდების ადგილის შესაბამისად.

**4.** პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 22 დეკემბერს 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

**6.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

**7.** სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 0,50 |
| 2 | საგარანტიო პირობები | 0,35 |
| 3 | მიწოდების ვადები | 0,15 |
| | სულ: | 1,00 |

**8.** სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

**9.** თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

**10.** ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**11.** შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

**12.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 02 დეკემბრის 09:00 საათიდან 2009 წლის 21 დეკემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

**13.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

**14.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 დეკემბერს 15:00 საათზე.

**15.** ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

**16.** სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000**
**გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**17.** შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge**, **i.tadiashvili@mof.ge**.

